ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ႰႿႳႪႨႱ ႩႠႬႭႬႨ

## (ႤႰႨႱႩႠႺႧႠႧႥႨႱ)

ჭეშმარიტი მართლმადიდებელი
ქრისტიანის ცხოვრების
წესი

„თუ ვინმემ ქრისტიანის სახელი დაითქვას
და უწესო ქცევით ქრისტეს პატივი შებღალოს,
არაფერი ერგოს მისი სახელისგან."

*(ბასილი 45)*

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მცნება არის სანთელი, სჯული არის სინათლე, ცხოვრების გზა კი არის სწავლა და მხილება.
*(იგავთა 6,23)*

# ႰႿႭჃႪႨႱ ႩႠႬႭႬႨ ႤႰႨႱႩႠႺႧႠႧႥႨႱ

## ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის ცხოვრების წესი.

ოზურგეთი
1996

დაიბეჭდა შემოქმედელი ეპისკოპოსის

იოსების ლოცვა - კურთხევით.

დიდი რჯულის კანონიდან, წმიდა მამათა განწესებანი, ერის კაცთათვის, ამოკრება და გამოსაცემად მოამზადა წმიდა კვირიკეს ეკლესიის წინამძღვარმა, მღვდელმა მათემ (გორდელაძე).

E101.044

წიგნიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდება წმიდა მოწამე კვირიკეს ეკლესიის მშენებლობას.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

სამღვდელო განწესებანი და წმიდა კანონები წარმოადგენენ დამოწმებასა და გზა-მკვლევს იმათთვის, ვინც სამღვდელო პატივის წილხვდომილია. მათ სიხარულით შევიწყნარებთ ჩვენც ღვთისმოსავ დავითთან ერთად ვუგალობთ ღმერთს და ვამბობთ: „შენი მცნებების გზაზე სიარული, დიდი სიმდიდრეა (ფსალმუნთა 118,14)“. და „ამცნე შენი მცნებების სიმართლე უკუნისამდე. გამაგებინე და მაცხოვნე მე” (ფსალმუნთა 118,138,144). წინასწარმეტყველის ხმა უკუნისამდე გვამცნობს ჩვენ, რომ დავიცვათ ღვთის მცნებანი, ვიცხოვროთ მათ შესაბამისად და ამით ხსნა მოვიპოვოთ, რადგანაც ისინი უცვლელნი და შეურყეველნი არიან. ღვთის მხილველი დიდი მოსეც ასე ამბობს: “მათ (ღვთის მცნებებს) არც უნდა მიემატოს რამე, არც უნდა დააკლდეს” (სჯულის კანონი 12.32). საღვთო მოციქული პეტრე, რომელსაც ემყარებოდა ეს მცნებები, ამბობს: “ანგელოსიც კი თუ ის გახარებს თქვენ რაიმეს, გარდა იმისა, რაც უკვე გეხარათ და მიგიღიათ (ღვთის მცნებების სახით), შეჩვენებულ იყოს” (გალატელთა 1,8). ეს უკვე ასეა ნამცნები ჩვენთვის. გავიხაროთ ამით, როგორც დიდძალ ტყვეთა ხელში ჩამგდებმა. მხიარულებით განმტკიცდებით საღვთო კანონებში და ყოველმხრივ შეურყევლად განვამტკიცებთ იმ კანონების განწესებას, რომლებიც დასხმულნი არიან სულის საყვირთა, ყოვლადქებულ მოციქულთა, წმიდა მსოფლიო კრებებისა, განჩინებების დადგენისათვის შეკრებილი ადგილობრივი კრებებისა და წმიდა მამების მიერ, ვინაიდან, ერთი და იმავე სულის მიერ იყვნენ ყველა ისინი განათლებულნი და დაადგინეს, რაც უმჯობესი იყო. ვინც მას შეაჩვენეს, ჩვენც შევაჩვენებთ, ვინც განკვეთეს – ჩვენც განვკვეთეთ, ვინც უზიარებელი ყვეს – უზიარებელ ვყოთ, ვინც განაკანონეს - ჩვენც, აგრეთვე, განვაკანონებთ მათ, რადგანაც „თქვენი გზა იყოს არა ვერცხლისმოყვარეობით, იყავით კმაყოფილნი იმით, რაც გაქვთ” (ებრაელთა 13,5). აშკარად ამბობს

მესამე ცამდე აღწეული და გამოუთქმელ სიტყვათა მსმენელი საღვთო მოციქული პავლე.

*(ნიკეის VII მსოფლიო კრების I კანონი).*

ხოლო ამას რომ ვწერთ, ღვთის ეკლესიისაგან განკვეთთ არა იმათ, ვისაც ჭეშმარიტად სურს მოღვაწეობა (ღვაწლის შედგომა) საღვთო წერილისამებრ, არამედ, იმათ, ვინც მოღვაწეობას ამპარტავნების საბამად აქცევს და ქედმაღლურად უყურებს იმათ, ვინც მარტივი ცხოვრებით ცხოვრობს. ამით ისინი შემოიღებენ სიახლეებს (საღვთო) წერილისა და საეკლესიო კანონების წინააღმდეგ.

ჩვენ გვაკვირვებს ქალწულობა თავმდაბლობით შემკული. ვიღებთ მარხვას პატიოსნებით და ღვთის შიშით შესრულებულს და შევიწყნარებთ ამ ქვეყნისაგან განშორებას, თავმდაბლობით აღსრულებულს, პატივს ვცემთ ქორწინებით თანამკვიდრობას შეუგინებელს და შეურაცხყოფას არ ვაყენებთ სიმდიდრეს, რომელიც სიმართლით არის შეძენილი და სიკეთისთვის იხარჯება. ვაქებთ არაძვირფასი სამოსელის უბრალოებას და სისადავეს, მხოლოდ ხორცის დასაფარავად განკუთვნილს. ხოლო, გახსნილი და სათრევი სამოსლით მოსიარულეებს, არ შევიწყნარებთ. პატივს ვცემთ ღვთის სახლებსა და მათში მოწყობილ კრებებს ვთვლით წმიდად და სასარგებლოდ. ღვთისმსახურებას სახლებში კი არ შევამწყვდევთ, არამედ პატივს ვცემთ ყოველ ადგილს, ღვთის სახელზე აშენებულს და შევიწყნარებთ ეკლესიაში საერთო სარგებლობისათვის შეკრებილ კრებას, შევნატრით გლახაკთა მიმართ ძმათა მიერ ეკლესიის ძველი გადმოცემისამებრ ქმნილ ქველმოქმედებას და, მოკლედ რომ ვთქვათ, ვლოცულობთ, რათა ეკლესიაში ხდებოდეს ყველაფერი, რაც მოცემულია საღვთო წერილში და განწესებულია მოციქულთა გადმოცემის მიერ.

*(ღანგრაში შეკრებილ წმიდა მამათა 21-ე კანონი).*

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

# სარჩევი


კანონი ღვთისმეტყველების და მართლმადიდებელი სარწმუნოების შესახებ - 8

საღვთო კანონების დაცვის აუცილებლობის შესახებ - 19

ხელდასხმის შესახებ - 20

ეკლესიების აშენების შესახებ - 23

ეკლესიასთან დაკავშირებული კანონების შესახებ - 25

საეკლესიო ნივთების შესახებ - 26

ლოცვისა და გალობის შესახებ - 27

დაუწერელი კანონების ზეპირად გადმოცემის შესახებ - 29

კანონიკურად აღიარებული წიგნების შესახებ - 34

ფსალმუნებისა და წიგნის მკითხველთა შესახებ - 36

წმიდა შესაწირავის შესახებ - 39

ზიარების შესახებ - 41

კათაკმეველობისა და ნათლისღების შესახებ - 45

მარხვის შესახებ - 51

კვირა დღეს მუხლმოდრეკისა და უქმობის შესახებ - 53

მონაზვნობის შესახებ - 55

მწვალებლობის შესახებ - 56

ემმაკეულთა შესახებ - 59

ქორწინების შესახებ - 60

მეორედ ქორწინების შესახებ - 66

მესამედ ქორწინების შესახებ - 66

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალქორწინების შესახებ - 67
ქორწილში ცეკვებისა და ღრეობების შესახებ - 68
ქვრივთა შესახებ - 68
სიძვისა და მრუშობის შესახებ - 70
გახრწნილების და მამათმავლობის შესახებ - 81
მოტაცების შესახებ - 85
სიძვით დაცემულ ქალწულთა შესახებ - 86
შვილის მომკვლელი დედების შესახებ - 88
ხორცის მოძულეთა შესახებ - 91
ღვინის მოძულეთა შესახებ - 92
კერპთათვის შენაწირავის სისხლიანი ხორცის, დამრჩვალის, მხეცთაგან მოკლულის და მძორის მჭამელი ერისკაცების შესახებ - 93
საჭურისობის შესახებ - 94
მართლმადიდებელთა შესახებ, რომლებიც მწვალებელთაგან ერთად ლოცულობენ და მარხულობენ - 94
ფიცთა და ცრუფიცთა შესახებ - 96
განდგომილობისა და სარწმუნოების უარყოფის შესახებ - 99
ქრისტიანობის მდევნელთაგან თავის განრიდების შესახებ - 100
მოგვების, მისანთა, ვარსკვლავთმეტყველთა, მათემატიკოსთა (რიცხვის მისნის), გრძნეულთა და შემლოცველობის შესახებ - 102
მსახიობ-მომღერალთა (მგოსანთა), სანახაობებისა და სათამაშო ადგილების შესახებ - 105

| | |
|---|---|
| *ჩაცმულობისა და მორთულობის შესახებ* | *- 107* |
| *ანგარების და ავაზაკობის შესახებ* | *- 108* |
| *ქურდობის შესახებ* | *111* |
| *საფლავთა მძარცველთა შესახებ* | *- 112* |
| *სიწმინდეთა მკრეხელობის შესახებ* | *- 113* |
| *მკვლელთა შესახებ* | *- 114* |
| *თავის მკვლელთა შესახებ* | *- 119* |
| *შვილების მიმტოვებელი დედის შესახებ* | *- 119* |
| *მშობლების მიმტოვებელი შვილების შესახებ* | *- 119* |
| *ადამის უკვდავად დაბადების შესახებ* | *- 120* |
| *წმიდა წიგნების გაფუჭების შესახებ* | *- 120* |
| *ეკლესიისა და სასულიერო პირთა შეურაცხყოფის შესახებ* | *- 121* |
| *უქმობის შესახებ* | *- 122* |
| *თუ რა ასაკიდან განიკითხება ადამიანი ღვთის მიერ* | *- 123* |
| *მამაკაცის და ქალის ერთად ბანაობის აკრძალვის შესახებ* | *- 123* |
| *უძლურთა დაცინვის შესახებ* | *- 124* |
| *ცოდვის შესახებ* | *- 124* |
| *გარდაცვლილთა შესახებ* | *125* |
| *აღდგომის დროის განსაზღვრისა და მარხვის შესახებ* | *- 126* |
| *მადლის შესახებ* | *- 128* |
| *სინანულისა, შენდობისა და სასჯელის შესახებ* | *- 130* |
| *ეკლესიიდან განყენებისა და ეკლესიური ცხოვრების შესახებ* | *- 134* |
| *სიტყვათა განმარტება* | *- 136* |

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

# კანონი ღვთისმეტყველების და მართლმადიდებლური სარწმუნოების შესახებ

## სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი)

## *ნიკეის მსოფლიო კრებაზე შეკრებილი 318 მამისა*

გვწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისმპყრობელი, ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედი, და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი, ესე იგი მამის არსებისაგან, ღმერთი ღვთისაგან, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი, ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი, არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლის მიერ ყოველივე შეიქმნა ცაში და ქვეყანაზე, გარდამოსული ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენი ხსნისათვის განხორციელებული და განკაცებული, წამებული და აღმდგარი მესამე დღეს და ამაღლებული ზეცად და მამის მარჯვენივ მჯდომარე, რომელიც კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხავად. და ერთი სულიწმიდა; ხოლო ვინც ამბობს, რომ იყო (დრო), როცა ძე ღვთისა არ იყო, ან ვითომ დაბადებამდე არ არსებობდა, ვითომ არარსებისაგან იყო, ან ვინც ამბობს, რომ სხვა იპოსტასისაგან ან არსებისაგან შეიქმნა ძე ღვთისა და იგი გარდაქმნადია და ცვალებადი, მათ შეაჩვენებს კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## სარწმუნოების სიმბოლო (მრწამსი) *კონსტანტინოპოლის II მსოფლიო კრებაზე შეკრებილი 150 წმიდა მამისა*

გვწამს ერთი ღმერთი მამა, ყოვლისმპყრობელი, ცისა და მიწის, ყოველთა ხილულთა და უხილავთა შემოქმედი. და ერთი უფალი იესო ქრისტე, ძე ღვთისა, მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი საუკუნეთა უწინარეს, ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, თანაარსი მამისა, რომლის მიერ შეიქმნა ყოველივე, ჩვენთვის, ადამიანთათვის და ჩვენი ხსნისათვის გარდამოსული ზეციდან, განხორციელებული სულიწმიდისა და მარიამ ქალწულისაგან, და განკაცებული. ჯვარცმული ჩვენთვის პილატე პონტოელის დროს, წამებული და დაფლული და აღმდგარი მესამე დღეს საღვთო წერილის მიხედვით და ამაღლებული ზეცად და მამის მარჯვენით მჯდომარე, რომელიც კვლავ მოვა ცოცხალთა და მკვდართა განსაკითხავად და რომლის მეუფებას არა აქვს დასასრული და სულიწმიდა, უფალი ცხოველმყოფელი, მამისაგან გამომავალი, მამასთან და ძესთან ერთად თაყვანსაცემი და სადიდებელი წინასწარმეტყველთა თქმით. და ერთი წმინდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, ვაღიარებთ ერთ ნათლისღებას ცოდვათა მისატევებლად. მოველით მკვდართა აღდგომას და ცხოვრებას მომავალ საუკუნეებში. ამინ!

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

# დოგმატი

## IV მსოფლიო ქალკედონის კრებაზე შეკრებილი 630 წმიდა მამისა *ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ერთ სახეში ორი ბუნების შესახებ*

ღვთაებრივ მამათა მიმდევარნი ჩვენ, ყველანი ერთხმად გასწავლით ერთი და იმავე ძის, ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სრულყოფილი ღვთაებრიობისა და სრულყოფილი კაცობის აღიარებას: ჭეშმარიტი ღმერთისა და ჭეშმარიტი კაცისა, იგივე სულისა და ხორცისაგან. მამის თანაარსისა ღვთაებრიობით და ჩვენი თანაარსისა კაცობით. ყველაფრით ჩვენი მსგავსისა ცოდვის გარდა. შობილისა საუკუნეთა უწინარეს მამისაგან, როგორც ღვთისა და უკანასკნელ ჟამს კი, ჩვენი ხსნისათვის მარიამ ქალწული ღვთისმშობლისაგან, როგორც კაცისა. (ვაღიარებთ) ერთსა და იმავე ქრისტეს, ღვთის ძეს, მხოლოდშობილს, ორი ბუნებისაგან შემდგარს, შეურწყმელად, შეუცვლელად, განუყოფელად, განუყრელად შესაცნობს (ორი ბუნება არაფრით განირჩევა არსებული შეერთების გამო. ერთ სახესა და ერთ იპოსტასში გაერთიანებული ინარჩუნებს თითოეული ბუნების თვისებას). არა ორ სახედ განკვეთილს ან განყოფილს, არამედ ერთსა და იმავე ძეს და მხოლოდშობილ ღმერთს, სიტყვას, უფალს იესო

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✠ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

ქრისტეს, როგორც ძველად წინასწარმეტყველებდნენ მის შესახებ, როგორც თვით უფალი იესო ქრისტე გვასწავლის და როგორც გადმოგვცემს ჩვენი მამების სიმბოლო.

## დოგმატი

### კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო კრებაზე შეკრებილი 170 წმიდა მამისა *ჩვენს უფალ იესო ქრისტეში ორი ნებისა და ორი ქმედების შესახებ*

ორ ბუნებრივ ნებას ან სურვილს მასში და ორ ბუნებრივ ქმედებას განუშორებლად, განუყოფლად, შეურწყმელად ჩვენი წმინდა მამების მოძღვრების თანახმად ასევე ვქადაგებთ: ორი ბუნებრივი ნება არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო, დაე, ნურც იქნება, როგორც უკეთური ერეტიკოსები ამბობენ, მაგრამ მისი ადამიანური ნება მიჰყვება და არ ეწინააღმდეგება და არ ებრძვის, არამედ ექვემდებარება მის ღვთაებრივ და ყოვლის შემძლე ნებას.

✠ ✠ ✠

# დოგმატი

## ნიკეის VII მსოფლიო კრებაზე შეკრებილი 367 წმიდა მამისა
## *ხატთა თაყვანისცემის შესახებ*

ვიცავთ წერილობით ან დაუწერლად ჩვენთვის დადგენილ არა ახალშემოსულ საეკლესიო გადმოცემებს. მათთან ერთად, არის ხატი, ფერწერული გამოსახულება, რომელიც სახარების ქადაგებებს თხრობებს უთანხმებს და ჩვენ მიერ ღვთის სიტყვის განხორციელებას არა წარმოსახვით, არამედ ჭეშმარიტ რწმუნებას და მსგავს სარგებლობას ემსახურება. ამრიგად, რადგან ერთი მეორეზე უთითებს, უეჭველად ერთი მეორეს განმარტავს. ამით, რაც არსებობს, როგორც სამეუფეო გზით მავალნი და ჩვენი წმიდა მამების ღვთისმეტყველი მოძღვრების და კათოლიკე ეკლესიის (ვიცით, რომ ეს არის მასში მცხოვრები წმიდა სულისგან) გადმოცემის მიმდევარნი, სრული ჭეშმარიტებით და გულმოდგინე განხილვის შედეგად, განვსაზღვრავთ: პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის გამოსახულების მსგავსად, წესია ღვთის წმიდა ეკლესიებში, წმიდა ჭურჭელზე, სამოსელზე, კედლებზე, ფიცრებზე, სახლებში და გზებზე პატიოსანი და წმიდა ხატები იყოს საღებავებით დახატული, ქვაში გამოკვეთილი და სხვა ამისათვის გამოსადეგი ნივთიერებით შექმნილი, როგორც ჩვენი

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

უფლისა, ღვთისა და მხსნელისა იესო ქრისტესი, ჩვენი უხრწნელი დედოფლისა წმიდა ღვთისმშობლისა, ასევე, პატიოსანი ანგელოზებისა, ყველა წმიდანებისა და ღირსი მამებისა, რამდენადაც უმეტესწილად დანახვა შეიძლება ხატზე გამოსახვის გზით, იმდენად მათი მაცქერალნი შეუდგებიან ღვაწლს, მოიგონონ და უყვარდეთ ხატზე გამოსახულთა პირველსახენი, პატივი მიაგონ მათ ამბორით და პატივისმცემელი თაყვანისცემით. არა ჭეშმარიტი ჩვენი სარწმუნოების მიხედვით ღვთის თაყვანისცემით, როგორც შეეფერება ერთიან ღვთაებრივ ბუნებას, არამედ იმგვარი პატივისცემით, როგორც ვეთაყვანებით პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის გამოსახულებას, წმიდა სახარებას და სხვა სიწმიდეებს, საკმეველით და სანთლების ანთებით პატივი მიეგებათ, ისევე, როგორც ძველებს ჰქონდათ კეთილმსახური ადათ-წესი, რადგან პატივი, რომელსაც მივაგებთ ხატს, გადადის პირველსახეზე და ხატის თაყვანისმცემელი თაყვანს სცემს მასზე გამოსახულის არსებას. ასე მტკიცდება ჩვენი წმიდა მამების მოძღვრება, ეს არის გადმოცემა ქვეყნის კიდით-კიდემდე კათოლიკე ეკლესიისა, რომელმაც მიიღო სახარება.

***

ეფესოს III მსოფლიო კრება ამტკიცებს წინა ორი კრების დადგენილებებს და შეაჩვენებს ყველას, ვინც ეცდება მის შეცვლას;

ეფესოს III მსოფლიო კრების მე-7 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ყოველი სიტყვის და საქმის დამწყების არჩეული წესი ღვთისაგან დაწყება და ღმერთთან ერთად განსვენება არის ღვთისმეტყველის სიტყვისამებრ.

აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ ბრწყინვალედ ქადაგებული კეთილმსახურების, ქრისტეზე დაფუძნებული ეკლესიის ლიბანის ნაძვებზე მაღლა აღორძინებისა და მისი წარმატების მოსწრაფენი ვიწყებთ მღვდელმეტყველებას და ღვთის მადლით ვაღგენთ სიტყვის მსახურ თვითმხილველ მოციქულთაგან ჩვენთვის მოცემული სარწმუნოების შეუხებლად და უვნებლად დაცვას.

შემდეგ სამას თვრამეტ წმიდა მამისაგან, რომლებიც შეიკრიბენ ნიკეაში ჩვენი მეფის კონსტანტინე დიდის დროს ბოროტად მსახური არიოზის და მის მიერ სჯულდებული წარმართული სხვა ღმრთობის ან მრავალღმერთიანობის გამო, განსაკუთრებით, აღსანიშნავია ის, რომ მათ სარწმუნოების სწორი აღსარებით ღვთაებრივი ბუნების სამივე გვამოვნების ერთარსება გამოგვიცხადეს, გაგვანათლეს და არ დაუშვეს არცოდნით დაფარვა ამისი, არამედ, მამის, ძის და სულიწმიდის ერთი თაყვანისცემა ცხადად ასწავლეს მორწმუნეებს და ღვთაების არათანასწორი ხარისხების ბოროტად მადიდებლობა დაამხეს და გააქრეს და მართლმადიდებლობის საწინააღმდეგოდ მწვალებელთა მიერ ქვიშაზე ბავშვურად ნაშენები დაარღვიეს და დასცეს.

ასევე, ჩვენი მეფის, დიდი თეოდოსის დროს, ამ სამეფო ქალაქში შეკრებილი 150 წმიდა მამის ქადაგებულ სარწმუნოებას

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

დავამტკიცებთ, ვიზიარებთ რა ღვთისმეტყველთა ნათქვამს სულიწმიდის აღსარების გამო. .ბილწი მაკედონიოსი, ჭეშმარიტების მასზე უფრო დიდ მტრებთან ერთად, განკვეთს, როგორც თავხედობით მეუფების გაყოფის ავაზაკურად შემომღებელი, იმ მიზნით, რომ არასრულყოფილი ყოფილიყო ჩვენი იმედის საიდუმლო.

ჭეშმარიტების ამ საძაგელ მოწინააღმდეგესთან ერთად, დასაჯეს უკეთურების ბოროტი მესაიდუმლე აპოლინარი, რომელმაც უფალი უგონებო ხორცის მიმღებად იქადაგა, რითაც ჩვენი ამიერი გადარჩენა არასრულყოფილად დასახა.

აგრეთვე, ქალაქ ეფესოში ჩვენი მეფის თეოდოსი არკადის ძის დროს შეკრებილი ღვთივშემოსილი ჩვენი ორასი მამის მიერ დადებულ მოძღვრებებს, როგორც კეთილმსახურების დაურღვეველ სიმტკიცეს, ვამტკიცებთ და უფალს ერთ ქრისტედ – ღვთის ძედ ვქადაგებით განხორციელების შემდეგაც და მის უთესლოდ მშობელს, უხრწნელს და მარადის ქალწულს საკუთარ და ჭეშმარიტ ღვთისმშობლად ვაღიარებთ და ცბიერი ნესტორის ერესს, როგორც საღვთო ნაწილისაგან უცხოქმნილს, უარვყოფთ, რადგან იგი ამტკიცებს ცალკე კაცად და ცალკე ღმერთად ერთსა და იმავე ქრისტეს და ამგვარად ურიაებრ ბოროტად მაღიდებლობას განაახლებს.

ამასთანავე, მართლმადიდებლური ძეგლისწერა დაამტკიცა ქალკედონში ჩვენი მეფის მარკიანეს დროს ექვსას ოცდაათმა ღვთივსწავლულმა მამამ, რომლებმაც ერთი ქრისტე – ძე ღვთისა, ორ ბუნებაში შემოკრებილი და ორი ბუნებით დიდებული ხმამაღლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უქადაგეს მთელ ქვეყანას და ცნობავნებული ევტიქი, რომელიც განგების დიდი საიდუმლოების აღსრულებას მოჩვენებით აღსრულებულად მიიჩნევდა, ეკლესიის ფარგლებიდან გააძევეს, როგორც გესლი ბოროტებისა და, მასთან ერთად, ნესტორი და დიოსკორე, ერთი მათგანი განყოფის, ხოლო, მეორე შერევის მიმდევარი და დამცველი, ბოროტმსახურებაში ერთმანეთის მოწინააღმდეგენი, წარწყმედის ერთ ორმოში და უღვთოებაში ჩაცვივნულნი აღმოჩნდნენ.

აგრეთვე, ას სამოცდახუთმა ღმერთშემოსილმა მამამ, რომლებიც შეიკრიბნენ ამ სამეფო ქალაქში ჩვენი კეთილმსახური მეფის იუსტინიანეს დროს, შეაჩვენეს და მოიძაგეს თეოდორე მომფსვესტელი, ნესტორის მოძღვარი, ორიგენი, დიდვიმოსი და ევაგრე, რომლებიც ჩმახავდნენ ელინურ ზღაპრობას, ერთმანეთში ურევდნენ ჩვენი სულისა და ხორცის მიმოცვალებას და შეცვლას ფანტაზიით, დასიზმრებულივით, გინების გამონაგონით მკვდართა აღდგომას ეწინააღმდეგებოდნენ, ბოროტმსახურებას ასწავლიდნენ. ასევე, შეაჩვენეს და მოიძაგეს თეოდორიტეს მიერ მართალი სარწმუნოებისა და ნეტარი კირილეს თორმეტი თავის საწინააღმდეგოდ დაწერილი ივას სახელით ცნობილი საკრებო ეპისტოლე.

ჩვენ მათ დადგენილებას, როგორც სულის მიერ აღთქმულს, ვაღიარებთ და მომდევნო თაობებსაც ვასწავლით.

შემდეგ, ცოტა ხნის წინ, ნეტარხსენებული ჩვენი მეფის კონსტანტინეს დროს, ამ სამეფო ქალაქში ჩატარებული წმიდა კრების სარწმუნოებას ვაღიარებთ და შეუცვლელად და დაუმახინჯებლად

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

დავიცავთ. ამ დადგენილებამ მეტი სიმტკიცე შეიძინა, რადგან კეთილმსახურმა მეფემ კონსტანტინემ იგი თავისი ბეჭდით დაამტკიცა საუკუნო სიმტკიცისათვის. სარწმუნოება გვასწავლის ჩვენი ჭეშმარიტი განხორციელებული ღმერთის, ერთი უფლის, იესო ქრისტეს ორი ბუნებით ნების (ესე იგი ნებების) და ორი ბუნებით ქმედების აღიარებას.

ხოლო მათ, რომლებმაც ჭეშმარიტების მართალი და წრფელი რჯული გარყვნეს, ჩვენს ერთ უფალსა და ღმერთზე იესო ქრისტეზე ერთი ნებისა და ერთი მოქმედების თქმა ასწავლეს ხალხს, კეთილმსახურების მსჯავრით დავსჯით. ეს ნათქვამია თეოდორე ფარანელზე, კიროს ალექსანდრიელზე, ონორე რომაელზე, სერგისა, პიროსსა, პავლესა და პეტრეზე, რომლებსაც ამ ღვთივდაცული ქალაქის საყდარი ეპყრათ, მაკარი ანტიოქიის ეპისკოპოსისა და მის მოწაფე სტეფანეზე, ცნობავნებელ პოლიხრონიოსზე.

ამგვარად, ხელშეუხლებლად და შეუცვლელად დაცულ იქნა ჩვენი ღმერთის, იესო ქრისტეს ზოგადი (საერთო) სხეული.

მოკლედ რომ ვთქვათ, ღვთის ეკლესიაში განბრწყინებული ქვეყნის მნათობი და ამ ქვეყნად ხსნის სიტყვის მტვირთველ კაცთა სარწმუნოების მტკიცედ პყრობას და სოფლის აღსასრულამდე შეურყვნელად და შეუცვლელად დატოვებას ვადგენთ და მათ მიერ ღვთივმოცემელ დაწერილსა და სჯულს მივიღებთ და შევიწყნარებთ, ხოლო მათ წინააღმდგომს ყველას უკუვაგდებთ და შევაჩვენებთ, როგორც ჭეშმარიტების მტრებს, ღმერთზე ამაოდ გათავხედებულებს



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სიკრუის ხმამაღლა მეტყველებს.

ხოლო ვინც კი პირველთქმულ კეთილმსახურების სჯულს არ შეიტკბობს და არ შეუდგება, იქადაგებს და ხელს მიჰყოფს მის შებრუნებას და უკუღმა შემოტრიალებას, შერჩევნებული იყოს ზემოთ მოხსენიებული წმიდა და ღმერთშემოსილი მამებისა და ქრისტიანთა კრებულისაგან და ისინი, როგორც უცხოები, გაძევებულ და გაგდებულ უნდა იქნან, რადგან ჩვენ არც არაფრის შემატებას და არც არაფრის დაკლებას ვიღებთ თავზე. ნუ გადავალთ სარწმუნოების პირველ განჩინებულ საზღვარს, ან რომელიმე სიტყვას.

VI მსოფლიო (კონსტანტინოპოლის) კრების I თავი.

* * *

ცხოველმყოფელ ჯვარს, რომელმაც ჩვენ დაგვანახვა მაცხოვრება და გვიხსნა ძველი შეცოდებებისაგან, ღირსი პატივი რომ მივუზღოთ, გვმართებს დიდი მისწრაფების გამოჩენა. ამიტომ გონებით, სიტყვით და გრძნობით მისთვის თაყვანისცემის შემწირველნი ვბრძანებთ: ყველგან ფეხით სავალ იატაკზე გამოსახული ჯვრის სახის წაშლას, რომ მასზე მავალთა ფეხით არ ლაითელოს იგი და ამით არ შეურაცხყონ ჩვენი ძლევამოსილების საჭურველი. ვინც ამიერიდან იატაკზე გამოსახოს ჯვრის მსგავსება, მათ უზიარებელ ყოფნას ვადგენთ.

VI მსოფლიო კრების 73-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## საღვთო კანონების დაცვის აუცილებლობის შესახებ

სამღვდელო განწესებანი და წმიდა კანონები წარმოადგენენ დამოწმებასა და გზა-მკვლევს იმათთვის, ვინც სამღვდელო პატივის წილხვდომილია. მათ სიხარულით შევიწყნარებთ ჩვენც, ღვთისმოსავ დავითთან ერთად ვუგალობთ ღმერთს და ვამბობთ: „შენი მცნებების გზაზე სიარული, დიდი სიმდიდრეა (ფსალმუნთა 118,14)". და „ამცნე შენი მცნებების სიმართლე უკუნისამდე. გამაგებინე და მაცხოვნე მე" (ფსალმუნთა 118,138,144). წინასწარმეტყველის ხმა უკუნისამდე გვამცნობს ჩვენ, რომ დავიცვათ ღვთის მცნებანი, ვიცხოვროთ მათ შესაბამისად და ამით ხსნა მოვიპოვოთ, რადგანაც ისინი უცვლელნი და შეურყეველნი არიან. ღვთის მხილველი დიდი მოსეც ასე ამბობს: „მათ (ღვთის მცნებებს) არც უნდა მიემატოს რამე, არც უნდა დააკლდეს" (სჯულის კანონი 12.32). საღვთო მოციქული პეტრე, რომელსაც ემყარებოდა ეს მცნებები, ამბობს: „ანგელოსიც კი თუ ის გახარებს თქვენ რაიმეს, გარდა იმისა, რაც უკვე გეხარათ და მიგიღიათ (ღვთის მცნებების სახით), შეჩვენებულ იყოს" (გალატელთა 1,8). ეს უკვე ასეა ნამცნები ჩვენთვის. გავიხაროთ ამით, როგორც დიდძალ ტყვეთა ხელში ჩამგდებმა. მხიარულებით განმტკიცდებით საღვთო კანონებში

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

და ყოველმხრივ შეურყევლად განვამტკიცებთ იმ კანონების გან-წესებას, რომლებიც დასხმულნი არიან სულის საყვირთა, ყოვლადქებულ მოციქულთა, წმიდა მსოფლიო კრებებისა, განჩინებების დადგენისათვის შეკრებილი ადგილობრივი კრებე-ბისა და წმიდა მამების მიერ, ვინაიდან, ერთი და იმავე სულის მიერ იყვნენ ყველა ისინი განათლებულნი და დაადგინეს, რაც უმჯობესი იყო. ვინც მათ შეაჩვენეს, ჩვენც შევაჩვენებთ, ვინც განკვეთეს –ჩვენც განვკვეთთ, ვინც უმიარებელი ყვეს – უმიარებელ ვყოთ, ვინც განაკანონეს – ჩვენც, აგრეთვე, განვაკანონებთ მათ, რადგანაც „თქვენი გზა იყოს არა ვერცხლისმოყვარეობით, იყავით კმაყოფილნი იმით, რაც გაქვთო" (ებრაელთა 13,5), ამკა-რად ამბობს მესამე ცამდე აღწეული და გამოუთქმელ სიტყვათა მსმენელი საღვთო მოციქული პავლე.

ნიკეის VII მსოფლიო კრების I კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ხელდასხმის შესახებ

თუ ვინმეს თვალთ აკლდეს, ან ფეხები ჰქონდეს დაზიანე-ბული, მაგრამ ღირსი იყოს სასულიერო წოდების, გახდეს

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

სასულიერო პირი, რადგან კაცს ბიწიანად აქცევს არა ხორციელი ნაკლი, არამედ სულის ჭუჭყი.

წმიდა მოციქულთა კრების 77-ე კანონი.

* * *

ნათლისღების შემდეგ ორჯერ ქორწინებულს ან ხარჭის მომყვანს აღარ შეუძლია გახდეს ეპისკოპოსი, ან ხელდასხმულ იქნეს მღვდლად, დიაკვნად ან სხვა სამღვდელო დასისაგანად.

წმიდა მოციქულთა კრების მე-17 კანონი.

* * *

იმას, ვინც შეირთავს ქვრივს, განტევებულს (განშორებულს), მეძავს, მხევალს (მონაქალს), ან მსახიობს, არა აქვს უფლება გახდეს სამღვდელო დასის წევრი.

წმიდა მოციქულთა კრების მე-18 კანონი.

* * *

თუ ვინმემ შეუსწავლელ-გამოუძიებლად მიიღოს მღვდლობის პატივი და გამოკითხვა-გამოძიების შემდეგ აღიაროს თავისი ცოდვები და აღიაროს, რომ კანონის დარღვევით მოხდა მისი ხელდასხმა. ასეთებს კანონი არ შეიწყნარებს, რადგან კათოლიკე ეკლესია უნაკლოს ეძებს.

ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მე-9 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ცოდვით დაცემულთაგანი თუ ვინმე ხელდასხმული იქნება, იცის თუ არ იცის ეს მისმა ხელდამსხმელმა, ამას არ ითვალისწინებს საეკლესიო კანონი. თუ ეს ცნობილი გახდება, ასეთები განიკვეთებიან.

ნიკეის პირველი მსოფლიო კრების მე-10 კანონი.

* * *

ხელდასხმა უნდა შესრულდეს გამოცდის შემდეგ, მთელი სამღვდელო დასის თანხმობით, არა ფარულად, არამედ, ეკლესიის შიგნით და ერის თანდასწრებით.

თეოფილე ალექსანდრიელის თანახმად.

* * *

ერს არა აქვს უფლება შეიკრიბოს და აირჩიოს ის, ვინც მღვდლად უნდა იქნას დადგენილი.

ლაოდიკიის კრების მე-13 კანონი.

* * *

ხელდასხმის დროს სულმოკლეობა და აჩქარება, როგორც უწესო და უკანონო საქციელი, ავკრძალეთ. ვადგენთ, რომ ამიერითგან აღარავინ გაბედოს არაფრის ქმნა, გარდა იმისა, რასაც კანონი განაწესებს: ეპისკოპოსი ხელდასხმული უნდა იქნეს ოცდახუთმეტი წლისა, მღვდელი – ოცდაათი წლისა, დიაკონი – ოცდახუთი წლისა, წიგნის მკითხველი – რვა წლისა.

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მე-2 კანონი.

## ეკლესიების აშენების შესახებ

სალოცავი სახლის შენებას ნუ მიჰყოფს ხელს ის, ვისაც არა აქვს შენების დამთავრების შესაძლებლობა.

ნიკეის VII მსოფლიო კრების მე-17 კანონი.

* * *

ტაძარი უნდა იკურთხოს ეპისკოპოსის ლოცვით და მათში მოწამეთა ნაწილების დასვენებით.

VII მსოფლიო კრების მე-7 კანონი.

* * *

ჩვენი ნეტარი და ღირსი მამების მიერ ძველად კეთილად წამოწყებული, ესოდენ მშვენიერი და პატიოსანი საქმე-მონასტერთა აშენება – ცუდად სრულდება ამჟამად. არის ზოგიერთი, ვინც თავის შეძენილ ქონებას და კარ-მიდამოს მონასტრის სახელს არქმევს და სალვთოდ განწმენდილად თვლის მათ. შემდეგ უფლისთვის შეწირულს მაინც თავისთვის მიიწერს და ვერაგულად საღვთო კუთვნილების მხოლოდ სახელს არქმევს, რადგანაც არ რცხვენია, რომ შეწირვის შემდეგაც აქვს მისი მოხვეჭისა და ქონების უფლება, როგორც ადრე ჰქონია. ეს საქმე ისე გადაიხარა უწესობისაკენ, რომ შეწირული მიწებიდან ბევრს ჰყიდიან თვით

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ⌘⌘⌘⌘

შემწირველნი, რაც მხილველების გაკვირვებასა და ზიზღის მიზეზი ხდება. ისინი კი, არამცთუ თვითონ არ ნანობენ ღვთისათვის ერთხელ შეწირულზე თავისი უფლებების გავრცელებას, არამედ, სხვებისათვის მიცემასაც არ ერიდებიან. ამის გამო, წმიდა კრებამ განსაზღვრა, რომ არავის არ უნდა ჰქონდეს მონასტრის აშენების უფლება, თუ ამას არ გაიგებს და ნებას არ დართავს იმ ადგილების ეპისკოპოსი. ხოლო თუ ეპისკოპოსი თანახმა იქნება და ამის გაკეთებას ბრძანებს, უნდა წარმოთქვას დაწესებული ლოცვა, როგორც პირველთა მიერ ღვთისმოყვარეობით არის დაკანონებული. მაშინღა უნდა აშენდეს მონასტერი და ყველაფერი, რაც მისთვის არის შეწირული, ქონება თუ ფული, მონასტერთან ერთად, ჩაწერილი უნდა იქნას აღწერის წიგნში, რომელიც ინახება საეპისკოპოსო ეკლესიის საცავში. შემწირველსა და მშენებელს არა აქვთ უფლება ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, თავისი თავი ან თავის ნაცვლად სხვა ვინმე დაადგინოს მონასტრის წინამძღვრად, ვინაიდან თუ კი კაცი ვინმეს საჩუქრად მისცემს რაიმეს და მისი მფლობელი აღარ შეუძლია იყოს, მით უმეტეს ვეღარ იქნება იგი იმის მფლობელი, რაც მიართვა და შესწირა ღმერთს.

კონსტანტინოპოლის წმიდა მოციქულთა ტაძარში შეკრებილი ორგზის წმიდა დიდი კრების I კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## ეკლესიასთან დაკავშირებული კანონების შესახებ

ღვთის ტაძარში პირუტყვის შეყვანა არ შეიძლება, უკიდურესი გაჭირვების შემთხვევის გარდა.

VI მსოფლიო კრების 88-ე კანონი.

* * *

არ შეიძლება ტაძრების მიტაცება, მათი ჩვეულებრივ საცხოვრებლად გადაქცევა.

VII მსოფლიო კრების მე-13 კანონი.

* * *

ის, ვინც ღვთის სახლის შეურაცხყოფას ასწავლის, შეჩვენებული უნდა იყოს.

ლანგრის კრების მე-5 კანონი.

* * *

ვინც ეკლესიაში ლოცვაზე ბოლომდე არ რჩება, უზიარებელ უნდა იყოს.

მოციქულთა კრების მე-9 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ეკლესიაში ჭამა, ქეიფი, საწოლის გამლა და ძმური სიყვარულის ტრაპეზის (აღაპის) გადახდა არ შეიძლება.

VII მსოფლიო კრების 74-ე კანონი, კართაგენის 42-ე კანონი.

* * *

ქალს, დედობრივი წესის დროს, ღვთის ტაძარში შესვლისა და ზიარების მიღების უფლება არა აქვს.

დიონისე ალექსანდრიელის მე-2 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## საეკლესიო ნივთების შესახებ

წმიდა კრებამ განსაზღვრა, რომ ვინც წმიდა ბარძიმს, ფეშხუმს, მარწუხს (საზიარებელ კოვზს), საკურთხევლის სამღვდელო შესამოსელს, პერექელს, ანუ ცას, ან საკურთხევლის შიგნით სამსახურებელ ყოველგვარ, წმიდა ჭურჭელს ან შესამოსელს თავისი სარგებლობისათვის მიიტაცებს ან სიწმიდეთა გარდა სხვა რამისათვის იხმარს, ის უნდა დაისაჯოს სრული განკვეთით, ვინაიდან ერთი მათგანი სიწმიდეთმკრეხელობაა, ხოლო მეორე – შეგინება. ვინც საკურთხევლის გარეთ მყოფ საეკლესიო ჭურჭელს ან ნაქსოვს სიწმიდეთა გარდა თავისთვის ან სხვისთვის მოიხმარს,

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

მათ კანონი უზიარებლობით დასჯის და ჩვენც, მასთან ერთად, უზიარებელვყოთ, ხოლო მთლიანად მიმტაცებლებს სიწმიდეთა მკრეხელთა კანონით და სასჯელით განსჯის.

კონსტანტინოპოლის ორგზის დიდი კრების მე-10 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ლოცვისა და გალობის შესახებ

ლოცვა აღასრულეთ განთიადისას, სამზე, ექვსზე და ცხრაზე. მწუხრის დროს (დღე-ღამის გასაყარზე) და მამლის ყივილის დროს, განთიადისას იმიტომ, რომ განგვენათლა ჩვენ უფალმა, ღამის უკუმდებმა და დღის მომყვანმა. სამ საათზე იმიტომ, რომ ამ დროს მიიღო უფალმა პილატესაგან განაჩენი. ექვსზე იმიტომ, რომ მაშინ ჯვარს ეცვა ქრისტე. ცხრაზე იმიტომ, რომ ამ დროს ყველა შეძრწუნებული იყო მეუფე ქრისტეს ჯვარცმისა და ბოროტმსახური ურიების კადნიერების გამო და ვეღარ ითმენდნენ უფლის გინებას. მწუხრისას (დღე-ღამის გასაყარზე) იმიტომ, რომ მადლობა ვუთხრათ უფალს, ღამე რომ მოგვცა ყოველდღიური შრომის შემდეგ მოსასვენებლად. მამლის ყივილის დროს იმიტომ, რომ ეს არის დღის მოსვლისა და ნათელის გამოჩენის მახარობელი.

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-8 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

თუ ეკლესია ურწმუნოებს უპყრიათ და იქ მისვლა არ შეიძლება, სახლში შეკრიბე, ჰოი, ეპისკოპოსო, მრევლი, რომ კეთილმსახური არ შევიდეს ბოროტმსახურთა შესაკრებელში, რადგან ადგილი კი არ განწმენდს კაცს, არამედ კაცი ადგილს.

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-9 კანონი.

* * *

თუ ურმერთოებმა დაიპყრონ ადგილი, გაიქეცი შინ, რადგან მათ შეაგინეს იგი. როგორც ღირსეულნი განწმენდნენ სამღვდელო პირებს, ასევე, ბილწები შებილწავენ.

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-10 კანონი.

* * *

თუ ერთად შეკრების შესაძლებლობა არ იყოს სახლში და არც ეკლესიაში, თითოეულმა ილოცოს, იკითხოს, იგალობოს თავისთვის, ან ორმა ან სამმა ერთად, რადგან უფალი ამბობს: „სადაცა იყვნენ ორნი ან სამნი შეკრებილნი სახელისა ჩემისათვის, მუნ ვარ მე შორისა მათსა" (მათე, 18, 20).

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-11 კანონი.

***

დადგენილი მგალობლების გარდა, რომლებიც ადიან

ამბიონზე და გალობენ დიფთერით, სხვა ვინმეს უფლება არ აქვს ეკლესიაში იგალობოს.

ლაოდიკიის კრების მე-15 კანონი.

## დაუწერელი კანონების ზეპირად გადმოცემის შესახებ

ეკლესიაში დაცული სჯული და ქადაგებები ზოგი წერილობით მოცემული მოძღვრების სახით გვაქვს, ხოლო ზოგი მიღებული გვაქვს მოციქულთაგან, საიდუმლოდ გადმოცემული. ამათგან ორივეს ერთი და იგივე ძალა აქვს კეთილმსახურებისათვის და ამას არავინ არ თვლის საკამათოდ, ვისაც საეკლესიო განწესებათა ცოტაოდენი ცოდნა მაინც აქვს. თუ დაუწერელი წესების დარღვევას მივყოფთ ხელს, ვითომცდა იმიტომ, რომ მათ არა აქვთ დიდი ძალა, ამით თავს ვავნებთ თვით სახარების არაჯეროვანი გაგებით, ჩვენი ქადაგება შეიკვეცება და მხოლოდ სახელწოდებაღა შეგვრჩება. თავდაპირველად ვახსენებ პირველსა და საერთოს: მორწმუნეების მიერ ჯვრის სასწაულის გამოსახვა ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სახელის მიმართ ვინ გვასწავლა წერილობით? ლოცვის დროს აღმოსავლეთის მხარეს თაყვანისცემა რომელმა წიგნმა გვაუწყა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ? მადლობის (ევქარისტიის) პურის ან სასმელის კურთხევის დროს სათქმელად რომელმა წმიდანმა დაგვიტოვა ჩვენ წერილობით რაიმე? არც მხოლოდ იმით დავკმაყოფილდებით, რაც მოიხსენიეს მოციქულებმა ან სახარებამ, არამედ, მათზე ადრე და მათ შემდეგაც ვახსენებთ სხვა რამ მრავალსაც, როგორც საიდუმლოს მიმართ დიდი ძალის მქონეს. ეს კი მიღებული გვაქვს დაუწერელი მოძღვრებისაგან, ხოლო ვაკურთხებთ, აგრეთვე, ნათლისღების წყალს და ცხების ზეთს და ვლოცულობთ ნათლისმღებელზე, რომელი წერილობითი გადმოცემისაგან მიგვიღია ეს? განა დაფარული და საიდუმლო უწყეშისაგან, არა? ხოლო თუ რა არის ზეთის ცხება, რომელმა დაწერილმა სიტყვამ გვასწავლა? საიდან არის კაცთა სამჯერადი ჩაყოფა წყალში ნათლისღების დროს? ამის გარდა სხვა რამდენი რამ არის ნათლისღების დროს: სატანისაგან და მისი ანგელოზებისაგან განშორება რომელი წერილიდან არის? განა არ არის ეს გაუმხელელი და უთქმელი მოძღვრებიდან, რომელიც მიუწვდომელია დაწვრილებითი გამოძიებისა და გამოკვლევისათვის და რომლებიც საიდუმლოდ შეინახეს ჩვენმა მამებმა, ღვთის საიდუმლოთა დუმილით შენახვაში განსწავლულებმა? როგორ შეეფერებოდა ამ მოძღვრების გაცხადება და წერილობითი გამხელა იმათ, ვინც განუსწავლელია საიდუმლოში და მისი შეხედვის უფლებაც კი არა აქვს, რადგანაც იმათთვის, ვინც ზიარებული არ არის საიდუმლოს და უფლებაც არა აქვს შეხედოს მას, რამდენად შესაფერისია მოძღვრებით გაცხადება და წერილობით გამხელა? და ასე შემდეგ.

რადგანაც დაუწერელი გადმოცემის სიტყვად სარწმუნოებითი სჯულის (დოგმატის) ცოდნა არ არის დადებული სასწავლებლად, იგი ადვილად შეიძლება შეურაცხსაყოფელი გახდეს მრავალთაგან, ჩვეულების გამო, რადგანაც სხვა არის სარწმუნოებითი კანონის (დოგმატი, სჯული) და სხვა – ქადაგება. სარწმუნოებითნი სჯულნი (დოგმატები) დაფარულნი არიან, ხოლო ქადაგებები –გამხელილნი. დუმილისა და შეფარვით თქმის სახედ იყენებს წმიდა წერილი ძნელად მისაწვდომობას და იმას, რომ სარწმუნოებითი სჯულის (დოგმატის) აზრი არ არის ადვილად მისახვედრი მკითხველთათვის მათდა სასარგებლოდ. ამის გამო ყველანი ვუცქერით აღმოსავლეთს ლოცვის დროს, მაგრამ ცოტამ ვიცით, რომ ჩვენ პირველ მამულს, სამოთხეს, ვეძიებთ, რომელიც შექმნა ღმერთმა ედემში აღმოსავლეთით (შედარება შესაქმის 2,8) და სწორად მდგომარენი აღვასრულებთ ღღის ლოცვებს. ამის მიზეზი კი ყველამ არ ვიცით: ლოცვების დროს სწორად დგომით არა მხოლოდ როგორც ქრისტესთან ერთად აღმდგარნი და ზეცის მაძიებელნი აღდგომის დღეს ჩვენთვის მოცემულ მადლს გავახსენებთ ჩვენს თავს, არამედ ამით ეს დღე გვესახება მომავალი უსასრულობის ხატად. ამის გამო დღეების დასაწყისად დაწესებული ეს დღე მოსესთანაც იწოდება არა პირველად, არამედ ერთად (ერთშაბათი), რადგანაც „იყო მწუხრი – ამბობს – და იყო განთიად დღე ერთი" (შესაქმის 1,5), რადგანაც როგორც ერთი და იგივე დღე მოიქცევა იგი მრავალჯერ და ამის გამო ერთია ის და, იმავე დროს, მერვეც, ნამდვილად ერთი და ჭეშმარიტი მერვე დღე, რომელიც მეფსალმუნემაც მოიხსე-

ნია ფსალმუნის წარწერებში და რომელიც მოასწავებს ამ საუკუნის შემდგომ მომავალ დაწყნარებას და დაუსრულებელ დღეს, დაუბინდებელ, უცვლელ, დაუსრულებელ და დაუბერებელ საუკუნეს. ამის გამო ეკლესია ასწავლის თავის აღმზრდელებს, რომ გამართულად მდგომარეებმა შესწირონ ლოცვა და რომ დაუსრულებელი ცხოვრების ხშირი გახსენებით დაუდევრად არ მოვექცეთ იქ მომყვანი საგზლის მოპოვებას. მთელი დრო სულიწმიდის მოფენის დღეებისა, მომავალ საუკუნეში აღდგომის გასახსენებელია: ეს ერთი და პირველი დღე, შვიდჯერ შვიდწილქმნილი, შეასრულებს ორმოცდამეათე დღის შვიდ კვირას. კვირის პირველი დღით დაწყებული მასზევე დასრულდება ორმოცდამეათე რიცხვზე გადასვლით. ორმოცდაათეულის ბრუნვას საუკუნის სახე ეძლევა, რადგან წრიულად ბრუნავს, ერთი და იმავე ნიშნიდან და წერტილიდან დაწყებული და მასზევე დასრულებული. საეკლესიო წესი გვასწავლის კვირა დღეებში ფეხზე მდგომარე ლოცვას და ამ ცხადი შეხსენებით ჩვენს გონებას იწვევს ამქვეყნიური ცხოვრებიდან სამუდამოში, იმქვეყნიურში დასამკვიდრებლად, ხოლო ყოველდღიური მუხლმოდრეკით და ისევ აღგომით ვაჩვენებთ, რომ ცოდვით ქვეყანაზე დავეცით და ჩვენი დამბადებლის კაცთმოყვარეობით ზეცისაკენ ვართ მიხმობილი. დღე გამითავდება მე უწრელი საიდუმლოებების ეკლესიისათვის მოთხრობაში, ამიტომ თავს დავანებებ დანარჩენს. თვით სარწმუნოების აღსარება მამისა, ძის და სულიწმიდის მიმართ რომელი წიგნიდან გვაქვს მიღებული? თუ ნათლისღების მიერ მოცემისაგან და კეთილმსახურების წესების

მიხედვით ვინათლებით, ასევე, გვმართებს გვწამდეს, რომ უეჭველად ნათლისღების მსგავს აღსარებას ვაღიარებთ. ამიტომ ნება უნდა მოგვეცეს ჩვენ, რომ სარწმუნოების აღსარებას ამავე წესით შესაფერისი დიდება მივცეთ. ხოლო თუ დიდებისმეტყველების ამ სახეს გვერდს უვლიან, ეს იმიტომ, რომ იგი დაუწერელია. მაშინ წარმოგვიდგინონ ჩვენ წერილობითი მტკიცება სარწმუნოების აღსარებისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც აღვრიცხეთ.

მაშასადამე. ამდენი და ასეთი ძალის მქონე კეთილ მსახურების საიდუმლო მოცემული გვაქვს დაუწერლად. განა არ უნდა მოგვეცეს ნება, რომ გვქონდეს მამათაგან ჩვენამდე მოღწეული გადმოცემა, რაც ვნახეთ დაუზიანებელ ეკლესიებში შემორჩენილი. ეს არ არის გამოგონილი ჩვეულებით დამტკიცებული და მას შეუძლია არა მცირე ძალისა და სისრულის მინიჭება საიდუმლოსათვის.

ბასილი დიდი ნეტარი ამფილოქესადმი მიწერილი წიგნის
27-ე თავიდან სულიწმიდის შესახებ

## კანონიკურად აღიარებული წიგნების შესახებ

თქვენთვის ყველასათვის, სამღვდელოებისათვისაც და ერისკაცთათვისაც იყოს ძველი აღთქმის შემდეგი საღვთო წიგნები: ხუთი მოსესი – დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯულისა. იესო ნავეს ძისა – ერთი, მსაჯულთა – ერთი, რუთისა – ერთი, მეფეთა – ოთხი, ნეშტთა – ორი, ეზრასი – ორი, ესთერისი – ერთი, მაკაბელთა – სამი, იობისა – ერთი, საფსალმუნე – ერთი, სოლომონისა – სამი, იგავნი, ეკლესიასტე, ქებათა-ქება, თორმეტი წინასწარმეტყველისა: ესაიასი – ერთი, იერემიასი – ერთი, ეზეკიელის – ერთი, დანიელის – ერთი. ამათ გარდა შეისწავლეთ თქვენ და ასწავლეთ თქვენს ახალგაზრდებსაც მრავალსწავლული ზირაქის სიბრძნე. ჩვენი წიგნები, ე.ი. ახალი აღთქმის წიგნებია: ოთხი სახარება: მათესი, მარკოზისი, ლუკასი და იოანესი, პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, პეტრეს ორი ეპისტოლე, იოანეს – სამი, იაკობისა ერთი, იუდასი – ერთი, კლიმენტის ეპისტოლე – ორი და ეპისკოპოსთათვის განწესებული კლიმენტის მიერ რვა წიგნში აღწერილი, რომლებიც ყველას მსჯელობის საგანი არ უნდა გახდეს მათში შესულ საიდუმლოთა გამო და მოციქულთა საქმენი. ეს კანონები განწესებულია ჩვენ მიერ თქვენთვის, ო, ეპისკოპოსნო, ხოლო თქვენ თუ ამას დაიცავთ, ცხონდებით და მშვიდობა გექნებათ, ხოლო თუ ეურჩებით, დაიტანჯებით და მუდმივი ბრძოლა

ჱჱჱჱჱჱჱჱჱჱჱჱჱ ✝ ჱჱჱჱჱჱჱჱჱჱჱჱჱ

ჱჱჱჱ

გექნებათ ერთმანეთში და ურჩების შესაფერისი სასჯელიც დაგედებათ. ერთმა ღმერთმა, სამარადისოჲ და ყველას დამბადებელმა მშვიდობის მიერ გაგაძლიეროთ თქვენ ყველანი სულიწმიდით და განგამტკიცოთ ყველა კეთილი საქმის მიმართ სწორად, ბრალის გარეშე, უბიწოდ და ღირსი გაგხადოთ საუკუნო ცხოვრებისა ჩვენთან ერთად მისი საყვარელი ძის, ჩვენი მაცხოვრის იესო ქრისტეს შუამდგომლობით, რომელთანაც არის დიდება ყოველთა უზენაეს ღმერთთან, მამასთან ერთად ნუგეშინის მცემელი სულიწმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მოციქულთა კრების 85-ე კანონი.

* * *

ეკლესიაში წაკითხული უნდა იქნას მხოლოდ კანონიკური, საყოველთაოდ მიღებული წიგნები.

კანონის მიერ მოხსენიებულ წიგნთა გარდა, ეკლესიაში არ უნდა იკითხებოდეს არაფერი საღვთო წერილის სახელით. კანონის მიერ მოხსენიებული წიგნებია შემდეგი: დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა, მეორე სჯულისა. იესო ნავსი, მსაჯულთა, მეფეთა ოთხი წიგნი, ნეშტთა ორი წიგნი, იობის წიგნი, ფსალმუნი, სოლომონის სამი წიგნი, წინასწარმეტყველთა თორმეტი წიგნი: ესაი, იერემია, ეზიეკელი, დანიელი, ტობია, იუდითი, ესთერი და ეზდრას ორი წიგნი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✠ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

ახალი აღთქმის წიგნებია: ოთხი სახარება, მოციქულთა საქმის წიგნი ერთი, პავლეს თოთხმეტი ეპისტოლე, პეტრეს ორი ეპისტოლე, იოანე მოციქულის – სამი, იაკობ მოციქულის – ერთი, იუდა მოციქულის – ერთი, იოანეს გამოცხადება – ერთი წიგნი. ჩვენს ძმასა და თანამწირველს ვონიფანტეს და იმ მხარის სხვა ეპისკოპოსებსაც ეუწყოს ეს წინამდებარე კანონის დასამტკიცებლად, ვინაიდან ეს (წიგნები) მივიღოთ მამათაგან ეკლესიაში საკითხავად.

კართაგენის ადგილობრივი კრების 24-ე კანონი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

## ფსალმუნებისა და წიგნის მკითხველთა შესახებ

ნურავის მიეცემა უფლება სამღვდელო დასში დაწესებულთა წესისამებრ საღვთო სიტყვის ქადაგებისა ერისათვის, თუ სამღვდელო აღკვეცა და კანონებრივი კურთხევა არ მიიღოს თავისი მწყემსისაგან. თუ ვინმე გაბედავს ამ კანონის საწინააღმდეგო ქმედებას, უზიარებელი იყოს.

VI მსოფლიო კრების 33-ე კანონი.

* * *

რომლებიც ეკლესიაში ლოცვისა და გალობისთვის

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

იკრიბებიან, ნუ ხმაურობენ უწესოდ და თავს ნუ აიძულებენ, რომ იყვირონ. ნურც იტყვიან რაიმეს ისეთს, რაც არ შეეფერება და შეესაბამება ეკლესიას, არამედ იდგეს მოკრძალებით და ლმობიერებით. ლოცვას ფარული საქმეების ზედამხედველს, ღმერთს უნდა შესწირავდნენ, რადგან „განკრძალულ იყვენითო" (ლევიტელთა 15,31) - ისრაელის ძეთ ასწავლიდა საღვთო სიტყვა.

VI მსოფლიო კრების 75-ე კანონი.

საღმრთო წერილი ახსნილი და განმარტებული უნდა იყოს წმიდა მამათა ნაწერებიდან შეთანხმებით.

VI მსოფლიო კრების მე-19 კანონი.

* * *

ყველა ქრისტიანი, განსაკუთრებით მღვდელმსახურნი, განსწავლულ უნდა იყვნენ საღვთო წერილში.

VII მსოფლიო კრების მე-2 კანონი.

* * *

საღმრთო წერილის წინააღმდეგნი არავინ გადარჩენილა ღმრთისაგან დაუსჯელი.

კართაგენის კრების მე-5 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

წიგნის მკითხველმა უნდა მიიღოს ხელდასხმა.

VII მსოფლიო კრების მე-14 კანონი.

* * *

წიგნის მკითხველმა სრულწლოვანმა ან უნდა იქორწინოს, ან უნდა დასდოს ქალწულობის აღთქმა.

მოციქულთა კრების 26-ე, VI კრების მე-6, კართაგენის კრების მე-16 კანონები.

* * *

წიგნის მკითხველი, რომელიც ქორწინებამდე შეუერთდება დანიშნულს, მსახურებისაგან განყენებული უნდა იყოს ერთი წლით და შემდეგ იქნება წიგნისმკითხველად, მაგრამ ხარისხი აღარ მიემატება.

ბასილი დიდის მე-19 კანონი.

* * *

თუ მგალობელი დაიწყებს თამაშსა და ღვინის სმას და ამას თავს არ დაანებებს, იგი უნდა დაისაჯოს უზიარებლობით.

მოციქულთა კრების 43-ე კანონი.

✠ ✠ ✠

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✠ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

## წმიდა შესაწირავის შესახებ

პურისა და წყლით განზავებული ღვინის გარდა, არაფრის შეწირვა სიწმიდედ არ შეიძლება.

კართაგენის 37-ე კანონი.

* * *

წმიდა შესაწირავის სახლებში შეწირვა არ შეიძლება.

ლაოდიკიის 58-ე კანონი.

* * *

მძიმე ტანჯვის გამო სარწმუნოების უარმყოფელთათვის, ვინც შემდეგ მოინანია, შეიძლება შესრულდეს შესაწირავის შეწირვა.

პეტრე ალექსანდრიელის I-ლი კანონი.

* * *

თუ ვინმე სასულიერო პირმა ან ერისკაცმა წმიდა ეკლესიისგან მიიტაცოს სანთელი ან ზეთი, უზიარებელი იქნეს და ხუთწილად ჩამოერთვას, რაც წაიღო.

მოციქულთა 72-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

თუ ვინმე მისცემს ან მიიღებს საეკლესიო შესაწირავს ეპისკოპოსის ან ქველმოქმედებათა გამგებელი მსახურის გარეშე, შეჩვენებული იყვეს მიმცემელიცა და მიმღებელიც.

ღანგრის მე-8 კანონი.

* * *

ის, ვინც ეკლესიის გარეთ ისურვებს საეკლესიო შესაწირავთა მიღებას ან გაცემას ეპისკოპოსის ნებართვის გარეშე, ან იმის გარეშე, ვისაც დავალებული აქვს ეს საქმე და არა მისი ნებართვით მოინდომებს ამის გაკეთებას, შეჩვენებული იყოს.

ღანგრის მე-7 კანონი.

* * *

ის, რაც დარჩენილია სამსხვერპლო ძღვნად მოტანილიდან საიდუმლო მსახურებისათვის საკმარისის შეწირვის შემდეგ, მღვდლების მიერ უნდა გაიყოს, კათაკმეველებმა კი არ უნდა ჭამონ და სვან, არამედ მხოლოდ მღვდლებმა და მათთან მყოფმა მორწმუნე ძმებმა.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-7 კანონი.

* * *

თუ ვინმე ქრისტიანმა ზეთი მიიტანოს წარმართულ ტაძარ-

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ძი, ან ურიათა შესაკრებელში მათ დღესასწაულზე, ან სანთელი აანთოს, უზიარებელი იქნეს.

მოციქულთა კრების 71-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ზიარების შესახებ

ქრისტეს ვემამ და ტაძრად ხმამაღლა სახელსდებს საღვთო მოციქული "ღვთის ხატად" დაბადებულ კაცს, რადგან ყოველ ხილულ დაბადებულზე ზეაღმატებული არის კაცი, რომელიც ღირსია მიიღოს გადამრჩენი ვნების სახის ნაცვალი ქრისტეს ზეციურ საიდუმლოთა ჭამით და სმით (ზიარებით), რადგან ამით საღმრთო მადლი ვანწმენდილი დაუსრულებელი ცხონებისა სამარადისო ნეტარებისათვის სულით და ხორცით ვანათლდება. ამიტომ, ვინც წმიდა ჟამის წირვის დროს ისურვოს უხრწნელი ხორცითა და სისხლით ზიარება, უნდა მიეიდეს მისი მაზიარებლის წინაშე, ჯვრის სახედ დაიწყოს ხელები მკერდზე და ასე მიუახლოვდეს და მიიღოს მადლის ზიარება.

VI მსოფლიო კრების 101-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

მორწმუნე, რომელიც ეკლესიაში ლოცვის დასრულებას დ
ზიარებას არ ელოდება, უზიარებლობით ისჯება.

მოციქულთა კრების მე-9 კანონ

* * *

ყველამ, ვინც მიდის ამ ქვეყნიდან, უნდა მიიღოს ზიარება.

I მსოფლიო კრების მე-13, კართაგენის მე-
გრიგოლ ნოსელის 1-ლი და მე-4 კანონები

* * *

ქმარი და ცოლი, რომლებსაც ერთად ეძინათ, ნუ მიიღებენ
ზიარებას.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-5 კანონი

* * *

ქალი, რომელსაც დედათა წესი აქვს, არ უნდა ეზიაროს.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-7, დიონის
ალექსანდრიელის მე-2 კანონები

* * *

თუ ეშმაკისაგან შეპყრობილი მორწმუნე არ აგინებს საიდუმ-
ლოს, იგი შეიძლება დროგამოშვებით ეზიაროს.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-3 კანონი

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

თუ სიზმარში შემცოდეს სურს ზიარების მიღება და მას საგანა გამოცდის იმ მიზნით, რომ ჩამოაშოროს ზიარებას, იგი უნდა ეზიაროს.

დიონისე ალექსანდრიელის მე-4, ტიმოთე ალექსანდრიელის მე-12 კანონები.

* * *

ის, ვინც თვლის, რომ არ შეიძლება ზიარების მიღება დაქორწინებული მღვდლისაგან, შეჩვენებული უნდა იყოს.

ლაოდიკიის მე-2 კანონი.

* * *

განყენებული, რომელიც სასოწარკვეთის გამო ზიარების ღირსი გახდება, განკურნების შემთხვევაში, ისევ უნდა დარჩეს სინანულის იმავე საფეხურზე, რომელზეც იყო.

I მსოფლიოს კრების მე-13, გრიგოლ ნოსელის მე-5 კანონები.

* * *

გარდაცვლილის ზიარება არ შეიძლება.

VI მსოფლიოს კრების 83-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘
⌘⌘⌘⌘

ერისკაცს, რომელსაც არ აიძულებდეს რაიმე გაჭირვ[ება] ან მარცხიანი საქმე, მრავალი დღის განმავლობაში დააკლდ[ეს] ეკლესიას, სამი კვირის ან სამი შვიდეულის (კვირის) განმავლობა[ში] არ მოვიდეს ეკლესიაში, ზიარების უფლება არ მიეცეს.

VI მსოფლიო კრების მე-80 კანო[ნი]

* * *

თუ ვინმე ილოცებს უზიარებელთან ერთად, თუნდ[აც] სახლში, ისიც უზიარებლობით უნდა დაისაჯოს.

კართაგენის 33-ე კანო[ნი]

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## კათაკმევლობისა და ნათლისღების შესახებ

მოსანათლად განმზადებულებს მართებს სარწმუნოების შესწავლა და შვიდეულის (კვირის) მეხუთე დღეს მოთხრობა ეპისკოპოსისა ან მღვდლისთვის.

ლაოდიკიის კრების 46-ე, VI მსოფლიო კრების 78-ე კანონები.

* * *

კათაკმეველი არ ისჯება იმისათვის, რაც ჩაუდენია კათაკმევლობამდე.

ბასილი დიდის მე-20 კანონი.

* * *

მაგრამ თუ კათაკმეველი შესცოდავს, ის ისჯება ეპიტიმიით.

I მსოფლიო კრების მე-14, ნეოკესარიის კრების მე-5 კანონები.

* * *

თუ კათაკმეველი ყრმა, ან არასრულწლოვანი, უცოდინარობით ეზიარება საიდუმლოს, იგი უნდა მოინათლოს.

ტიმოთე ალექსანდრიელის I კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

კათაკმეველი, რომელიც სნეულების დროს გონს დაკარგავს, შეიძლება მოინათლოს, თუ ბოროტი სულით არ არის შეპყრობილი.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-4 კანონი.

* * *

ქალი არ შეიძლება მოინათლოს მანამ, სანამ ღედათა წესისაგან არ განიწმინდება.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-6 კანონი.

* * *

კათაკმეველმა არ შეიძლება ჭამოს მსხვერპლის შესაწირავისაგან.

თეოფილე ალექსანდრიელის მე-8 კანონი.

* * *

ცოდვის გამო ეპიტიმიით დასჯილი კათაკმეველი სიკვდილის წინ უნდა მოინათლოს და წმიდა საიდუმლოს ეზიაროს.

კირილე ალექსანდრელის მე-4 კანონი.

* * *

სნეულებაში ნათელღებულებს და მერე გამოჯანმრთელებულებს მართებთ სარწმუნოების შესწავლა და ცოდნით

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

აღჭურვა, რომ საღვრთო საჩუქრის ღირსნი გახდნენ.

ლაოდიკიის კრების 47-ე კანონი.

* * *

მამათა კანონებრივი წესის მიყოლით ვადგენთ: ჩვილები, რომლებსაც არ ჰყავთ მტკიცე და ზედმიწევნით მცოდნე მოწმეები, რომლებიც დაამოწმებენ, რომ ისინი ნამდვილად ნათელღებულნი არიან და თვითონაც არ შეუძლიათ პასუხი გასცენ უასაკობის გამო, რომ მიღებული აქვთ ნათელი, ყოველ მიზეზგარეშე უნდა მოინათლონ, რადგან შესაძლებელია ამგვარად ისინი მოუნათლავი დარჩნენ.

VI მსოფლიო კრების 84-ე, კართაგენის კრების 72-ე კანონები.

* * *

გარდაცვალებულთა გვამებს სიწმიდის ზიარება არ მიეცემათ, რადგან წმიდა წერილში წერია: „მიიღეთ", „ჭამეთ" (მათე 26, 26), გარდაცვალებულს კი, არც მიღება შეუძლია და არც ჭამა, ასევე არც ნათელი უნდა ეცეს მკვდარს.

კართაგენის კრების მე-18 კანონი.

* * *

ის, ვინც მონათვლამდე კერპს მსხვერპლი შეწირა, შემდეგ მოინათლა, მიგვაჩნია, რომ შეიძლება გახდეს მღვდელი, როგორც ემბაზისაგან განწმენდილი.

ანკირიის კრების მე-12 კანონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

თუ ეკლესიაში შემსვლელი კათაკმეველი კათაკმეველთა რიგში დგას და აღმოჩნდება რომ სცოდავს, (შემდეგ) მუხლმოდრეკილთა შორის გადაყვანილიც არ შეისმენს, რომ არ უნდა სცოდოს და მსმენელობის დროსაც შესცოდავს, განდევნილი უნდა იქნეს ეკლესიისგან.

ნეოკესარიის კრების მე-5 კანონი.

***

ავადმყოფებს, რომლებსაც არ შეუძლიათ თვითონ გასცენ პასუხი, მაშინ უნდა ეცეთ ნათელი, თუ მოწმე, რომელიც მათ სურვილს გამოხატავს, თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას.

კართაგენის კრების 45-ე კანონი.

***

ფეხმძიმე უნდა მოინათლოს მაშინ, როდესაც მოისურვებს. ამ დროს ინათლება დედა და არა მისი ნაყოფი მისი მეშვეობით, ვინაიდან ქრისტესთან შეერთების სურვილი მოსანათლმა თავისი ნებით უნდა გამოამჟღავნოს.

ნეოკისარიის კრების მე-6 კანონი.

***

ნათლისღება უნდა შესრულდეს უფლის განწესებით მამისა, ძისა და სულიწმიდის მიმართ.

მოციქულთა კრების 49-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ნათელღებულები განწმენდილი ცხოვრებით უნდა მიუახლოვდნენ ღმერთს.

VI მსოფლიო კრების 96-ე კანონი.

* * *

წარმართული ცხოვრებიდან სარწმუნოებაში ახალმოსულები მაშინვე არ უნდა მივიყვანოთ სულიერ ემბაზთან (სანათლავთან).

ნიკეის I კრების მე-2, ლაოდიკის კრების 45-ე კანონები.

* * *

ჩვილები ინათლებიან ცოდვების მისატევებლად, რათა ახალი დაბადებით (შობით), განიწმინდოს მათში ის, რაც მოჰყვათ ძველი დაბადებიდან (შობიდან). ის, ვინც უარს ამბობს ნათლობის საჭიროებაზე და ამტკიცებს, რომ ჩვილებს არაფერი გადმოსცემიათ წინაპართა ცოდვათაგან, რასაც ახალი შობით განწმენდა სჭირდება, ანათემას იმსახურებენ.

კართაგენის კრების 110-ე კანონი.

* * *

მეორედ ნათლისღება არ შეიძლება.

მოციქულთა კრების 47-ე, კართაგენის კრების 48-ე კანონები.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ერეტიკული ნათლისღება არ არის მისაღები.

მოციქულთა კრების 46-ე, ბასილი დიდის I კანონები.

* * *

ნათლისღება უნდა შესრულდეს ეკლესიაში, ხოლო სახლის სამლოცველოში, მხოლოდ ეპისკოპოსის ნებართვით.

მწვალებლებს, რომელთაც სურთ გახდნენ მართლმადიდებლები ეკლესია შეიწყნარებს სხვადასხვა წესით: არიანელნი, მაკედონიანელნი, სავატიანელნი, ნავატიანელნი (წმინდანენი ანუ მარცხენენი), მეთოთხმეტიანელნი, (ტეტრალიტე-ბი), აპოლიანერელნი შეიწყნარებიან წერილობითი მოწმობით (სიმტკიცის ქარტიით). ამ მოწმობაში ანუ ქარტიაში, ისინი შეაჩვენებენ თავიანთ შეხედულებებს და ყველანაირ მწვალებლობას. შემდეგ მათ სცხებენ მირონს შუბლზე, თვალებზე, ცხვირზე, პირსა და ყურებზე (მათ ეკლესია არ ნათლავს ხელახლა, რადგან ნათლისცემით ისინი არ განსხვავდებიან მართლმადიდებლებისაგან).

რაც შეეხება სხვა მწვალებლებს, როგორებიც არიან ევნომი-ანელნი, წყალში ერთხელ ჩაყოფით ნათელღებულნი, მონტანელნი, ანუ ფრიგიელნი (ანუ პეპუზიანელნი), საბელიანელნი, რომლებიც ძე-მამობას ასწავლიან და ბევრ სხვა სისაძაგლეს სჩადიან და სხვა მწვალებლები, რომელთა უმრავლესობა გალატელთა სოფლიდან მომდინარეობს, თუ მოისურვებენ მართლმადიდებლობის აღსარებას, ისინი მიიღებიან როგორც წარმართნი (ე.ი. მათ ნათლავენ

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

კიდეც და მირონსაც სცხებენ), პირველ დღეს ისინი ქრისტიანები ხდებიან, ხოლო მეორე დღეს – კათაკმეველნი, მესამე დღეს დააფიცებენ სამჯერ შებერვით პირსა და ყურებში. ისინი წიგნის კითხვის მსმენელები არიან ეკლესიაში მრავალი დღის განმავლობაში და მხოლოდ შემდეგ ხდება მათი ნათლისცემა.

II მსოფლიო კრების მე-7 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## მარხვის შესახებ

თუ ვინმე ერისკაცი მარხვას შეინახავს კვირას ან შაბათს, გარდა ერთი დღისა (იგულისხმება დიდი შაბათი), უზიარებელი იყვეს

მოციქულთა კრების 64-ე კანონი.

* * *

თუ ერისკაცმა წმიდა ორმოცი ან ოთხშაბათი და პარასკევი არ იმარხოს, უზიარებლობით დაისაჯოს.

მოციქულთა კრების 69-ე კანონი.

* * *

თუ ვინმე მოღვაწეთაგან ხორციელი გაჭირვების გარეშე ქედმაღლობს და საზოგადოდ მოცემულ მარხვას, ეკლესიის მიერ

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

დაცულს გახსნის სრულიად სალი აგრის მქონე, შეჩვენებულ იყოს.

განგრის კრების მე-19 კანონი.

* * *

არ შეიძლება (ორმოცდღიანი) მარხვის ბოლო კვირის ხუთშაბათს გახსნილება და ამით მარხვის ყველა დღეს უპატიო ყოფა, არამედ, საჭიროა სრული მარხვის დაცვა, ხმელი საჭმელის ჭამით.

ლაოდიკიის კრების 50-ე კანონი.

* * *

მარხვაში არ უნდა გადავიხადოთ დაბადების დღე და ქორწილი.

ლაოდიკიის კრების 52-ე კანონი.

* * *

ნურავინ გვისაყვედურებს ჩვენ ოთხშაბათისა და პარასკევის მარხვის დაცვის გამო. ამ დღეებში მარხვა გადმოცემისამებრ კანონიერად არის დაწესებული ჩვენთვის: ოთხშაბათის – ურიების მიერ უფლის შეპყრობად მოწყობილი შეკრების გამო; პარასკევის – მისი საცხოვნებელი ვნების გამო. ხოლო, კვირა დღეს ვიხდით, როგორც სულიერი სიხარულის დღეს მკვდრეთით აღმდგარი უფლისთვის. ამ დღეს არც მუხლმოდრეკა არ შეიძლება.

პეტრე ალექსანდრიელის მე-15 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

დედაკაცმა, რომელიც შობს აღდგომის წინ, არ უნდა იმარხულოს, მარხვა დაწესებულია ხორცის დათრგუნვისათვის, ხოლო, როდესაც ხორცი ისედაც დათრგუნული და უძლურია, მას შეუძლია, რამდენიც უნდა, მიიღოს საკვები და სასმელი.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-8 კანონი.

* * *

თუ ვინმე ავად არის და სრულიად დასუსტებულია ძლიერი სნეულებისაგან, მღვდელს შეუძლია ასეთი ადამიანი გაათავისუფლოს მარხვისაგან.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-10 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## კვირა დღეს მუხლმოდრეკისა და უქმობის შესახებ

ქრისტიანებმა, ებრაული წესით, შაბათი არ უნდა შეინახონ. შაბათს არ უნდა უქმობდნენ. ამ დღეს მათ უნდა იშრომონ, ხოლო კვირას, როგორც ქრისტიანებს შეეფერებათ და რამდენადაც შეუძლიათ, პატივისცემით იუქმონ. თუ ვინმე აღმოჩნდება ურიებთან ერთად მოშაბათე, ქრისტესაგან შეჩვენებულ იყოს.

ლაოდიკიის კრების 29-ე კანონი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✝ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

ზოგიერთნი კვირასაც და სულიწმიდის მოფენის დღეებში მოიდრეკენ მუხლს. დაცულ იქნეს ყველა ეკლესიაში, როგორც წმიდა კრების დადგენილება, რომ ამ დღეებში ფეხზე მდგომელნი უნდა მისცემდნენ თაყვანს ღმერთს.

ნიკეის I მსოფლიო კრების მე-20 კანონი

* * *

არ უნდა მოეწყოს თიატრები და სხვა გართობა-სანახაობები კვირა დღეებში და სხვა ქრისტიანულ დღესასწაულებში.

კართაგენის კრების 61-ე კანონი.

* * *

ქრისტეს აღდგომის წმიდა დღიდან ახალ კვირამდე, მთელ იმ შვიდ დღეს, მორწმუნეები წმიდა ეკლესიაში უნდა იყვნენ ფსალმუნებით და გალობით და სულიერი ქებით გამხიარებულნი ქრისტეს მიერ და ასე დღესასწაულობდნენ. იკითხონ საღვთო წერილი და შვებას მიეცნენ უხრწნელი საიდუმლოს ზიარებით, რომ ქრისტესთან ერთად აღმდგარნი და ამაღლებულნი იყვნენ. ამ დღეებში რაიმე საერო სანახაობა და განცხრომა ნუ იქნება.

VI მსოფლიო კრების 66-ე კანონი.

* * *

ქრისტეს აღდგომის პატივისათვის მუხლმოდრეკის გარეშე

ლოცვა წმიდა კვირას ჩვენი ღმერთშემოსილი მამებისაგან კანონებრივი განწესებით მოვიტანეთ. ჩვენთვის ეს ნათელია და მორწმუნეებს განვუცხადებთ: შაბათის სამწუხრო ლოცვისას მღვდლების საკურთხეველში შესვლის შემდეგ, თავდაპირველი წესისამებრ ალაარავინ ჰყოფდეს მუხლმოდრეკას კვირის სამწუხრო ლოცვამდე. კვირის მწუხრის ლოცვის შემდეგ, მღვდლები რომ შევლენ საკურთხეველში ისევ მუხლმოდრეკით შევწირავთ ლოცვას ჩვენს უფალს, რადგან ჩვენი მაცხოვრის აღდგომის წინამორბედად შაბათს შემდეგი ღამე ვუწყით, ღამის შემდეგ ვიწყებთ სულიერი გალობის დიდების მეტყველებას ბნელიდან ნათელში დღესასწაულობის წარმგზავნელნი, რათა ამ დროიდან, ღამისა და დღის განმავლობაში ქების მეტყველებით ვდღესასწაულობდეთ აღდგომას.

VI მსოფლიო კრების 90-ე კანონი.

## მონაზვნობის შესახებ

ყველა ქრისტიანს აქვს უფლება მონაზვნად აღკვეცისა, თუნდაც მძიმე ცოდვით იყოს დაცემული. ამქვეყნიური მითქმა-მოთქმისაგან განდგომა და ღვთის მიყოლა, ადამიანის მხსნელია.

VI მსოფლიო კრების მე-40 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ქრისტიანმა მონაზვნად აღკვეცამდე უნდა დასდოს ქალწულობის აღთქმა და აუცილებლად გამოცდის შემდეგ უნდა მოხდეს აღკვეცა.

ბასილი დიდის მე-19, VI მსოფლიო კრების მე-40 კანონები.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## მწვალებელთა შესახებ

ძველი წმიდა მამების განწესებით, მწვალებელი, ერეტიკოსი დაერქვა მათ, ვინც სარწმუნოებისაგან მთლიანად ჩამოცილებულია და უცხო ქმნილია. განხეთქილება არის ისეთი მიზეზი, რომლის განკურნება შეიძლება. ესენი არიან საეკლესიო საკითხებზე დავის გამო ერთმანეთისაგან განყოფილები. კიდეშესაკრებლობა (თვითნებური თავშეყრა) კი არის, როცა დაუმორჩილებელ ეპისკოპოსს ან მღვდელს აყოლილი ერი კრებას იწვევს, როცა რაიმე ბრალისგან დასჯილი განუდგება სამღვდელო დასს, თავისთავს თვითონ ასამართლებს და ძალით მიაკუთვნებს პატივსა და მღვდლობას. ერესი ნიშნავს გაყოფას თვით ღვთის სარწმუნოების საკითხში.

ბასილი დიდის I კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ერესი იმსახურებს შეჩვენებას.

II მსოფლიო კრების I კანონი.

* * *

არ შეიძლება ერეტიკოსთან ერთად ლოცვა და მათ შესაკრებელში შესვლა სალოცავად.

მოციქულთა კრების 45-ე, 65-ე, ლაოდიკიის კრების 33-ე კანონები.

* * *

მწვალებლებს არა აქვთ ღვთის მსახურებაზე და მორწმუნეთა ლოცვაზე დასწრების ნება, ღვთის სახლში შესვლის ნება. თუ ისინი ისევ მტკიცედ არიან ერესის მიმდევრები.

ლაოდიკიის კრების მე-6 და მე-9 კანონები.

* * *

არ შეიძლება მათგან მსხვერპლის მიღება.

მოციქულთა კრების 46-ე კანონი.

* * *

არც მათთან დღესასწაულობა.

ლაოდიკიის კრების 37-ე კანონი.

* * *

არ შეიძლება სიარული ერეტიკოსთა სასაფლაოზე ან მოწა-

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

მეთა ადგილებად წოდებულ საწამებლებში, რომლებიც განკუთვნილია სალოცავად და განსაკურნებლად.

ლაოდიკიის კრების 9-ე კანონი.

* * *

არ შეიძლება მათი მიღება მოწმეებად ეპისკოპოსისა და კლერიკოსთა წინააღმდეგ.

მოციქულთა კრების 75-ე, II მსოფლიო კრების მე-6 კანონები.

* * *

არ შეიძლება მათთან ქორწინებით შეუღლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი დადებენ პირობას რომ გადავლენ მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე.

IV მსოფლიო კრების მე-14, VI მსოფლიო კრების 72-ე, ლაოდიკიის კრების მე-10, 31-ე, 72-ე, კართაგენის კრების 21-ე კანონები.

* * *

ერეტიკოსისაგან ხელდასხმული არ ითვლება ნამდვილ ხელდასხმულად.

მოციქულთა კრების 68-ე კანონი.

* * *

ერეტიკოსს უნდა მოვექცეთ მშვიდად და ლმობიერად, რათა მივიზიდოთ ისინი სინანულში.

კართაგენის კრების 68-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✞ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

თუ მწვალებელი სიკვდილის წინ მოინანიებს, იგი მიღებული იქნება, ოღონდ გამოცდის შემდეგ.

ბასილი დიდის მე-5 კანონი.

* * *

მწვალებელთა ურჩობის წინააღმდეგ დახმარება უნდა გამოვითხოვოთ (მეფისაგან) საერო ხელისუფლებისაგან.

კართაგენის კრების 93-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ეშმაკეულთა შესახებ

ბოროტი სულისაგან გაუწმენდელი ადამიანი შეიძლება მოინათლოს მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-2 კანონი.

* * *

ეშმაკეულის მიღება არ შეიძლება კლირიკოსად, არც ლოცვაზე, მორწმუნეებთან ერთად.

მოციქულთა კრების 79-ე კანონი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✝ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

თუ მორწმუნეს ბოროტი სული შეიპყრობს, არ არღვევს საიდუმლოს და არ გმობს მას, იგი დროდადრო შეიძლება ეზიაროს.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-3 კანონი.

* * *

ვინც იჩემებს ეშმაკეულობას, უნდა დაისაჯოს.

VI მსოფლიო კრების მე-60 კანონი.

* * *

თუ ვისმეს ცოლი ძლიერ არის შეპყრობილი ბოროტი სულით და ბორკილებით არის შეკრული, ხოლო მისი ქმარი ამბობს, რომ არ შეუძლია ასე დარჩენა და სხვას მოიყვანს ცოლად, ამით ის ჩაიდენს მრუშობას.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-15 კანონი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

## ქორწინების შესახებ

ქორწინება დადგენილია ღვთის მიერ და ქორწინებითი პატიოსანი თანამემკვიდრეობა პატივსაცემია.

მოციქულთა კრების 51-ე, განგრის კრების 21-ე კანონები.

ჴჴჴჴჴჴჴჴჴჴჴჴ ✝ ჴჴჴჴჴჴჴჴჴჴჴჴ

ჴჴჴჴ

ვინც აძაგებს და გმობს მორწმუნე გათხოვილ და ღვთისმოშიშ ქალს ან გაკიცხავს, რომ მას ცის სასუფეველში შესვლა არ შეუძლია, შეჩვენებული იყოს.

ღანგრის კრების I კანონი.

* * *

ვინც ქალწულობს არა ქალწულობის სიწმინდის გამო, არამედ იმიტომ, რომ საძაგლად თვლის ქორწინებას, შეჩვენებული იყოს.

ღანგრის კრების მე-9 კანონი.

* * *

თუ ცოლი დატოვებს ქმარს ქორწინებისადმი ზიზღის მიზეზით, შეჩვენებული იყოს.

ღანგრის კრების მე-14 კანონი.

* * *

გვირგვინის კურთხევა აუცილებელია ეკლესიაში.

რუის-ურბნისის კრების მე-7 კანონი.

* * *

უკანონო ქორწინების გვირგვინი არ იკურთხება.

თეოფილე ალექსანდრიელის ეპისკოპე ამათონის მიმართ.

ჩვილი ქალ-ვაჟის გვირგვინების კურთხევა არ შეიძლება.

რუის-ურბნისის კრების მე-10 კანონი.

* * *

გვირგვინების კურთხევა წარმომადგენლების მეშვეობით, აკრძალულია.

რუის-ურბნისის მე-17 კანონი.

* * *

არ შეიძლება ერეტიკოსებთან მზახლობა, ვაჟის ან ქალის მიცემა მათთვის. უფრო დასაშვებია მოყვანა მათგან, თუ ისინი აღთქმას დასდებენ, რომ გაქრისტიანდებიან.

ლაოდიკიის კრების 31-ე კანონი.

* * *

სულიერი ნათესაობა მეტია, ვიდრე ხორციელი. ზოგიერთნი, ნათლავენ რა ჩვილ ყრმებს, მათი მშობელი დედების დაქვრივების შემდეგ, ქორწინდებიან მათზე. ვადგენთ: ვინც ჩაიდენს ამგვარ რამეს, დაირღვეს ასეთი უწესო ქორწინება და მეძავთა კანონით დაისაჯოს.

VI მსოფლიო კრების 53-ე კანონი.

* * *

საღვთო წერილი ცხადად გვასწავლის, რომ არ შეხვიდე სახირ-

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ცხო კავშირში ხორციელ ნათესავთან (ლევიტელთა 18,6). უფრო ცხადად განვიხილოთ ისინი და დავადგინოთ, რომ თუ ვინმე ამიერიდან იქორწინებს მამის ძმისწულზე, ან მამა და ვაჟიშვილი იქორწინებენ დედასთან და ასულთან, ან ორი და იქორწინებს ვაჟიშვილთან და მამასთან, ან ორი ძმა შეირთავს დედას და ასულს, ან ორი ძმა ორ დას, განკანონებული იყვნენ 7 წლით უზიარებლობით (ეპიტიმიით), რა თქმა უნდა უწესო ქორწინების დაუყოვნებელი დარღვევის შემდეგ.

VI მსოფლიო კრების 54-ე კანონი.

* * *

ვინც ძმის ცოლს შეირთავს, ის არ იქნება შეწყნარებული სინანულად, სანამ არ გაშორდება მას.

ბასილი დიდის 23-ე კანონი.

* * *

მართლმადიდებელმა მამაკაცმა და დედაკაცმა არ უნდა იქორწინონ მწვალებლებთან. თუ ასეთი რამ მოხდება, მაშინ ასეთი ქორწინება უკანონოდ და დაუმტკიცებლად უნდა ჩაითვალოს და დაირღვეს უწესო თანამკვიდრობა, რადგან შეუერთებელის შეერთება არ შეიძლება. არც ცხვრისა და მგლის ერთად ყოფნა და არც ქრისტეს ნაწილის ცოდვილთან შეერთება. ხოლო თუ ვინმემ დაარღვიოს ჩვენი დადგენილება, უზიარებელი იყოს.

VI მსოფლიო კრების 72-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘
⌘⌘⌘⌘

თუ ზოგიერთები მანამ, სანამ ურწმუნონი იყვნენ და მართლმადიდებელთა სამწყოსში არ იყვნენ დაწესებულნი, სჯულიერი ქორწინებით ერთ ხორც იქმნენ და ამის შემდეგ ერთი მათგანი კეთილი არჩევით ჭეშმარიტების ნათელთან მოვიდეს, ხოლო მეორემ, როგორც საცდურის საკვრელით შეკრულმა, არ ინებოს საღვთო შარავანდედისაკენ მოხედვა და ამასთანავე, სურდეთ ერთად ცხოვრება, მორწმუნე ქმარს – ურწმუნო ცოლთან, ან პირიქით, მორწმუნე ცოლს – ურწმუნო ქმართან, საღვთო მოციქულის სიტყვისამებრ ნუ დამორდებიან ისინი ერთმანეთს, რადგან „განიწმინდება ურწმუნო ქმარი ცოლის მიერ და განიწმინდება ურწმუნო ცოლი ქმრის მიერ" (პირველი კორინთელთა 7,14).

VI მსოფლიო კრების 72-ე კანონი.

* * *

ქალები, რომლებიც მათი მამების თანხმობის გარეშე მიეცემიან ვინმეს, შერაცხილი არიან სიძვის მოქმედად, ხოლო მშობლებთან შერიგების შემდეგ, ამ საქმის გამოსწორება შესაძლებლად არის მიჩნეული, მაგრამ მათ ედებათ სამი წლით უზიარებლობის სასჯელი.

ბასილი დიდის 38-ე კანონი.

* * *

ქორწინება, რომელიც შედგება დაქორწინებულთა პაკრო-

ნის ნებართვის გარეშე, სიძვად ითვლება. თუ არც მამა იყოს ცოცხალი, არც პატრონი, დაქორწინებულებს არა აქვთ ბრალი. როცა პატრონი თანახმაა, მაშინ არის მტკიცე და კანონიერი ქორწინება.

ბასილი დიდის 42-ე კანონი.

* * *

ვინცსხვისგან დანიშნულ დედაკაცზე მისი დამნიშნველის სიცოცხლეში იქორწინოს, მრუშობისათვის დადგენილი სასჯელით დაისაჯოს.

VI მსოფლიო კრების 98-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## მეორედ ქორწინების შესახებ

მეორედ ქორწინება არის მკურნალობა სიძვისაგან და არა სიბილწის მიზეზი.

მეორედ ქორწინებული უზიარებლობით ისჯება ერთი ან ორი წლით.

ბასილი დიდის მე-4 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## მესამედ ქორწინების შესახებ

მესამედ ქორწინება არის უწმინდურობა, მაგრამ სიძვაზე უკეთესია.

ბასილი დიდის 50-ე კანონი.

* * *

მას უწოდებენ არა ქორწინებას, არამედ, მრავალქორწინებას, უფრო კი სიძვას და სასჯელს იმსახურებს 3 წლით, ზოგჯერ კი ოთხი წლით უზიარებლობას.

უფალმა ხუთნაქმარევ სამარიტელს უთხრა: „რომელიც ახლა გყავს, არ არის შენი ქმარიო" აქედან გამომდინარე, სამართლიანი არ არის, რომ მათ, რომლებიც მეორედ ქორწინებას გაცდებიან,

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✝ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

ქმრობის ან ცოლობის სახელი ეწოდოს ვისგანმე.

ჩვენ მივიღეთ მესამედ ქორწინებულთა ხუთი წლით უზიარებელყოფა, მაგრამ ისინი მთლიანად არ უნდა გავაძევოთ ეკლესიიდან, არამედ ორ-სამ წელიწადს მსმენელობის ღირსი გავხადოთ. ამის შემდეგ, მათ ნება უნდა მივცეთ, რომ დადგნენ ზიარების ღირსთა შორის და როცა აჩვენებენ სინანულის ღირს ნაყოფს, მაშინ მიიღებენ წმიდა ზიარებას.

ბასილი დიდის მე-4 კანონი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

## მრავალქორწინების შესახებ

მამები დუმან ამ ცოდვის როგორც პირუტყულ და კაცთა მოდგმისათვის სრულიად უცხოს შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ მრავალქორწინებულობა სიძვაზე უარესია, რის გამოც, სამართლიანია მათი განკანონება ისე, რომ ერთი წელი უნდა შესტიროდნენ, სამი წელი უნდა შეუვრდებოდნენ და მხოლოდ ამგვარად უნდა იქნენ შეწყნარებულნი.

ბასილი დიდის მე-80 კანონი.

✠ ✠ ✠

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## ქორწილში ცეკვებისა და ღრეობების შესახებ

ქორწილში მისულმა ქრისტიანმა არ უნდა იხმაუროს, არ უნდა იცეკვოს, არამედ, პატიოსნად უნდა ისხდეს სუფრასთან და ივახშმოს, როგორც შეეფერება ქრისტიანს.

ლაოდიკიის კრების 53-ე კანონი.

* * *

არც მღვდელმა და არც ეკლესიის სხვა მსახურმა და თუნდაც ერისკაცებმა არ უნდა მოაწყონ შეერთებული სახსრებით ღრეობა.

ლაოდიკიის კრების 55-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ქვრივთა შესახებ

ქვრივობა ქალწულობაზე უმდარესია. ამის გამო ქვრივთა ცოდვაც უფრო მცირეა ქალწულთა ცოდვაზე. მასთან დაკავშირებით უნდა ვნახოთ რა მისწერა ტიმოთეს პავლემ: „ახალგაზრდა ქვრივებს ერიდე, ვინაიდან, როცა აღგზნება ეუფლებათ ქრისტესთვის განკუთვნილებს, სურთ ქორწინება. ისინი განისჯებიან, რადგან უარყვეს პირველი რწმენა" (I ტიმოთეთა 5, 11-12).

ბასილი დიდის მე-18 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘
⌘⌘⌘⌘

თუ ქვრივი, რომელიც ჩათვლილია ქვრივთა რიცხვში, ე.ი. რომელიც ცხოვრობს და ივებება ეკლესიის ხარჯზე, მოინდომებს ქორწინებას, მოციქულის ბრძანების თანახმად, უნდა დარჩეს ეკლესიის მეურვეობის გარეშე, ხოლო დაქვრივებული მამაკაცისათვის არ არის არავითარი კანონი. მისთვის საკმარისია მეორედ ქორწინებულთა ეპიტემია. თუ სამოცი წლის ქვრივი მოისურვებს ქმართან ცხოვრებას, ის არ იქნება სიწმინდის ზიარების ღირსი, სანამ არ დაცხრება არაწმინდა ვნებისაგან, ხოლო თუ სამოც წელზე ადრე ჩავრიცხავთ მას ქვრივებში, ჩვენი ბრალი იქნება ეს და არა იმ დედაკაცისა.

ბასილი დიდის 24-ე კანონი.

* * *

ქვრივს რადგან თავის თავზე უფლებამოსილია, დაქორწინების შემთხვევაში ბრალი არ ედება, თუ არავის თანაცხოვრებას არ დაარღვევს, რადგან მოციქული ამბობს: „თუ მოკვდება ქმარი, თავისუფალია ქალი, თუ სურს უფლისმიერი ქორწინება" (კორინთელთა 7, 39 რომაელთა 7,2).

ბასილი დიდის 41-ე კანონი.

* * *

მხევალი ქვრივი დიდად არ სცოდავს, თუ ვინმე მოიტაცებს და დაითანხმებს მეორედ ქორწინებაზე. ამის გამო მისი

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

დასჯა არ არის ჯეროვანი, რადგან განკიცხვის ღირსია არა საქმის გარეგანი მხარე, არამედ ის, რასაც თავისი ნებით აირჩევს თითოეული. ის კი ცხადია, რომ მან მეორედ ქორწინებულის ეპიტემია უნდა შეასრულოს.

ბასილი დიდის 53-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## სიძვისა და მრუშობის შესახებ

და-ძმათა სისიხლის აღმრევს, კაცისმკვლელის სასჯელი ედება.

ბასილი დიდის 67-ე კანონი.

* * *

ვინც გაბედოს ქორწინება ნათესავზე, რომელთანაც ქორწინება არ შეიძლება და საქმით აღასრულოს ცოდვა, მას მემრუშის სასჯელი დაედოს და მათებრ იქნას განკანონებული.

ბასილი დიდის 68-ე კანონი.

* * *

იმას, ვინც მამით ან დედით ერთ დასთან შეგინებული იქნება,

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

სალოცავ სახლში შესვლის უფლება არა აქვს მანამ, სანამ თავს არ დაანებებს უწესო და ურჯულო საქმეს, ხოლო იმ საშინელი ცოდვის შეგნების შემდეგ, ის, სამლოცველო სახლის კართან მდგომარე, სამი წელი უნდა შესცქეროდეს და ევედრებოდეს სალოცავად შემსვლელ ხალხს, რათა თითოეულმა თანაგრძნობით ლმობიერი ვედრება შესწიროს მისთვის უფლის მიმართ, ხოლო ამის შემდგომ, კიდევ სამი წელი შეწყნარებული იქნეს მსმენელად. საღვთო წერილის კითხვისა ან მოძღვრების მოსმენის შემდეგ, ის უნდა განიდევნოს გარეთ და ლოცვებს არ უნდა ეზიაროს. ამის შემდგომ, თუ ცრემლით ითხოვს და მუხლმოყრილი შეევედრება უფალს გულის მჭუნვარებით და ღრმა თავმდაბლობით, უნდა მიეცეს მას შერგდომის სასჯელი სამი წლით. ამგვარად, თუ აჩვენებს სინანულის ღირს ნაყოფს, მეათე წელს შეწყნარებულ უნდა იქნეს თანამორწმუნეებთან ერთად ლოცვაზე სიწმინდეთა ზიარების გარეშე. როდესაც ორი წელი იდგება მათთან ერთად, მხოლოდ შემდეგ გახდება სიწმინდეთა ზიარების ღირსი.

ეს წესი დაცული უნდა იყოს, აგრეთვე იმათ მიმართ, ვინც შეგინებულ იქნება თავის რძალთან.

ბასილი დიდის 76-ე კანონი.

* * *

ის ვინც გაუშვებს კანონიერ შეუღლებულ დედაკაცს და სხვას მოიყვანს, იგი უფლის განჩინებისამებრ დაისჯება მრუშობის

ꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤ ✠ ꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤꕤ

ꕤꕤꕤꕤ

სასჯელით (შდრ მათე 19,9) და განკანონებულ იქნება ჩვენი მამების მიერ შემდეგნაირად: ერთი წელი უნდა შესტიროდეს, ორი წელი მსმენელი უნდა იყოს, სამი წელი უნდა შეუვრდებოდეს, ხოლო მეშვიდე წელს უნდა იდგეს მორწმუნეებთან ერთად. ამგვარად გახდება იგი ზიარების ღირსი, თუ ცრემლით მოინანებს.

ბასილი დიდის 77-ე კანონი.

* * *

იგივე წესი დაცული უნდა იქნას იმის მიმართაც, ვინც ორ დას მოიყვანს თანამცხოვრებლად, თუნდაც სხვადასხვა დროს.

ბასილი დიდის 78-ე კანონი.

* * *

ის, ვინც მამის ცოლთან გაიხრწნება იმავე სასჯელს ექვემდებარება, რაც განწესებულია თავის დასთან შეგინებულისათვის.

ბასილი დიდის 79-ე კანონი.

* * *

თუ რომელიმე დედაკაცის ქმარი შორ გზაზე წავიდეს და დიდხანს აღარ გამოჩნდეს, ხოლო მისმა ცოლმა მისი სიკვდილის ცნობის დამტკიცებამდე სხვა ქმარი შეირთოს, ამ საქციელით იმრუშებს. ასევე, თუ სამხედრო სამსახურში გაწვეულთა ცოლები, რომელთა ქმრები ამ სამსახურის დროს გაუჩინარდნენ, დაქორ-

ⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔ ✠ ⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔⴔ

ⴔⴔⴔⴔ

წინდნენ, იმავე სასჯელით უნდა დაისაჯონ, რომელიც განწესებულია მათთვის, ვინც არ ელის გზაზე წასული მეუღლის დაბრუნებას, მაგრამ ეს საქმე შედარებით ადვილად მესანდობია, რადგან აქ მეტადაა სარწმუნო სიკვდილის ეჭვი. თუ დედაკაცმა არ იცის და ისე შეუერთდება ცოლის მიერ რამდენიმე ხნით დატოვებულ მამაკაცს, ხოლო თუ მას ეს მამაკაცი პირველი ქალის დაბრუნების მიზეზით მიატოვებს, მიტოვებული ქალი მეძავედ ითვლება, მაგრამ არცოდნის მიზეზით და მას ქორწინება არ ეკრძალება, მაგრამ კარგია, თუ ასევე დარჩება.

თუ სამხედრო სამსახურში გაწვეულის ცოლი ქმრის არყოფნისას სხვა ქმართან შეუღლებული იყოს (ხოლო პირველი ქმარი) დაბრუნდეს დიდი ხნის შემდეგ და ისურვოს, შეუძლია თავისი ცოლი უკან მოიყვანოს და აპატიოს მას არცოდნისათვის და მასთან შეუღლებულ მამაკაცს.

VI მსოფლიო კრების 93-ე, ბასილი დიდის 31-ე, 36-ე და 46-ე კანონები.

* * *

. მიგვაჩნია, რომ სახარებისა და მოციქულთა მოძღვრებისამებრ ნურც დედაკაცისაგან მიტოვებული ქმარი და ნურც ქმრისაგან მიტოვებული ცოლი ნუ შეირთავს სხვას, არამედ იყოს ასე, ან შეურიგდეს თავისავე მეუღლეს, ხოლო თუ ამას არად ჩააგდებენ ისინი, უნდა აიძულონ სინანულს შეუდგნენ.

კართაგენის 102-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

დედაკაცი, რომელიც თავის ქმარს დატოვებს და სხვასთან წავა, მრუშია, როგორც იტყვის საღვთო და დიდი ბასილი იერემია წინასწარმეტყველის სიტყვათა მოხმობით: „თუ დედაკაცმა დატოვა თავისი ქმარი და სხვა ქმართან წავიდეს, ნუღარ მიუბრუნდება თავის ქმარს, არამედ, შეგინებით შეიგინოს" (იერემია 3,7); ან კიდევ „ვისაც ყავს მრუში ცოლი, უგნური არის და ულვთო" (იგავთა 18, 23);

თუ გაირკვა, რომ ცოლი უმიზეზოდ გაშორდა ქმარს, მისი ქმარი შენდობის ღირსია, ხოლო ცოლი – განკანონებისა. შენდობა ქმარს ეკლესიისაგან ზიარების შეუწყვეტლად მიეცეს, მაგრამ „მამაკაცი, რომელმაც მიატოვოს კანონიერად შერთული ცოლი და სხვა მოიყვანოს, მრუშობის კანონით უნდა დაისაჯოს" (ლუკა 16, 18); როგორც უფალმა განაჩინა. ასეთები, ჩვენი მამების მიერ, ასე დაისჯებიან: ერთ წელიწადს უნდა შესტიროდნენ (ეკლესიის გარეთ მდგომნი), ორი წელი მსმენელებთან უნდა იდგნენ, სამი წელი შევრდომით (მუხლმოყრით) იყვნენ და მეშვიდე წელს დადგნენ მორწმუნეებთან ერთად, და ასე გახდნენ ზიარების ღირსნი, თუ ცრემლით მოინანიებენ თავიანთ ბრალს.

VI მსოფლიო კრების 87-ე კანონი.

* * *

უფლის განჩინება, რომელიც ამბობს, რომ ქორწინება „სიძვის მიზეზის გარეშე" არ უნდა დაირღვეს (მათე 5, 32), თანაბრად ეხება მამაკაცებსა და ქალებს. ჩვეულება კი სხვას გვიჩვენებს.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

დედაკაცის შესახებ არსებობს ბევრი მკაცრი გამონათქვამი: რომ „ვინც მეძავს უერთდება, ერთი სხეული ხდება მათთან ერთად" (I კორინთელთა 6,16), – „თუ ქმრის ცოლი სხვა ქმარს შეუერთდება, აღარ უნდა მიუბრუნდეს თავის ქმარს, არამედ იგი შეგინებულია" (იერემია 3, 1).

ჩვეულება ქალებს უბრძანებს, რომ არ გაშორდნენ მრუშ და სიძვის ჩამდენ მამაკაცებს. თუ მეუღლე სცემს მას, უფრო მართებულია მოითმინოს და არ გასცილდეს, ვინაიდან არ არის ცნობილი, თუ როგორი დასასრული ექნება ამას, რადგანაც ნათქვამია: „რა იცი შენ დედაკაცო, იქნებ გადაარჩინო შენი ქმარი". (I კორინთელთა 7,16); ამის გამო, მრუშია ქმრის მიმტოვებელი ქალი, რომელიც შეუერთდება სხვის ქმარს, ხოლო მიტოვებული შენდობის ღირსია და მასთან შეერთებული სხვა დედაკაცი არ არის დასჯის ღირსი. თუ მამაკაცი მიატოვებს ცოლს და შეუერთდება სხვას, ის მრუშია იმის გამო, რომ ამით ცოლს აიძულებს იმრუშოს, მასთან შეერთებული დედაკაციც მრუშია იმის გამო, რომ სხვა დედაკაცის ქმარი მიისაკუთრა.

ბასილი დიდის მე-9 კანონი.

* * *

თუ მორწმუნეს ბრალი დაედოს სიძვაში, მრუშობაში, ან სხვა რაიმე აკრძალულ საქმეში და იგი ამხილონ, ნუ იქნება მიღებული სამღვდელო დასში.

მოციქულთა კრების 61-ე კანონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვისიმე ცოლი იმრუშებს, ან ვისიმე ქმარი მრუში იქნება, შვიდი წელი უნდა გაატაროს (ეპიტიმიის) ხარისხების მიხედვით, ხანა მიიღებს სრულ ზიარებას.

ანკირიის მე-20 კანონი.

* * *

თუ ერისკაცის ცოლი იმრუშებს და ამაში აშკარად იქნება მხილებული, ასეთ კაცს არა აქვს უფლება სამღვდელო პირი გახდეს, ხოლო თუ ქმრის ხელდასხმის შემდეგ იმრუშებს, ქმარი უნდა გამორლეს მას. თუ მასთან იცხოვრებს (ისევ) არა აქვს უფლე ბა შეასრულოს მისთვის დავალებული მსახურება.

ნეოკესარიის მე-8 კანონი.

* * *

ვინც სულთა საცდურად მეძავებს შეკრებს და გამოკვებავს, თუ ეკლესიის მსახური იყოს, განიკვეთოს, თუ ერისკაცი იყოს, ეზიარებელი იქნეს.

VI მსოფლიო კრების 86-ე კანონი.

* * *

ვაჟთა და პირუტყვთა გამხრწნელნი, კაცისმკვლელნი, მომწამვლელები, მრუშები და კერპთმსახურნი – ყველა ერთსა და იმავე სასჯელს იმსახურებს. ამიტომ, რაც სხვებზე წესი გაქვთ, ის

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

უნდა დაიცვათ ამათზეც. ხოლო ვისაც ოცდაათწლიანი სინანული მოუხდია იმ. არაწმიდებისათვის, რაც უვიცობით ჩაუდენია, არ უნდა ვიორჭოფოთ მათი შეწყნარების დროს, რადგან არცოდნა და გარდა ამისა, ნებით აღიარება და ამოღენა დრო, შენდობის ღირსად აქცევთ მათ. ისინი დაუყოვნებლივ შევიწყნაროთ, თუ ცრემლით აჩვენებენ შენდობის ღირს ცხოვრებას.

ბასილი დიდის მე-7 კანონი.

* * *

თუ ცოლთან მცხოვრები მამაკაცი არ იმარებს თავის ქორწინებას და სიძვით დაეცემა, იგი ისჯება, როგორც სიძვის მოქმედი და დიდი ხნით გავავრცობთ მისი განკანონების ვადას, რადგანაც არ გვაქვს კანონი, რომელიც მრუშობის კანონით დასჯიდა მას. თუ ცოდვა ჩადენილია ქორწინებისაგან თავისუფალ პირთან და არა სხვა ქმრის ცოლთან ერთად, ნათქვამია: რომ მრუში დედაკაცი შეგინებით შეიგინოსო და აღარ დაუბრუნდეს თავის ქმარს (იერემია 3,1) და „ვისაც ჰყავს მრუში დედაკაცი, ის არის უგონო და უღვთო" (იგავთა 18, 23). ხოლო სიძვის ჩამდენ მამაკაცს არ უნდა აეკრძალოს ცოლთან ცხოვრება, რის გამოც, დედაკაცმა უნდა შეიწყნაროს სიძვისაგან მოქცეული ქმარი. მამაკაცი კი, შეგინებულ დედაკაცს აგდებს სახლიდან. ეს ადვილი ასახსნელი არ არის, მაგრამ ჩვეულება ამას გვიჩვენებს.

ბასილი დიდის 21-ე კანონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ვინმეს მეუღლედ ჰყავს ცოლდაკაცი, შერთული ფარულად ან ცხადი იძულებითი. გახრწნის შემდეგ, საჭიროა მისი განკანონება, სიძვის სასჯელის მიხედვით, ხოლო სიძვის მოქმედთა კანონი კი განსაზღვრულია ოთხი წლით. პირველ წელიწადს საჭიროა მათი ჩამოშორება ლოცვისაგან. ისინი უნდა მესტიროდნენ ეკლესიის კარიბჭესთან. მეორე წელს საჭიროა მათი შეწყნარება მსმენელებთან ერთად. მესამე წელს – შევრდომით, მლოცველებთან ერთად. ხოლო მეოთხე წელს საჭიროა ერთად დგომა ზიარების გარეშე. მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭებათ მათ წმინდა საიდუმლოთა ზიარების უფლება.

ბასილი დიდის 22-ე კანონი.

* * *

ვინც თავის მიერ გახრწნილ ღედაკაცს მოიყვანს ცოლად, იმ გახრწნისთვის ჯეროვნად განკანონებული უნდა იქნეს, მაგრამ ნება მიეცეს, რომ ის ღედაკაცი ჰყავდეს ცოლად.

ბასილი დიდის 25-ე კანონი.

* * *

სიძვა არ არის ქორწინება და არც ქორწინების დასაწყისი, ამის გამო უკეთესია, თუ შესაძლებელი იქნება, სიძვით შეერთებულთა დაშორება. ხოლო თუ ყველანაირად ესწრაფვიან ერთად ცხოვრებას, მათ უნდა შეასრულონ სიძვის კანონი, ხოლო

ერთად ცხოვრების უფლება უნდა მიეცეთ, რათა უარესი არ მოხდეს.

ბასილი დიდის 26-ე კანონი.

* * *

ძალით გახრწნილს ბრალი არ ედება. ამის გამო, თუ მხევალი იძულებულ იქნა ბატონის მიერ, მას ბრალი არა აქვს.

ბასილი დიდის 49-ე კანონი.

* * *

ვინც იმრუშოს, თხუთმეტ წელიწადს იყოს სიწმიდეთა ზიარების გარეშე. აქედან ოთხი წელი უნდა შესტიროდეს, ხუთი წელი მსმენელი უნდა იყოს, ოთხი წელი შევრდომილთა შორის იყოს, ორი წელი მორწმუნეებთან ერთად იდგეს ზიარების გარეშე და მხოლოდ ამის შემდეგ ეზიაროს.

ბასილი დიდის 58-ე კანონი.

* * *

ვინც ისიძვოს, შვიდი წელი სიწმიდეთა უზიარებელი იყოს. აქედან: ორი წელი უნდა შესტიროდეს, ორი წელი მსმენელი უნდა იყოს, ორი წელი შევრდომილი უნდა იყოს და მხოლოდ ერთი წელი იდგეს მორწმუნეებთან. ამის შემდეგ უნდა ეზიაროს.

ბასილი დიდის 59-ე კანონი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენმა მამებმა არ ბრძანეს იმ დედაკაცების გამოაშკარავება, რომლებიც იმრუშებენ და შემდეგ, ღვთის შიშით აღიარებენ ცოდვას, ან სხვა სახით გამომჟღავნდებიან, რათა ეს არ გახდეს სიკვდილის მიზეზი მხილებულთათვის. მამებმა მათ მორწმუნეებთან დგომის ნება დართეს, ოღონდ ზიარების გარეშე, სანამ არ შესრულდება მათი სინანულის ვადა.

ბასილი დიდის 34-ე კანონი

* * *

თუ ქალწულის დამნიშნავმა მისი და წინასწარ გახრწნა და დააფეხმძიმა, ხოლო ამის შემდგომ შეირთო თავისი დანიშნული, გახრწნილმა დამ კი თავი ჩამოიხრჩო, ნაბრძანებია, რომ თანადამნაშავეებმა (ცოლმა და ქმარმა) ათი წელი უნდა სრულყონ სინანულში აღრევე დადგენილი (სინანულის) ხარისხების მიხედვით.

ანკრიის კრების 25-ე კანონი

* * *

თუ ცოლიანი იქორწინებს უცხო დედაკაცთან, ამ ქალის წართმევის შემდეგ, იგი მრუშად არის წოდებული პირველი ცოლის მიმართ, ხოლო მეორე ცოლის მიმართ იგი უდანაშაულოა.

ბასილი დიდის 37-ე კანონი

* * *

მრუშ ქმართან მცხოვრები ქალი მრუშია მთელი დროის განმავლობაში.

ბასილი დიდის 39-ე კანონი

## გახრწნილების და მამათმავლობის შესახებ

საჭიროდ მიგვაჩნია, რომ პირუტყვთან პირუტყვქმნილი ადამიანები, რომლებმაც ეს ცოდვა ჩაიდინეს ოცი წლის ასაკამდე, თხუთმეტი წელი შეუვრდებოდნენ და შემდეგ ეზიარონ ლოცვებს. ხუთი წელი უნდა გაატარონ ასე, მორწმუნეებთან ლოცვაში და შემდეგ სიწმინდეებსაც შეიძლება ეზიარონ ისინი.

თუ ვინმე დიდხანს დარჩება ამ ცოდვაში, უფრო დიდი სასჯელი უნდა დაედვას. ვინც გაცდება ოცი წლის ასაკს, მეუღლეც ეყოლება და მაინც ჩაიდენს ამ ცოდვას, ოცდახუთი წელი შევრდომილი უნდა იყვეს და ხუთი წელი მლოცველებთან ერთად ილოცოს და შემდეგ ეზიაროს სიწმინდეს.

ხოლო იმათ ვისაც მეუღლეები ჰყავთ და ორმოცდაათ წელს გასცდნენ და ამ ცოდვით დაეცნენ, მხოლოდ სიკვდილის დროს უნდა მიიღონ ზიარება.

ანკრიის კრების მე-16 კანონი.

***

პირუტყვთან პირუტყვქმნილებს და კეთროვანებს წმიდა კრება უბრძანებს ილოცონ ეშმაკეულებთან ერთად.

ანკრიის კრების მე-17 კანონი.

***

თუ დედაკაცი ორ ძმას შეერთვის, ის უნდა ჩამოშორდეს

※※※※※※※※※※※※ ✝ ※※※※※※※※※※※※

※※※※

საეკლესიო ზიარებას სიკვდილამდე, ხოლო სიკვდილის დროს თუ იტყვის, რომ გამოჯანმრთელების შემთხვევაში დაარღვევს ამ ქორწინებას, კაცთმოყვარეობის გამო, მას უნდა მიეცეს სინანულის უფლება. თუ დედაკაცი მოკვდება ამ ქორწინებაში, ქმარი უნდა დადგეს მძიმე სინანულში.

ნეოკესარიის კრების მე-2 კანონი.

* * *

ვინც ბევრჯერ იქორწინებს, მათთვის განსაზღვრულია სასჯელი, ხოლო მათი მოქცევა და რწმენა ამოკლებს ამ ვადას.

ნეოკესარიის კრების მე-13 კანონი.

* * *

თუ ვინმე ქინით მოისურვებს დედაკაცს და მის საწოლში დაწვება, მაგრამ თავის (ქინს) საქმით ვერ აასრულებს, ცნობილი უნდა იყოს, რომ მადლის მიერ გამოხსნილია.

ნეოკესარიის კრების მე-4 კანონი.

* * *

ვინც მამობის აღრევის უშვერება ჩაიდინოს, მრუშობისათვის დაწესებული სასჯელი მოიხადოს იმავე სახით.

ბასილი დიდის 62-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ვინც პირუტყვთან თავისი ურჯულო მოქმედება აღიაროს, იგივე სასჯელი მოიხადოს იმავე სახით.

ბასილი დიდის 63-ე კანონი.

* * *

გულისთქმის და ვნებათაღმი დამონების გამო ჩადენილი ცოდვა შემდეგნაირადაა დაყოფილი: ზოგს სახელად მრუშობა ჰქვია, ზოგს სიძვა.

მხოლოდ ერთია სჯულიერი მეუღლეობა ცოლისა ქმრის მიმართ და ქმრისა ცოლის მიმართ და ყველაფერი რაც არ არის სჯულიერი, ის უეჭველად არის უსჯულო (უკანონო), რაც თავისი საკუთარი არ არის, ცხადია ის სხვისია, რადგან კაცს ერთი მისცა ღმერთმა დამხმარე (თანაშემწე) და ქალს - ერთი მისცა თავი (მამაკაცის სახით). ვინც თავის ჭურჭელს თვითონ იხმარს, როგორც მოციქული ამბობს, (I თესალკელთა 4, 4), მას შეუნდობს სჯული ბუნებრივ, სამართლიან გამოყენებას, ხოლო ვინც საკუთარს არ მიმართავს (გამოიყენებს), ის უცხოსთან მივა უეჭველად, უცხო კი თითოეულისათვის არის ყველა, ვინც არ არის მისი, თუ მას აღიარებული არ ჰყავს ის სხვა, ვისადაც იწოდება. ამიტომ ამ საქმის მკაცრად გამომძიებელნი და სწორხაზოვნად მომსაზრებელნი დიდად არ აშორებენ ერთმანეთს სიძვისა და მრუშობის ბრალს, რასაც ადასტურებს საღვთო წერილი, რომელიც ამბობს: „ნუ მოგწონს ფრიად სხვისი" (იგავთა 5, 20). მაგრამ,

უძლურესთა მიმართ მამებმა რამდენადმე გამოიჩინეს შემწყნარებლობა, ეს ცოდვა გაიყო საერთოდ და საზოგადოდ: სიძვა ეწოდება თავისი ვნების დაკმაყოფილებას ძალადობისა და ვისიმე განაწყენების გარეშე. მრუშობა ეწოდება ძალადობით და მოხვეჭით სხვათა კავშირის დარღვევას. ამასვე ეკუთვნის ცხოველებთან, ყრმებთან ცოდვიანი კავშირიც, რომელიც არის ადამიანური ბუნების წინაშე ჩადენილი მრუშობა, რადგან ეს ბუნებისათვის უცხო და მის წინააღმდეგ ჩადენილი უსამართლო და უწესო ვნებაა.

სიძვით დაცემულის ცოდვა არ არის გათანაბრებული ძალადობით მომხვეჭელის ცოდვასთან, ამიტომ მრუშობის ჩამდენის მოქცევისა და სინანულის ჟამი ორმაგადაა დადგენილი. ვინც სხვა ბუნების აღრევით ბოროტად დაეცემა, ე.ი. ცხოველებს გახრწნის და ყრმებს აღერევა, ასეთთა ცოდვაც ორმაგია: ერთი – უწესო ვნებით დატკბობა და მეორე – უცხოზე ძალდატანება.

ვინც თვითონ აღიარებს ცოდვას და თავისი ნებით მოიწადინებს გაამხილოს თავისი დაფარული საქმეები, როგორც თავისი ვნების მკურნალობის დამწყები და უკეთესისაკენ თავისი შეცვლის ნიშნების მაჩვენებელი, დაექვემდებარება უფრო კაცთმოყვარე სასჯელს. ხოლო ვინც ასეთი ცოდვის მოქმედად აღმოჩნდება და სხვისგან მხილებული იქნება, უფრო ხანგრძლივ და მკაცრ სასჯელს დაექვემდებარება.

გრიგოლ ნოსელის მე-3 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## მოტაცების შესახებ

თუ ვინმე მოტაცებით მოიყვანს ცოლს, რომელიც ადრე სხვაზე იყო დანიშნული, მისი შეწყნარება არ შეიძლება მანამ, სანამ არ გაუშვებს მას. პირველ დანიშნულს, უფლება აქვს თუ სურს, მოიყვანოს ან გაუშვას. ხოლო თუ ვინმე თავისუფალს მიიტაცებს, ისიც უნდა გაუშვას და დაუბრუნოს თავის ნათესავებს. თუ მისი ახლობლები ნებას დართავენ, ქალის მშობლები იქნებიან ისინი, ძმები თუ მეურვეები, და თუ ინებებენ ქალის მიცემას, მაშინ დამტკიცებულ იყოს ეს თანაცხოვრება. ხოლო თუ არ ინებებენ, ნურც იქნებიან იძულებულნი.

ბასილი დიდის 22-ე კანონი.

* * *

ღლაკაცების მომტაცებელთა შესახებ არა გვაქვს ძველი კანონი, მაგრამ ჩვენი მოსაზრებით დავაწესებთ, რომ სამი წელი დაჰყონ ლოცვის გარეშე, იმითაც და მოტაცების ხელისშემწყობებმაც, ხოლო თუ ვინმე ამგვარ რასმე მოიმოქმედებს ძალადობის გარეშე, ის უდანაშაულოდ უნდა ჩაითვალოს, თუ არც გახრწნას, არც მოპარვას არ ექნება ადგილი ამ საქმეში. ქვრივი კი თავის თავის პატრონია და მისი ნებაა კაცის წაყოლა. ამის გამო ჩვენი საზრუნავი არ არის, თუ რა სახისა არის ამ შემთხვევაში მოტაცება.

ბასილი დიდის 30-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘
⌘⌘⌘⌘

თუ ვინმემ დაუნიშნავი ქალწული მოიტაცოს ძალით, უზიარებელი იქნეს. მას აღარ აქვს უფლება სხვა შეირთოს, არამედ, უნდა ჰყავდეს, ვინც მოიწონა, გინდაც გლახაკი იყოს იგი.

მოციქულთა კრების 67-ე კანონი.

* * *

დანიშნული ქალი, შემდეგ სხვის მიერ მოტაცებული, უნდა დაუბრუნდეს იმას, რომელზეც ადრე იყო დანიშნული, მომტაცებლისაგან ძალადობის შემთხვევაშიც.

ანკირიის კრების მე-11 კანონი.

* * *

ვინც მოიტაცებს ქალს მასთან თანაცხოვრების ნიშნით და ვინც მათი თანაშემწყობი ან მრჩეველი იქნება, წმიდა კრება მათ შესახებ ადგენს: რომ თუ სასულიერო პირი იქნება, აეყაროს პატივი, თუ ერისკაცი, შეჩვენებული იყვეს.

ქალკედონის კრების მე-4, 27-ე კანონები.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## სიძვით დაცემულ ქალწულთა შესახებ

თუ ქვრივს მძიმე სახელი ეკუთვნის, როგორც ქრისტეს

მიერ რწმენის უარმყოფელს, რაღა უნდა ვთქვათ ქალწულთა შესახებ, რომელიც სძალია ქრისტესი და მეუფისათვის შეწირული პატიოსანი ჭურჭელი? დიდი ცოდვაა, თუ მხევალი მიეცემა ფარულ სიბილწეს, გახრწნილებით აავსებს სახლს და ურგები ცხოვრებით შეურაცყოფას აყენებს თავის პატრონს. ხოლო ბევრად უარესია, როცა რძალი ხდება მრუში, სიძესთან ერთობას უპატიოდ აქცევს და მიეცემა აღვირახსნილ ცხოვრებას. ამის გამო, ქვრივი ისჯება, როგორც გახრწნილი მხევალი (მონა), ხოლო ქალწული უნდა დაისაჯოს მრუშის სასჯელით, რადგანაც, როგორც უცხო დედაკაცთან შეერთებულ მამაკაცს ვუწოდებთ მრუშს და არ შევიწყნარებთ ზიარებით, სანამ არ დაცხრება ცოდვისაგან და არ მოინანებს, ცხადია, ასევე, გადავწყვეტთ იმის შესახებ, ვინც ქალწულს ბოროტად მოქცევია. ქალწული ეწოდება იმას, ვინც მოვიდა თავისი ნებით და თავი შესწირა უფალს, უარი თქვა ქორწინებაზე და უფრი მეტად პატივი სცა განწმენდილ ცხოვრებას, ხოლო აღსარებასა და აღთქმას მაშინ მივიღებთ მისგან, როდესაც ასაკი სიტყვის შესრულების შესაძლებლობას მისცემს, როდესაც გახდება თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლისზე მეტი ხნისა, ბატონ-პატრონი იქნება თავისი განზრახვისა და გასნჯით აირჩევს უფლის მიმართ დაწინდებულ ყოფნას. ამის შემდეგ დიდხანს უნდა იმყოფებოდეს ვედრებასა და თხოვნაში, რათა მიღებულ იქნეს ქალწულთა დასში მხოლოდ ამის შემდეგ არის საჭირო მისი დაწესება ქალწულებთან

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✠ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

და მისი აღთქმის დამტკიცება, და უარყოფის შემთხვევაში მისი დასჯაც აუცილებელია.

ბასილი დიდის მე-18 კანონი.

* * *

მამაკაცების აღთქმა სხვა არ ვიცით იმათ გარდა, რომლებიც თავს მიათვლიან მონაზონთა დასს და დუმილით უჩვენებენ, რომ უქორწინებლობის აღთქმას დებენ. მათ შესახებ მგონია და დავადგენ, რომ უნდა გამოვკითხოთ და მივიღოთ მათგან მტკიცე პირობა უქორწინებლობისა. თუ ამის შემდეგ გადაიხრებიან ხორცისმოყვარე ცხოვრებისაკენ, საჭიროა მათი განკანონება მეძავთათვის დაწესებული წესების მიხედვით.

ბასილი დიდის მე-19 კანონი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

## შვილის მომკვლელი დედების შესახებ

მეძავი დედები, რომლებიც საწამლავს ამზადებენ და თავის ნაყოფს სპობენ, ადრინდელი კანონის მიხედვით, სიკვდილამდე არ დაიშვებოდნენ (წმიდა საიდუმლოთა) ზიარებაზე. ხოლო ჩვენ ვცდილობთ უფრო მეტი კაცთმოყვარეობა გამოვიჩინოთ და

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

განესაზღვრავთ, რომ მათ ათი წელი უნდა შეასრულონ (ეპიტიმიის) დაწესებული ხარისხთა მიხედვით.

ანკრიის კრების 21-ე კანონი.

* * *

ქალებს, რომლებიც ჩვილებს სასიკვდილო წამალს მისცემენ და, რომლებიც თვითონ მიიღებენ მათ მოსაშორებელ საწამლავს, კაცისმკვლელთა კანონით განვაკანონებთ.

VI მსოფლიო კრების 91-ე კანონი.

* * *

წინასწარ განზრახვით მუცელში ჩვილის მომკვლელს, კაცისკვლის სასჯელი ედება. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად დავადგინოთ, ჩასახულია და არის ბოლომდე გაფორმებული, თუ არა მოწყვეტილი ჩვილი. აქ გამოიძიება და დასასჯელი იქნება არა მხოლოდ დამნაშავე დასაბადებლის მოსპობისთვის, არამედ, მისი მშობელიც, რომელმაც თავის თავზე აღმართა ხელი, რადგან ამ მიზეზით მრავალი ქალი კვდება. ამას უერთდება გახრწნა ნაყოფისა, როგორც სხვა სახე კაცისკვლისა. ვინც ამას წინასწარი განზრახვით გაკეთებას გაბედავს, მკვლელია, მაგრამ მისი სინანული არ უნდა გაგრძელდეს სიკვდილამდე, არამედ, მისი შეწყნარება შეიძლება ათი წლის შემდეგ. მათი სრულიად განკურნება ბრალისაგან შეუძლია არა დროს, არამედ, სინანულის სახეს.

ბასილი დიდის მე-2 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ხშირად ქალები ჯადოქრობით და გრძნეული ძალებით თავს აყვარებენ მამაკაცებს. ამ მიზნით აძლევენ ისეთ წამალს, რომელიც გონებას უკარგავს მათ და კლავს. ასეთი სიკვდილიც, თუმცა სხვა იყო მათი მონდომების მიზეზი და სხვა აღსრულდა. უჯერო და უწესო ხერხების ხმარებისათვის, განზრახ კაცისკვლად ჩაითვლება. ამასთან ერთად ისინიც, ვინც ფეხმძიმეებს მუცლის მოსაწყვეტ წამალს მიცემენ, კაცისმკვლელები არიან.

ასევე, კაცისმკვლელის ბრალი ედება, რა თქმა უნდა იმათ, ვინც ამ წამალს მიიღებს და მოიხმარს.

ბასილი დიდის მე-8 კანონი.

* * *

თუ ქალმა მის მიერ გზაში შობილს ყურადღება მოაკლოს და როგორც შეძლოს არ გაუფრთხილდეს და უგულებელყოს, ან ცოდვის დაფარვა განიზრახოს, ან ყოვლად კაცთმოძულე და მხეცური განზრახვა შეასრულოს, როგორც კაცისმკვლელი, ისე დაისაჯოს. ხოლო თუ ვერ შეძლოს გაფრთხილება ადგილის უდაბურობის ან გაჭირვებით შექმნილი აუტანელი პირობების გამო და დაიღუპოს შობილი, დედას უნდა შეენდოს.

ბასილი დიდის 52-ე კანონი.

✠ ✠ ✠

## ხორცის მოძულეთა შესახებ

თუ ვინმე გაკიცხავს ხორცის მჭამელს (სისხლის, კერპის მსხვერპლის ნაშთის, დამრჩვალის და ლეშის გარდა), თითქოსდა, ხორცის ჭამის გამო, არ ექნება სასოება, შეჩვენებული იყოს.

ღანგრის კრების მე-2 კანონი.

***

სასაცილოდ მიმაჩნია მე, რომ ვინმეს ებრძანოს ღორის ხორცის ჭამისაგან თავის შეკავება. ნება მოიღეთ და ასწავლეთ მათ, თავი შეიკავონ უვიცობით გამოწვეული დაპირებებისა და აღთქმებისაგან და შეუნდე ხორცის ჭამა განკითხვის გარეშე, რადგან „არაფერი ღვთისაგან დაბადებული მადლობით მიღებული, არ არის გადასაგდები“ (I ტიმოთ, 4,4), ამის გამო ეს პირობა სასაცილოა და თავშეკავება არ არის საჭირო.

ბასილი დიდის 28-ე კანონი.

***

ღირსების მიხედვით ჩვენთვის მწვანილიც, ბოსტნეულიც იგივეა, რაც ხორცი. რაც შეეხება სარგებლობას, როგორც მწვანილში, ბოსტნეულში ვიცით მავნებლის გამოყოფა მარგებლისაგან, ასევე, ხორცშიც გამოვყოფთ სასარგებლოს მავნებლისაგან, ვინაიდან კონიონიც (მათუთა) მწვანილია, ისევე როგორც ძერაც

არის ხორცი, მაგრამ არავინ გონიერი არ ჭამს ელევენს (ლენ-ცოფას), არც ძაღლის ხორცის გემოს ნახავს, თუ დიდი გაჭირვება არ აიძულებს. მისი მჭამელი გაჭირვებაში უსჯულოებას არ ჩადის.

ბასილი დიდის 85-ე კანონი.

## ღვინის მოძულეთა შესახებ

თუ ერისკაცთაგანი არ სვამს ღვინოს, განსაკუთრებით დღესასწაულის დღეებში არა თავშეკავების, არამედ, ზიზღის გამო, ის უნდა განიდევნოს ეკლესიისაგან, თუ არ გამოსწორდება.

მოციქულთა კრების 51-ე კანონი.

* * *

„მღვდელს, ან საერთოდ ქრისტეს მსახურად მყოფთ, სიფხიზლე ემართებთ თქვენი თავის მიმართაც და სხვების მიმართაც, რომ შეძლოთ დაუწყნარებელი დააშოშმინოთ, რადგან საღმრთო წერილი ამბობს: „ძლიერები მწყრომარენი არიან და ღვინოს ნუ დალევენ, რომ მსმელს არ დაავიწყდეს სიბრძნე და სწორი მსჯელობა შეძლოს". იმიტომ კი არ ვამბობ, რომ სულ არ დალიონ, არამედ, რომ უზომოდ არ სვამდნენ. რადგან, სხვაგვარად, ეს ღვთის მიერ შვებისთვის შექმნილის გინება იქნება.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

საღმრთო წერილს არ უთქვამს: „ნუ სვამ ღვინოსო". არამედ ნათქვამია: "ნუ სვამთ ღვინოს დასათრობათ" (იგავ 26,9); ამას ვამბობ არა მარტო ეკლესიაში დაწესებულთა შესახებ, არამედ, ყველა ქრისტიანის შესახებ, რომელსაც ჩვენი უფლის ქრისტე ღმერთის სახლი ჰქვია.

აგრეთვე ნათქვამია, თუ როგორი ვაება, შფოთი, უსახურება და სიბილწე სუფევს, როგორი თვალის დაბრმავება და ცუდი ჯანმრთელობა მოსდევს ღვინის ზედმეტ სმას და იმათ საქციელს, ვინც სულ ეძებს სად დალიოს, (შდრ. იგავ. 23,29-30).

წმინდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-16 კანონი.

***

ერის კაცი, რომელიც შეექცევა თამაშს და ლოთობას ან უნდა დაცხრეს ან უზიარებელი იქნეს.

მოციქულთა კრების 42-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## კერპთათვის შენაწირავის სისხლიანი ხორცის, დამრჩვალის, მხეცთაგან მოკლულის და მძორის მჭამელი ერისკაცების შესახებ

ერისკაცმა, რომელმაც შეჭამოს სისხლი, ან სისხლიანი ხორცი, მხეცის მოკლული, ან დამრჩვალი, უზიარებლობით დაისაჯოს.

VI მსოფლიო კრების 67-ე კანონი.

ჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲ ✠ ჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲ

ჲჲჲჲ

თუ ვინმეს იძულებით მიაღებინებენ კერპისათვის შეწირულ საჭმელს, მაგრამ ისინი განუწყვეტლივ აღიარებენ, რომ ქრისტიანები არიან და იმ წუხილს, რომელიც მათ შეემთხვათ, მოთმინებით და თავმდაბლობით აიტანენ, ასეთებს, როგორც უცოდველებს, ნუ აეკრძალებათ ზიარება.

ანკრის კრების მე-3 კანონი.

ჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲ

## საჭურისობის შესახებ

ერისკაცი, რომელიც თავს გამოისაჭურისებს, უზიარებელი იყოს სამი წელი, რადგან მტერია თავისი ცხოვრებისა არც მღვდლობის ღირსია, რადგან თავის მკვლელია იგი და საღვთო ქმნილების მტერი.

მოციქულთა კრების 22-ე, 24-ე კანონი.

ჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲჲ

## მართლმადიდებელთა შესახებ, რომლებიც მწვალებელთგან ერთად ლოცულობენ და მარხულობენ

თუ ვინმე ერისკაცი, ურიათა ან მწვალებლების

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

შესაკრებელში შევიდეს სალოცავად, უზიარებლობით დაისაჯოს.

მოციქულთა კრების 65-ე კანონი.

* * *

თუ ვინმე ერისკაცმა ურიებთან ერთად იმარხოს, ან იდღესასწაულოს მათთან ერთად, მიიღოს მათგან რაიმე სადღესასწაულო ძღვენი, მაგალითად, უცომო, ან სხვა რაიმე მსგავსი, უზიარებლობით დაისაჯოს.

მოციქულთა კრების 70-ე კანონი.

* * *

მწვალებელთა საფლავებზე, ამ მათ მიერ მოწამეთა ადგილებად სახელდებულ ე.წ. საწამებლებში, ლოცვისა ან მკურნალობისათვის, მისვლის უფლება არა აქვს მორწმუნეს. ასეთებს და, იქ მორწმუნეთა მიმყვანებსაც, თუ ისინი მორწმუნეები არიან, უზიარებლო ბით დასჯა ეკუთვნით, რამდენიმე ხანს და როცა შეინანებენ თავიანთ საქციელს, შემდეგ შეიწყნარონ.

ლაოდიკიის კრების მე-9 კანონი.

* * *

მწვალებელთაგან, რომლებიც ქრისტესაგან უფრო უკურთხეველნი არიან, ვიდრე კურთხეულნი, კურთხევის მიღება არ შეიძლება.

ლაოდიკიის კრების 32-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

უნდა ეთხოვოთ ქრისტიან მთავრებს შემდეგი: საღმრთო ბრძანების გარეშე, მრავალ ადგილას, წარმართულ ცდუნებებს აყოლილები, კიდევ აწყობენ ღრეობას და ქრისტიანებიც იკრიბებიან იმ დღესასწაულზე. საჭიროა ამ უწესობის აღკვეთა ქალაქებშიც და ქალაქგარეთ არსებულ ადგილებში, ვინაიდან, მოწამეთა სახსენებელ დღეებში და თვით წმიდათა ადგილებშიც კი, სადაც ის ნეტარნი განისვენებენ, არ რცხვენიათ მათ ისეთი უშვერების ჩადენა, რის თქმაც კი სასირცხვოა. საძაგლად როკავენ ველებზე და მოედნებზე და ბილწი ქმედებითა და სიტყვით შეურაცხყოფენ წმიდათა ხსენების დღეს, შეკრებილი ოჯახის დედების პატიოსნებას და სხვა ურიცხვი ქალების კდემამოსილ მორცხვობას იმ ზომამდე, რომ სარწმუნოების სიწმინდე იბღალება.

კართაგენის კრების მე-60 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ფიცთა და ცრუფიცთა შესახებ

იმათ, ვინც დაიფიცებს, რომ არ მიიღებს ხელდასხმას, ნუ დაატანენ ძალას, რომ ხელდასხმა მიიღოს, რათა დამფიცებელი არ იქნეს ცრუ ფიცის დამდები, თუმცა, უნდა არსებობდეს კანონი, რომელიც შეუნდობს ასეთნაირებს, მაგრამ ჩვენი გამოცდილებით ვიცით, რომ დამფიცებელნი არ არიან მოსაწონნი ღვთისათვის.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

საჭიროა განხილვა იმისა, თუ რა სახის ფიცია დადებული. და, აგრეთვე, ფიცზე დასართავი ნატიფი სიტყვის, თუ არც ერთის მხრივ არ გამოჩნდება რაიმე საწუხემო, ასეთნაირებს სრულიად უნდა მივანებოთ თავი.

ბასილი დიდის მე-10 კანონი.

* * *

ვინც სხვისთვის ბოროტების გაკეთების ფიცს დადებს, სინანული უნდა აჩვენოს, ნაჩქარევი ფიცის დადების გამო და ფიცისადმი მოწიწების დაჩემებით ნუ გააძლიერებს თავის სიბოროტეს, რადგან არც ჰეროდეს არგო რაიმე ფიცის დაცვამ: იგი წინასწარმეტყველის მკვლელი გახდა.

ფიცი საერთოდ დასაგმობია, მით უმეტეს, ბოროტების შესახებ ფიცის დამდებელი უნდა დაისაჯოს. ამის გამო, მფიცავმა უნდა დაარღვიოს ფიცი და არ უნდა სურდეს თავისი დაუფიქრებლობის განმტკიცება. „დავიფიცე და დავამტკიცე არა ცოდვა, არამედ, შენი სიმართლის მცნებათა დაცვა" (ფსალმუნი 228, 106). როგორც მცნება უნდა შესრულდეს განზრახვის გარდუვალობით, ასევე, ყოველნაირად საჭიროა ცოდვის დაუმტკიცებლობა და მოსპობა.

ბასილი დიდის 29-ე კანონი.

* * *

ვინც ცრუდ დაიფიცოს, ათი წელი უზიარებელი იყოს. აქედან,

ორი წელს შესტიროდეს, სამ წელს მსმენელი იყოს, ოთხ წელს - შევრდომილი და ერთი წელი იდგეს მორწმუნეებთან ერთად. ასე გახდეს ღირსი ზიარებისა.

ბასილი დიდის 64-ე კანონი.

* * *

ვინც გაჭირვების და იძულების გამო გატეხს ფიცს, უფრო მსუბუქი განკანონებით დაისჯება, რის გამოც, ექვსი წლის შემდეგ მიიღებს შეწყნარებას. ხოლო ვინც გაჭირვების გარეშე უღალატებს თავის რწმენას, ორი წელი უნდა შესტიროდეს, ორი წელი მსმენელი უნდა იყოს, ხუთი წელი შევრდომით უნდა ილოცოს და კიდევ ორი წელი მიღებულ უნდა იქნეს ლოცვათა ზიარებაზე სიწმინდეთა ზიარების გარეშე. ამის შემდეგ უნდა მიიღოს ქრისტეს ხორცის ზიარება.

ბასილი დიდის 82-ე კანონი.

* * *

რომლებიც საწარმართო ფიცს იფიცებენ, მათ განკანონებას განაწესებს კანონი და ჩვენ მათ უზიარებლობას ვადგენთ.

მსოფლიოს VI კრების 94-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## განდგომილობისა და სარწმუნოების უარყოფის შესახებ

გაჭირვების, მონაგებთა მიტაცების, ტყვეობის ან სხვა რაიმე ამგვარის გარეშე თუ ვინმე გადაუდგა და უარყო სარწმუნოება, კრებას მიაჩნია, რომ საჭიროა მათ მიმართ გამოვიჩინოთ მოწყალება, თუმცა, ისინი ღირსნი არ არიან კაცთმოყვარეობისა. თუ მოინანიებენ გულმოდგინედ, სამი წელი მსმენელებთან ერთად დაყონ, შვიდი წელი შევრდომილთან ილოცონ, ხოლო ორი წელი მლოცავებთან იდგნენ და შემდეგ ეზიარონ.

ნიკეის I მსოფლიოს კრების მე-11 კანონი.

* * *

ვინც შეშინდა მხოლოდ ტანჯვის მუქარისა და შენაძენი ქონების დაკარგვისა, გადასახლებისა და ამის გამო უარყო ქრისტიანობა და შემდეგ მოისურვა მოქცევა, საჭიროდ მიგვაჩნია მათი მსმენელად შეწყნარება აღდგომამდე, აღდგომის შემდეგ სამი წელი შევრდომით განკანონება და ზიარება სიწმიდეთა გარეშე. ამგვარად უნდა მივიდნენ ისინი სრულ ზიარებამდე, როდესაც სრულყოფენ ექვს წელს. თუ ვინმეს ელის დიდი გაჭირვება და სიკვდილი სნეულებით, ან სხვა რამ მიზეზით, ასეთები დროზე ადრე უნდა შეიწყნარონ.

ანკირის კრების მე-6 კანონი.

ვინც არა მხოლოდ თვითონ განდგება (მსხვერპლს შეწირავს კერპს), არამედ, აიძულებს სხვებსაც, ან იძულების მიზეზი გახდება, ამათ სამი წელი მსმენელთა ადგილი უნდა მიიღონ და შემდეგ ექვსი წელი უნდა შეუვრდებოდნენ. ხოლო შემდეგ ერთი წელი სიწმიდეთა გარეშე უნდა ეზიარებოდნენ ლოცვებს. ათი წლის შესრულების შემდეგ ისინი მიიღებენ სრულ ზიარებას. ამ წლების განმავლობაში საჭიროა მათი ცხოვრების სხვა მხრივაც გამოძიება.

ანკრის კრების მე-9 კანონი.

# ქრისტიანობის მდევნელთაგან თავის განრიდების შესახებ

ისინი, რომლებმაც გადაიხადეს ვერცხლი (ფული), რათა ტანჯვა-წამებისაგან შეუშფოთებლად გადარჩენილიყვნენ, არ არიან დამნაშავენი: მათ გაიღეს ფულადი ხარჯი და დანაკარგი, რათა სული არ დაეკარგათ და არ წარეწყმიდათ. უფალი ამბობს: „რა სარგებლობას ნახავს ადამიანი, თუნდაც მთელი ქვეყანა შეიძინოს, თუკი სულს დაკარგავს" (მათე 16,26), ან წარიწყმედს და კიდევ „ვერ შეძლებთ ღმერთსაც ემსახუროთ და მამონსაც" (ლუკა 16,13). ისინი მდევართა წინაშე ღვთის მსახურებად გამოჩნდნენ და

ვერცხლის სიძულვილითა და არაფრად ჩაგდებით აღასრულოს ნათქვამი, რომ „კაცის სულის ხსნა არის სიმდიდრე მისი" (იგავი 13,8).

პეტრე ალექსანდრიელის მე-12 კანონი.

* * *

ის, ვინც მიატოვა ყოველივე სულის ხსნისათვის და გამორდა იქაურობას, არ იმსახურებს განკითხვას იმის გამოც კი, რომ მისი გულისათვის სხვები შეიპყრეს. ეფესოშიაც პავლეს ნაცვლად თეატრონში შეიპყრეს გაიოსი და არისტარხოსი, პავლეს თანამგზავრები. პავლე აპირებდა ხალხში შესვლას, მაგრამ მისმა მოწაფეებმა მისი მეგობარი ზოგიერთი აზიელი მთავარი მიაგზავნეს მასთან და ისინი ევედრებოდნენ, რომ არ გამოჩენილიყო თეატრონში (საქმე მოციქულთა 19, 29:31).

თუ ზოგიერთები მაინც გაუბედაობას იჩენენ იმ სიტყვის გამო, რომ „თუ იხსნი, იხსენი სული შენი და ნუ იხედები უკან" (შესაქ 19,17), მათ უნდა გაიხსენონ მოციქულთა თავი პეტრე, ჩაგდებული საპყრობილეში, რომელსაც,იცავდა მეომართა ოთხი ათეული. აქედან იგი გაიქცა და გადაურჩა მოსისხლე ჰეროდეს და იუდეველებს. ანგელოზის მცნებისამებრ ის წავიდა იქ, სადაც უნდოდა. ჰეროდემ, როდესაც ვერ იპოვა პეტრე, ბრძანა მეომრების ამოწყვეტა, რის გამოც, პეტრეს არ ედება ბრალი.

პეტრე ალექსანდრიელის მე-13 კანონი.

※※※※※※※※※※※※※ ✝ ※※※※※※※※※※※※※

※※※※

## მოგვების, მისანთა, ვარსკვლავთმეტყველთა, მათემატიკოსთა (რიცხვის მისნის), გრძნეულთა და შემლოცველების შესახებ

ვინც მიენდობა მისნებს, ან ასისთავად წოდებულებს (ასე ეწოდებოდათ უხუცეს მოგვებს) ან სხვა ამგვართ, რათა მათგან სწავლით რაიმე გამოეცხადოთ, ექვსი წლით უზიარებლობით განკანონება მიესაჯოთ მათ მამათა მიერ განწესებული დადგენილებისამებრ. ამავე კანონით საჭირო არის იმათი განკანონება, ვინც დაატარებს დათვს ან სხვა ცხოველს მარტივი, უბრალო ადამიანების გასართობად და სავნებლად, ვინც მკითხაობს სვე-ბედისა და შობის დღის შესახებ და ამნაირ სიტყვებს ერის საცდუნებლად ამბობს, ვისაც ეწოდებათ ღრუბელთმდევნელნი, მსახვრალნი (რიცხვებით მკითხავნი), შემლოცველნი, საცოთმოქმედნი (თილისმის მკეთებელნი), გრძნეულნი. თუ ისინი განაგრძობენ ამგვარ უწესოებას, არ შეიცვლებიან და კვლავაც გამოიჩენენ მისწრაფებას სულის მომსპობი და წარმართი (ელინური) ჩვეულებისადმი, დავადგენთ მათ გაძევებას ეკლესიიდან, როგორც ამბობენ საღვთო კანონები, რადგანაც „რა აქვს საერთო სინათლეს სიბნელესთან" (2 კორ. 6,14), როგორც ამბობს მოციქული: „როგორ შეესიტყვება ღვთის ტაძარი კერპებს? რა თანამომნაწილეობა აქვს მორწმუნეს ურწმუნოსთან? თანხმობაა ქრისტესა და ბელიარს შორის?" (2 კორ. 6,15-16).

VI მსოფლიო კრების 61-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ზოგიერთები, თვის დასაწყისში, სავაჭროს ან თავიანთი სახლის წინ, ანთებენ ცეცხლს, რომელსაც, ძველი ჩვეულებისამებრ ახტებიან გიჟივით. ამიერიდან ამის ქმნას ვკრძალავთ და, ამის შემდეგ, ვინც ასეთი რამ გაბედოს, თუ სასულიერო პირი იყოს – განიკვეთოს, თუ ერისკაცი – უზიარებელი იქნეს, მეფეთა მეოთხე წიგნში (რომელიც, ასევე კრძალავს ამგვარ საქციელს) წერია: „აუშენა მანასემ ცის ყველა ძალას საკურთხეველი უფლის სახლის ორ ეზოში და გაატარა თავისი შვილები ცეცხლში. მისნობდა იგი. მოიხმო მკითხავები და მომაჯლის წინასწარმეტყველნი განამრავლა უფლის წინაშე ბოროტის საქმნელად და მის განსარისხებლად" (4 მეფეთა 21, 5-6).

VI მსოფლიო კრების 61-ე კანონი.

* * *

ვინც თავისი გრძნეულობა ან მომწამვლელობა აღიაროს, კაცის მკვლელის სასჯელი მოიხადოს დროის ისეთივე განაწილებით, რადგან თვით გაამჟღავნა თავის ცოდვაში თავი.

ბასილი დიდის 65-ე კანონი.

* * *

ვინც გრძნეულებას შეუდგება, მან კაცის მკვლელის სასჯელი უნდა მოიხადოს.

ბასილი დიდის 72-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ის, ვინც გაჰყვება საწარმართო ჩვეულებას და სახლში შეიყვანს ბოროტად გრძნეულებს წამლობისა და მისნობისათვის, განკანონებულ უნდა იყოს ექვსი წლით, შემდეგნაირად: ერთი წელი უნდა შესტიროდეს, ერთი წელი მსმენელი უნდა იყოს, სამი წელი უნდა შეუვრდებოდეს და ერთი წელი უნდა იდგეს მორწმუნეებთან ერთად. ამგვარად უნდა იქნეს იგი შეწყნარებული.

ბასილი დიდის 83-ე კანონი.

* * *

ვინც მივიდეს გრძნეულებთან, ან მისნებთან ან ვინმესთან, ვინც აღუთქვამს რაიმე საეშმაკო განწმენდას ან მისნობით ვნებისაგან დაცვას, საჭიროა გამოძიება და დაწვრილებით გამოკითხვა: ქრისტეს სარწმუნოებაში ყოფნის დროს გაჭირვების გამო ჩაიდინეს ეს ცოდვა და გამოუთქმელმა უბედურებამ მისცათ მიზეზი, ასეთი საქმისთვის მიეყოთ ხელი, თუ სულ მთლად შეურაცხყვეს ჩვენი სარწმუნოება და ეშმაკი გაიხადეს თანამებრძოლად? თუ სარწმუნოების უარყოფით ჩაიდინეს ეს, უარისმყოფელთა სასჯელით დაისჯებიან, ხოლო თუ აუტანელი გაჭირვების გამო სძლიათ სულმოკლეობამ, და ჩამოცილდნენ სწორ გზას, ისეთი კანონი უნდა დავადოთ, როგორც იმათ, რომელმაც სარწმუნოების აღიარების დროს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს ტანჯვას.

გრიგოლ ნოსელის მე-2 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## მსახიობ-მომღერალთა (მგოსანთა), სანახაობებისა და სათამაშო ადგილების შესახებ

თუ მომღერლებმა, მსახიობებმა და სხვა ასეთი სახის პირებმა, როგორც განდგომილებმა, მოინანიონ და ღვთის მადლით მოიქცნენ, მათ ნუ ეტყვით უარს შეწყნარებაზე.

კართაგენის კრების 45-ე კანონი.

* * *

თუ ვინმე მსახიობთა დასის წევრი გაქრისტიანებას მოისურვებს და თავდაპირველი ბიწისაგან განთავისუფლდება, არავინ უნდა აიძულოს ის, რომ დაუბრუნდეს თავის ძველ ხელობას.

კართაგენის კრების 63-ე კანონი.

* * *

წმიდა და მსოფლიო კრება გმობს სახუმარო სანახაობას, სანადირო სანახავს და მგოსანთა როკვას, ხოლო, თუ ვინმე დაარღვევს ამ კანონს, თუ იგი სასულიერო პირი იქნება – განიკვეთოს, ხოლო, თუ ერისკაცი – უზიარებელი იქნეს.

VI მსოფლიო კრების 51-ე კანონი.

* * *

სასულიერო პირთა შვილები საერო სანახაობაში ნურც

მონაწილეობას მიიღებენ, ნურც სანახავად წავლენ.

კართაგენის კრების მე-15 კანონი.

* * *

კალანდა წარმართული დღესასწაულია (რომელიც ერთი რომაელი დიდებულის პატივსაცემად აღინიშნებოდა, რომელმაც შიმშილობის დროს, ერთ თვეს გამოკვება რომაელები). ამ დღესასწაულის მორწმუნეთა ცხოვრებიდან სრულიად ამოღება გვნებავს. ამასთანავე, ქალთა სახალხო ცეკვას, რომელსაც დიდი ზიანის მოტანა და ზნეობის შერყევა შეუძლია, აგრეთვე, ქალთა და მამაკაცთა მიერ საწარმართო ჩვეულების მიხედვით შესრულებულ ცეკვას უკუვაგდებთ, როგორც საქრისტიანო ცხოვრებისათვის უცხოს;

ანტიკური, ჯამბაზური ან თამაშით გასართობი, სამსახიობო ნიღაბი არავინ არ უნდა აიფაროს (იგულისხმება სატირული, კომედიური და ტრაგიკული სამსახიობო ხელოვნება); ნურც საწნახელში ყურძნის დაწურვის დროს უხმობენ საძაგელი დიონისეს სახელს;

ვინც ზემოთქმულიდან რომელიმე საქციელს ჩაიდენს, უკვე იცის და ისე სცოდავს, თუ სასულიერო პირი იყო, განიკვეთოს, თუ ერისკაცი — უზიარებელი იყოს.

VI მსოფლიო კრების 62-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## ჩაცმულობისა და მორთულობის შესახებ

თუ მამაკაცი სადედაკაცო სამოსელით შეიმოსოს, ან დედაკაცი – სამამაკაცოთი, უზიარებელი იყოს.

VI მსოფლიო კრების 62-ე კანონი.

* * *

ვინც ნათლისღებით ქრისტე შეიმოსა, მან აღიარა ქრისტეს ხორციელი მოქალაქეობის მიბაძვის სურვილი. ვინც მომავალში თმას სხვადასხვაგვარად დაიწნავს და მერყევ სულებს მახეს დაუგებს, მამობრივი განკანონებით ვუხსნით და სიწმიდით და სიმართლით მოღვაწეობას ვასწავლით, რომ მიატოვონ ნივთიერი ცდუნება და ამაოება, დაუსრულებელი და სანატრელი ცხოვრების მიმართ ჰქონდეთ სამარადისოდ მიპყრობილი გონება და განწმენდილი შიშის მიერ მიიღონ სრულყოფილი ქცევა და ღმერთს მიუახლოვდნენ სიწმინდით ცხოვრების შესაბამისად. უფრო შინაგანი კაცი (შიდა სამყარო) შეამკონ, ვიდრე გარეშე კაცი (გარეგნობა) სამკაულებით, წარმატებით და კეთილი ჩვეულებით, იმ ზომამდე, რომ აღარ ჰქონდეთ არაფერი წინააღმდეგობის (ეშმაკის) მაცდური ძალის სიბოროტეთაგან. თუ ვინმემ ეს კანონი შეურაცხყოს, უზიარებელი იქნეს.

VI მსოფლიო კრების 98-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

თუ ვინმე ღედაკაცთაგანი მოჩვენებითი ღვთისმსახურებისათვის გაიკრეჭს თავს, რომელიც მას ღმერთმა მისცა მორჩილების გასახსენებლად, შეჩვენებული იყოს, როგორც მორჩილების შესახებ ბრძანების დამრღვევი.

განგრის მე-17 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ანგარების და ავაზაკობის შესახებ

შეუძლებელია ერთ ეპისტოლეში მოხსენიება ყველა საღვთო წიგნისა, რომელშიც იქადაგება, რომ ავაზაკობას უნდა გავექცეთ და გავაგდოთ იგი ჩვენგან და რომელშიც ანგარება და სხვისი კუთვნილის მოხვეჭაც განქიქებული და ღვთის ეკლესიისაგან განდევნილია. ხოლო, ბარბაროსთა დამანგრეველი შემოსევებისა და ასეთი განწირულობის დროს, როდესაც ყოველმხრივ თავში ცემასა და გოდებაში არიან და ყველა ვაებითაა სავსე. ამ დამღუპველი დროის თავის სასარგებლოდ გამოყენება და ქონების მოხვეჭა, არის უღვთო და ღმერთის გამამწარებელ კაცთა დამახასიათებელი, რომლებიც უკიდურეს უღმერთობამდე არიან მისულნი. ასეთები შეჩვენებით განქიქებული უნდა იქნენ, რომ მათი საქციელით გამოწვეული რისხვა მთელ ერს არ დაატყდეს თავს. პირველად უნდა დაისაჯონ ხელისუფლების მქონენი და ასეთი

საქმის მოქმედ კაცთა წინამძღოლნი, რადგან მეშინია, როგორც წერილი ამბობს „ვაი თუ წარწყმდეს მართალი უღმრთოსთან ერთად" (შესაქმის 18,23).

თუ პირველი ანგარების გამო ვინმეს სასჯელი ექნება მოხდილი და ცუდი დროის ხელახლა დადგომისთანავე ისევ ანგარებას დაუბრუნდეს და თავისი თავისთვის სასარგებლო საქმეს გააკეთებს სისხლითა და ადამიანების ქლეტით, ტყვეთა და ლტოლვილთა მოსპობით, რაღას უნდა ველოდეთ სხვას, თუ არა რისხვის მოტანას ასეთი ანგარების მოღვაწესთაგან თავისთვისაც და მთელი ერისთვისაც.

ზარას აქარმა რომ შესცოდა დაფიცებულზე, ისრაელის მთელ კრებულზე მოიწია რისხვა (შდრ. ისუ ნავე 7) და აი, ერთმა რომ შესცოდა, განა მარტო ის მოკვდა ცოდვაში? ყველა ქონება, რომელიც უცხო იქნება და არა ჩვენი, შეჩვენებულად უნდა ჩავთვალოთ ამ დროს, რადგან აქარმა მოიპარა ნადავლისაგან და ესენიც ნადავლისაგან იხვეჭენ. აქარმა მტრისა მოიპარა, ესენი კი ძმისაგან მიითვისებენ და შეიძენენ თავის დასაღუპად.

ნურავინ იცთუნებს თავს იმით, რომ იპოვა უცხო რაიმე, რადგან არც ნაპოვნი არ უნდა გახდეს ანგარების წყარო. მეორე რჯულისაში ნათქვამია: „თუ იპოვნი შენი ძმის გზააბნეულ ხბოს და ცხვარს, გაიდენე ისინი წინ და დაუბრუნე შენს ძმას" (მეორე სჯულთა 22,1-3);

თუ არ შეიძლება, რომ მშვიდობიან დროში ვინმე

ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ ✝ ჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯჯ

ჯჯჯჯ

ნეტარებას ემლეოდეს, ზარმაცობდეს, თავისას არად აგდებდეს და ძმისას და მტრისას იხვეჭდეს, რამდენად უფრო დაუშვებელია და უჯეროა ამის ქმნა ძნელბედობის, მომხდური მტრისაგან ლტოლვის, გაჭირვების გამო საკუთარი ქონების მიტოვების ჟამს.

ზოგი თავს იცდუნებენ და თავისი დაკარგული ქონების სანაცვლოდ, სხვისას, რასაც იპოვნიან, ეპოტინებიან. რადგან მათ თავს ესხმიან მტრები და მძარცველები, თვითონ სხვების მიმართ, იქცევიან მტრად და მძარცველებად.

რომლებმაც მტრის თავდასხმის დროს გაბედეს უცხო სახლებში შეჭრა და გაძარცვა, თუ მათი ასეთი მოქმედება ნამდვილად დადასტურდა, ისინი მსმენელებთან ერთად დგომის ღირსნიც ნუ იქნებიან, ხოლო თუ თავს გაიმართლებენ ან დააბრუნებენ წაღებულს, მაშინ ისინი შეწყნარებულთა წესით შეუვრდებიან.

გრიგოლ ნეოკესარიელის კანონიკური ეპისტოლე.

* * *

კერპთმსახურების ნაირსახეობას უწოდებს საღვთო მოციქული ანგარებას. ამ ბოროტებას მესამე ადგილი დაუჭერია სულში ცნობილ ვნებათა შორის, რადგან გონება (ფიქრი) სიკეთეზე განსჯის უნარს დაკარგავს, რა მას ჰგონია, რომ სიკეთეს აქვს ნივთიერი სახე, ვერ ხედავს არანივთიერ სიკეთეს და ამქვეყნიურისაკენ წარმართავს სულის გულისთქმის მთელ ძალას ჭეშმარიტად სასურველის მიტოვებით.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

მრავალ ცოდვას იღებს თავზე ასეთი შეცოდებით ატეხილი შფოთის და გულისწყრომის ვნება. საღმრთო მოციქულმა არამარტო კერპმომსახურება, არამედ, ყოველივე ბოროტების ძირი უწოდა მას (შდრ 1 ტიმოთ. 6,10).

ავაზაკი მკვლელობასაც არ დაერიდება, რომ თავისი მისწრაფება შეასრულოს. იგი თავიდანვე შეიარაღებულია ამ საქმისათვის, მომზადებულია, იარაღსაც იხმარს, თანამოქმედთაც დაიხმარს და ადგილმდებარეობასაც მოიმარჯვებს, რის გამოც, ასეთს კაცისკვლის ბრალი ედება, თუ მოინანიებს და თავის თავს ეკლესიას მოჰგვრის.

გრიგოლ ნოსელის მე-6 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ქურდობის შესახებ

თუ ქურდმა თვითონ მოინანიოს და თავი თვითონ გამოავლინოს, მხოლოდ ერთი წელი აეკრძალოს მას სიწმინდის ზიარება. თუ სხვამ ამხილოს, ორ წელს არ უნდა ეზიაროს. განაწილდეს ეს ორი წელი ასე: შევრდომილთა ერთად იყოს ერთი წელი, მორწმუნეთა შორის ერთი და ბოლოს ღირსი გახდეს ზიარების.

ბასილი დიდის 61-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘
⌘⌘⌘⌘

ვინც ფარულად მოისხვეჭს სხვის ქონებას და ამის შემდეგ თავს გაამხელს ცოდვის აღსარების დროს მღვდლის წინაშე, მონდომებით აღუდგება წინ ვნებას და განკურნავს ღაავადებას, ასეთმა თავისი ქონება უნდა გაუყოს გლახაკებს, რომ იმისი დაფანტვით, რაც აქვს, ცხადად გამოჩნდეს, მისი განწმენდა ანგარების სენისაგან. თუ არაფერი ქონდეს, გარდა სხეულისა, მოციქული უბრძანებს, რომ ხორციელი შრომით უნდა განიკურნოს მისი ვნება, მოციქული გვეუბნება: "მპარავი ნუღარ იპარავს, არამედ, მეტი იშრომოს და ქნას სიკეთე, რომ ჰქონდეს მისაცემელი მისთვის, ვისაც ჭირდება" (ეფეს 4,28).

გრიგოლ ნოსელის მე-6 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## საფლავთა მძარცველთა შესახებ

საფლავთა მძარცველობა განიყოფა შესანდობლად და შეუნდობლად. თუ ვინმე ცხედარს მოერიდოს, დამარხული სხეული ხელუხლებლად დატოვოს ან დამარხოს ისევ, რომ მზემ არ ნახოს ბუნების უშვერება და ამ საფლავის ახლოს არსებული ქვებით ააშენოს რაიმე ნაგებობა, თუმცა საქებარი საქციელი არ არის, მაგრამ ჩვეულებას ეს მიუჩნევია შესანდობლად, თუ რაიმე

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

პატიოსანი და საზოგადოდ სასარგებლო საქმისთვის იქნება გამოყენებული ის ნივთები. ხოლო, გახსრეკა, მტვრად და მიწადქცეული ხორცისა და ძვლების აქეთ-იქეთ მიმოყრა იმ იმედით, რომ შეიძენენ მასთან ერთად დამარხულ სამკაულებს, უნდა დაისაჯოს იმ კანონის მიხედვით, რომლითაც განაკანონებენ სიძვის ჩამდენს.

გრიგოლ ნოსელის მე-7 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## სიწმინდეთა მკრეხელობის შესახებ

სიწმინდეთა მკრეხელობა, საეკლესიო ნივთების მიტაცება, ძველი აღთქმის წიგნთა მიხედვით, ღირსია არანაკლები სასჯელისა, ვიდრე მკვლელობა, რადგან კაცისმკვლელიცა და ღვთისთვის შეწირული ქონების მომხვეჭელიც ჩაქოლვით ისჯება (შდრ ისუ ნავე 7,22-26). არ ვიცი საეკლესიო ჩვეულებამ დაუშვა თუ არა რაიმე შეღავათი ან შერბილება სასჯელისა, რომ სენი განიკურნოს უფრო ადვილი სასჯელით. მამათაგან გადმოცემით მიღებული სჯულის მიხედვით, ასეთი დანაშაულის ჩამდენთა განკანონება შემოიფარგლა მრუშობისათვის დაწესებულის სასჯელზე ნაკლები დროით.

გრიგოლ ნოსელის მე-8 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ☩ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

ისინი, ვინც მეუღლესთან თანაცხოვრებით ან სხვა რაიმე მოურიდებლობით წმიდა ადგილებს წაბილწავენ, შეურაცხყოფენ, კაცთამკვლელებთან ერთად დგომის ღირსიც არ არიან საღვთო ტაძარში და ვბრძანებთ მათ იქიდან გაძევებას.

VI მსოფლიო კრების 97-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## მკვლელთა შესახებ

თუ რომელიმე სასულიერო პირი ჩხუბში ვინმეს დაჰკრავს და ერთი დარტყმით მოკლავს, განიკვეთოს მისი დაუწყნარებლობის გამო, ხოლო თუ ერისკაცი იყოს, უზიარებლობით დაისაჯოს.

მოციქულთა კრების 66-ე კანონი.

* * *

ნებსით მკვლელობისათვის უნდა შეუვრდებოდნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ხოლო სრული ზიარების ღირსნი მხოლოდ სიცოცხლის დასასრულს გახდნენ.

ანკირის კრების 22-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

უნებლიე მკვლელობისათვის, ადრინდელი დადგენილება ბრძანებს შვიდი წლით (ეპიტემიას) დაწესებული ხარისხთა მიხედვით, სრული ზიარების მიღებამდე. ხოლო მეორე (ახალი) დადგენილება კი ხუთი წლის შესრულებას ბრძანებს.

ანკრიის კრების 23-ე კანონი.

* * *

დიდი განსხვავებაა განზრახ და უნებლიედ კაცისკვლასა და სხვა ცოდვებს შორის. სრულიად უნებლიე და გარეშე მიზეზია ის, როცა ვინმე ძაღლს ან ხეს ესვრის ქვას და ის მოხვდება კაცს, რადგან საქმის ვითარება ისაა. ამის მომქმედის სურვილია, ან მხეცი გააქციოს, ან ხის ნაყოფი ჩამოაგდოს. უნებლიეა ისიც, როცა ჩხუბში, შესაშინებლად, გამეტებით დაარტყას ვინმემ ჯოხი ან ხელი, ჭრილობის მისაყენებლად საშიშ ადგილას, რომ თავი დაიცვას ან ტკივილი მიაყენოს, მაგრამ მოკვლის განზრახვა არ ჰქონდეს, ეს უკვე უახლოვდება განზრახ მკვლელობას, რადგან თუ იხმარა იარაღი ან ხერხი შურის საძიებლად და ან თუ არ მოერიდა დიდი ჭრილობის მიყენებას, ცხადია, რომ დაუზოგავად შეებრძოლა იგი იმ კაცს. ასევე, ვინც მძიმე შეშა, ან კაცის ბუნებრივ ძალას აღმატებული ქვა იხმაროს, ასეთი მკვლელობაც განზრახ მკვლელობად ჩაითვლება, რადგან გულის წყრომამ სძლია და ისეთი ჭრილობები მიაყენა, რომ მოკლა დაჭრილი, თუმცა მისი სურვილი მოწინააღმდეგის დამარცხება იყო და არა მოკვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო თუ ვინმემ მახვილი და ბასრი იარაღი იხმაროს, მას თავის გასამართლებელი არაფერი არა აქვს, მით უფრო, თუ ცულს ან სხვა იარაღს ესვრის, რადგან ხელით კი არ მიაყენა ჭრილობა, რომ მოეზომა ჭრილობის სიდიდე,' არამედ ესროლა, რის გამოც, შორიდან ნასროლმა იარაღმა გამოიწვია სასიკვდილო ჭრილობა.

ასევე, განზრახ მკვლელობაა და სრულიად გაუმართლებელი ავაზაკებისა და მგრების თავდასხმა, რადგან ისინი ქონებისათვის კლავენ და მხილებას ემალებიან. სასიკვდილო ბრძოლაში ულმობლად ჩაებმებიან და არც შესაშინებლად, არც გასაწვრთნელად იბრძვიან, არამედ მტრის აშკარად მკვლელობას უდებენ საფუძვლად საქმეს.

აგრეთვე, თუ ვინმემ, რაიმე მიზეზისათვის მოამზადოს წამალი და ვინც ამ წამალს იხმარს, მოკვდება, სიკვდილის ამ სახეს განზრახ კაცისკვლად ჩავთვლით.

ბასილი დიდის მე-8 კანონი.

* * *

ვინც უნებლიე მკვლელობას ჩაიდენს, მისთვის საკმარისია თერთმეტი წლით განკანონება, ცხადია, დარტყმით დაჭრილთა შესახებ, ჩვენ უნდა დავიცვათ მოსეს კანონი (გამოსვლ. 21,18-19). ვინც ლოგინად ჩავარდება მიყენებული ჭრილობების გამო, მაგრამ შემდეგ ადგება და ივლის ჯოხით, იმას არ ვთვლით მოკლულად. ხოლო თუ ველარ ადგება ჭრილობების გამო, თუნდაც მკვლელს

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

სასიკვდილოდ არ ეცემოს იგი, მკვლელი არის, მაგრამ უნებლიე, რადგან მოსაკლავად არ უცემია.

ბასილი დიდის მე-11 კანონი.

* * *

ბრძოლის დროს ჩადენილი მკვლელობები ჩვენს მამებს არ მიაჩნიათ მკვლელობად, რადგანაც მე მგონია, მათ შეუნდობენ, როგორც მოღვაწეებს სიწმიდისა და კეთილი მსახურებისათვის. მაგრამ იქნებ უკეთესია ვურჩიოთ მათ, როგორც სულით არაწმინდებმა, სამი წლით თავი შეიკავონ საიდუმლოთა ზიარებისაგან.

ვინც ავაზაკს შეებრძოლება, უზიარებელობით დაისაჯოს საიდუმლოსგან განყენებული. თუ სასულიერო პირი იყოს, პატივი აეყაროს, რადგან „ყველა, ვინც აიღებს მახვილს, – ნათქვამია, – მახვილით მოკვდებაო" (მათე 26,52).

ბასილი დიდის 55-ე კანონი.

* * *

ვინც განზრახ მოკლას კაცი და ამის შემდეგ მოინანიოს, ოცი წლით ნუღარ ეზიარება, ღვთის სიწმიდეს. ის ოცი წელიწადი მას ასე უნდა გაუნაწილდეს: ოთხი წელი უნდა შესტიროდეს სალოცავი სახლის კარებთან მდგომი და ევედრებოდეს შიგ შემსვლელ მორწმუნეებს, ილოცონ მისთვის და აღიარებდეს თავის ურჯულოებას. ოთხი წლის შემდეგ მსმენელთა შორის იყოს შეწყნარებული და

ЖЖЖЖЖЖЖЖЖЖЖЖЖ ✝ ЖЖЖЖЖЖЖЖЖЖЖЖЖ

ЖЖЖЖ

ხუთ წელს იყვეს მათთან ერთად. შვიდი წელიწადი შევრდომილებთან ერთად გაატაროს. ოთხ. წელიწადს. ელესიამი მორწმუნეებთან ერთად იდგეს ზიარების გარეშე და, როცა ყოველივე ეს აღსრულდება, შემდეგ შეიძლება შეიწყნარონ სიწმიდეთა ზიარებაზე.

ბასილი დიდის 56-ე კანონი.

* * *

უნებლიე კაცისმკვლელი ათი წელი არ უნდა ეზიაროს სიწმიდეს, ის ათი წელიწადი ისე გაუნაწილდება მას: ორი წელი შესტიროდეს, სამი წელი მსმენელებთან ერთად იდგეს, ოთხი წელი შევრდომილებთან დაყოს, ერთ წელიწადს იდგეს მორწმუნეებთან და მხოლოდ ამის შემდეგ შეიწყნარონ იგი სიწმიდეთა ზიარებაზე.

ბასილი დიდის 57-ე კანონი.

* * *

ცხადია, რომ ასეთებს ეკლესიის გამგებელმა მათი სინანულის რაგვარობისა და ქცევის მიხედვით უნდა შეუმოკლოს განკანონების დრო, რომლის მიხედვით სინანულის თითოეულ საფეხურზე შეუმცირდებათ სასჯელი, რადგან გულმოდგინეობა მისწრაფებით ქცევისა დასძლევს დროს და გულმხურვალე წადილი მათი, რომლებიც უმკაცრესად განიწმენდენ და გაიმართლებენ თავს, სძლევს და აღემატება დროის სიგრძეს.

გრიგოლ ნოსელის მე-4 კანონი

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

ეროვნული ბიბლიოთეკა

⌘⌘⌘⌘

## თავის მკვლელის შესახებ

შესაწირავის შეწირვა (ქამის წირვა) თავის მკვლელისათვის არ შეიძლება, ხოლო ვინც ცნობადაკარგული იყო და თავი მოიკლა, მისთვის შეიძლება ქამის წირვის ჩატარება.

ტიმოთე ალექსანდრიელის კანონი

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## შვილების მიმტოვებელი დედის შესახებ

თუ ვინმე მიატოვებს თავის შვილებს, არ კვებავს მათ და არ ეხმარება, რაც შეუძლია, რათა აღზარდოს სათანადო ღვთის მსახურებით, არამედ, განდეგილობის მიზეზით უყურადღებოდ დატოვებს მათ, შეჩვენებული იყოს.

განგრის კრების მე-15 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## მშობლების მიმტოვებელი შვილების შესახებ

თუ შვილები, მორწმუნე მშობლებს, ღვთისმსახურების

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

მიზეზით გამორდებიან და არ მიაგებენ მშობლებს შესაფერის პატივს, ცხადია, ღვთისმსახურებისადმი პატივისცემის დაცვით, შეჩვენებული იყვნენ.

ლაოდიკიის კრების მე-16 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ადამის უკვდავად დაბადების შესახებ

ვინც იტყვის, რომ პირველი კაცი — ადამი, დაიბადა მოკვდავად, ისე, რომ გინდ ჩაედინა ცოდვა, გინდ არა, მაინც ეწერა ხორციელი სიკვდილი, ე.ი. ხორციდან გასვლა არა ცოდვის სასჯელად, არამედ ბუნების აუცილებლობის გამო, შეჩვენებული იყოს.

კართაგენის კრების 109-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## წმიდა წიგნების გაფუჭების შესახებ

არავის არ ეძლევა ნება ძველი და ახალი აღთქმის, ან ჩვენი წმიდა ქადაგებისა და მოძღვრებების წიგნები გააფუჭოს,

ႼႼႼႼႼႼႼႼႼႼႼႼ ✠ ႼႼႼႼႼႼႼႼႼႼႼႼ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრას ან წიგნის ვაჭარს, ან მეწვრილმანეს, ან სხვა ვინმეს ამგვარს მისცეს გასაფუჭებლად, ან გასანადგურებლად, თუ არ არის სრულიად უვარგისი და გამოუსადეგარად ქცეული ჩრჩილის, წყლის ან სხვა რაიმესაგან. ხოლო, ვინც ასეთ რაიმეს ჩაიდენს ამიერიდან, ერთ წელიწადს უზიარებელი იქნეს. ასევე, ასეთი წიგნების მყიდველი, თუ არც თვით ფლობდეს მათ თავის სასარგებლოდ, არც სხვას მისცეს ქველმოქმედების მიზნით, ან ხელისშეუხებლად შესანახავად, არამედ, აფუჭებდეს და აზიანებდეს მათ, უზიარებელი იქნეს.

VI მსოფლიო კრების 68-ე კანონი.

## ეკლესიისა და სასულიერო პირთა შეურაცხყოფის შესახებ

თუ ვინმე ერის კაცი უგულვებელყოფს საღვთო და სამეუფო ბრძანებებს, სასაცილოდ აიგდებს ეკლესიის მოწიწების ღირს წესებს (დაუწერელ დადგენილებებსა და ძველ გადმოცემებს) და სჯულს (დაწერილ კანონებს) და გაბედავს სასულიერო პირის ცემას და საპყრობილეში ჩაგდებას დანაშაულის გარეშე, ან რაიმე შეთხზული მიზეზის გამო, შეჩვენებული იქნეს.

სოფიის ტაძარში შეკრებილ წმიდა მამათა მე-3 კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## უქმობის შესახებ

ბზობის შემდეგ, დიდ კვირას და ახალ კვირას უქმობდნენ მონებიც, იმიტომ, რომ ერთი ვნების არის და ერთი აღდგომის. საჭიროა, რომ იცოდნენ, თუ რომელი არის ვნებული და აღდგომილი, ან რომელია შემნდობელი და აღმადგენელი;

ამაღლებას უნდა უქმობდნენ, როგორც ქრისტეს განგების აღსრულებას;

სულიწმიდის მოსვლას უნდა უქმობდნენ, რადგან სულიწმიდის მოსვლა ქრისტეს მორწმუნეთათვის არის მონიჭებული;

შობის დღესასწაულს უნდა უქმობდნენ, რადგან იგი ადამიანებს აძლევს სიხარულს მარიამ ქალწულისაგან ამ სოფლის გადასარჩენად ღვთის სიტყვის შობით;

ღვთის განცხადების დღესასწაულს უნდა უქმობდნენ, რადგან, მაშინ გამოჩნდა მამის დამოწმებით, რომ ქრისტე ღმერთია. იქ მღვომთათვის ეს თვალსაჩინო გახდა ნათლისღების დროს მტრედის ნუგეშინისმცემელი გამოჩენით;

წმიდა მოციქულთა დღესასწაულს უნდა უქმობდნენ, რადგან ქრისტემ ისინი თქვენ მოძღვრად დაადგინა და მათ ღირსი გაგხადეს თქვენ სულიწმიდისა.

წმიდა მოციქულების პეტრეს და პავლეს მე-2, მე-3, მე-4, მე-5,მე-6, მე-7 კანონები.

## თუ რა ასაკიდან განიკითხება ადამიანი ღვთის მიერ

ყოველი ადამიანი შემეცნების და მსჯელობის უნარის მიხედვით, განიკითხება ათი წლის ასაკიდან, მეორენი კი, შემდგომი წლებიდან.

ტიმოთე ალექსანდრიელის მე-8 კანონი.

## მამაკაცის და ქალის ერთად ბანაობის აკრძალვის შესახებ

ქალთან ერთად ბანაობა ეკრძალება ყველა ქრისტიანს, რადგან ეს არის წარმართთა მიერ წამოყენებული პირველი ბრალდება ჩვენზე. ასეთ საქმეში მხილებული ერისკაცი უზიარებელი იქნეს.

ლაოდიკიის კრების 77-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

## უძლურთა დაცინვის შესახებ

თუ რომელიმე ერისკაცმა დასცინოს კოჭლს, ყრუს, ბრმას, ფეხებდაწყლულებულს, უზიარებლობით დაისაჯოს.

მოციქულთა კრების 57-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## ცოდვის შესახებ

არა მარტო თავმდაბალი, არამედ, ჭეშმარიტიც არის წმინდა ხმა: „თუ ვამბობთ, რომ არ გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში" (I იოანე, 1,8); ვისაც ჰგონია, რომ თავდამლობის გამო არ უნდა ვთქვათ, ცოდვა არა გვაქვსო, და არა იმიტომ, რომ ეს ჭეშმარიტებაა, შეჩვენებულ იყოს. ამას მოწმობს მოციქულიც და ამბობს: „თუ ვაღიარებთ, ჩვენს ცოდვებს, სარწმუნო არის და მართალი, რომ მოგვეტევება ცოდვები და განვიწმინდებით ყოველგვარი უსამართლობისაგან" (I იოანე, 1,9).

კართაგენის კრების 114-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

წმიდათა მიერ ჭეშმარიტი ითქმის სიტყვები: „მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი". ასევე, ვისაც სურს, წმიდათა მიერ წარმოთქმული სამეუფო ლოცვის სიტყვები: „მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი" ისე გაიგეს, რომ წმიდანები თითქოს თავმდაბლობით და არა ჭეშმარიტად ამბობენ ამას: შეჩვენებულ იყოს, რადგან ვინ ჩათვლის მლოცველად იმას, ვინც ადამიანებს კი არა, ღმერთს ატყუებს და ბაგეებით კი ამბობს, რომ სურს, რათა მიეტეოს მას ცოდვა, ხოლო გულით ამბობს, რომ სხვას, თანამდებთ (მოვალეებს) მიეტეოს, თითქოს თვითონ მას, ცოდვა არ ჩაუდენია.

კართაგენის კრების 116-ე კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## გარდაცვალებულთა შესახებ

დაძინებულთათვის (გარდაცვალებულთათვის) აღინიშნოს სამი დღე ლოცვითა და ფსალმუნებით, რადგან ქრისტე მესამე დღეს აღდგა: ცხრა დღე აღინიშნება დარჩენილთა და გარდაცვლილთა მოსახსენიებლად. ორმოცი დღე აღინიშნება, ძველი აღთქმისამებრ, რადგან ასე იგლოვა ერმა მოსე. აღინიშნება წელიწადი მათ მოსახსენებლად და საჭიროა დავრდომილებს მიეცეს მათი (გარდაცვლილთა) ქონებიდან რაიმე;

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ ✠ ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

ჵჵჵჵ

ამას ვამბობთ კეთილმსახურთა შესახებ, რადგან, უღვთოთ, ამქვეყნიური ქონება მთლად რომ გასცენ, მათთვის უსარგებლოა. ვინც სიცოცხლეში ღვთის მტერი იყო, ცხადია, ის გარდაცვლილიც მასთან არ არის. ღმერთთან არ არსებობს უსამართლობა, რადგან მართალია უფალი და შეიყვარა სიმართლე და „აი კაცი და აი მისი საქმე".

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-4 კანონი.

* * *

დაძინებულთა (გარდაცვლილთა) მოსახსენიებლად გამართული სუფრა კეთილწესიერებით და ღვთის შიშით უნდა ჩატარდეს, რომ შეძლონ გარდაცვლილის შეოხება.

წმიდა მოციქულთა პეტრეს და პავლეს მე-15 კანონი.

ჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵჵ

## აღდგომის დროის განსაზღვრისა და მარხვის შესახებ

ეს საკითხი თხოულობს ზუსტ გადაწყვეტას, თუ რომელ საათზე, ან რომელი საათის ნახევარზე, ან რომელი საათის თხუთმეტ წუთზე უნდა დავიწყოთ ჩვენი უფლის მკვდრეთით აღდგომის სიხარული.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

იმათ, ვინ მარხვას გახსნის დილაადრიან და შუაღამეზე ადრე, როგორც სულმოკლეებს და შეუკავებელებს, დამნაშავედ ვთვლით. მარხვის ადრე შეწყვეტის გამო. ვინაიდან, ბრძენი კაცი ამბობს, რომ მცირე, ცხოვრებაში ცოტას არ ნიშნავს, ხოლო, იმათ, ვინც უფრო მომთმენია და თავდაჭერილი და თავს შეიკავებს ღამის მეორე სახმილავამდე, ე.ი. დილამდე, იმ დრომდე, როდესაც ნავით მიმავალ მოწაფეებს ზღვაზე სვლით გამოუჩნდა ჩვენი მაცხოვარი, შევიწყნარებთ, როგორც მხნეებს და შრომისმოყვარეებს.

იმათ კი, ვინც ამ ორ დროს შორის თავისი სურვილით და შესაძლებლობის მიხედვით განისვენა მარხვისაგან და ნუგეშინისცემულ იქნა, ძალიან არ ვადანაშაულებთ. რადგან მარხვის ექვს დღესაც ყველა თანასწორად და ერთგვარად ვერ გაატარებს, არამედ ზოგნი საზრდოს გარეშე ატარებს მას, ზოგი მარხულობს მხოლოდ ორ დღეს, ზოგი – სამს და ზოგი ოთხს, ხოლო ზოგი – არც ერთს და პირის ხსნის სიადრე და სისწრაფე შესანდობელია მათთვის, ვინც სრულიად საზრდოს გარეშე გაატარა ეს დღეები და ძალზე დაუძლურებულია. ხოლო ზოგიერთნი, არათუ სრულიად საზრდოს გარეშე გადაივლიან ამ დღეებს, არამედ ილხენენ – პირველ ოთხ დღეს და ამის შემდგომ მხოლოდ ორ დღეს – პარასკევს და შაბათს ატარებენ უზმოდ, არ მგონია, მათი ღვაწლი გაუტოლდეს იმათ ღვაწლს, ვინც უმრავლეს დღეებში ილვაწებს შრომით. ეს დავწერე ისე, როგორც მგონია, იმისთვის, რათა რჩევა მივცე ყველას, ვინც ეძიებს ამ საკითხის გარკვევას.

დიონისე ალექსანდრიელის I ეპისტოლე.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

მორწმუნეებს, რომელნიც გადამრჩენი ვნების დღეებს მარხვით, ლოცვით და ლმობიერი გულით გალაიხდიან, მართებთ, რომ აღდგომის წინ შუაღამის მოწევისას, დიდი შაბათის ღამეს, რომელიც წმიდა აღდგომას თენდება, მარხვა გახსნან (იხსნილონ) საღვთო მახარებლების მათეს და ლუკას მიხედვით, რომელთაგან ერთი – „მწუხრი შაბათსა" (მათე 28,1) ხოლო მეორე „ცისკარს მსთუად" (ლუკა 24, 1) გვიან ღამით აგვიწერენ ჩვენ აღდგომის სიხარულს და დაწყებას.

VI მსოფლიო კრების 89-ე კანონი.

* * *

ყველა, ვინც გაბედავს (და დაარღვევს) წმიდა და დიდი ნიკიაში შეკრებილი კრების განსაზღვრებას (რომელიც შედგა კეთილმსახური და ღვთისმოყვარე მეფის კონსტანტინეს იქ ყოფნის დროს, საცხოვნებელი აღდგომის წმიდა დღესასწაულის გამო), უზიარებელი და განდევნილი უნდა იყოს ეკლესიისაგან.

ანტიოქიის კრების I კანონი.

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

## მადლის შესახებ

ღვთის მადლი, არა მარტო ცოდვების მიტევებას მოგვ-

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

მადლებს, არამედ, იმაშიც გვეხმარება, რომ აღარ შევცოდოთ.

ასევე, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი: ვინც იტყვის, რომ ღვთის მადლს, რომლითაც გავმართლდებით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, მხოლოდ წარსული ცოდვების მიტევება შეუძლია და არ მოგვემადლებს დახმარებას, რომ აღარ შევცოდოთ შემდეგაც, შეჩვენებულ იყოს.

კართაგენის კრების 111-ე კანონი.

* * *

ქრისტეს მადლი არა მარტო გვაძლევს იმის ცოდნას, რომ რაც საჭიროა, ისე გავაკეთოთ, არამედ სიყვარულს შთაგვბერავს ჩვენ, რათა, რაც შევიცანით, მისი სრულყოფა შევძლოთ.

ასევე, ვინც ამბობს, რომ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი ჩვენ მოგვენიჭა მხოლოდ დამხმარედ, რომ არ შევცოდოთ და მის მიერ განგვეცხადება და გვეუწყება ჩვენ ჩვენი ცოდვების შეცნობა, რათა ვიცოდეთ, რისი თხოვნა არის საჭირო და რას უნდა ავუქციოთ გვერდი და ვინც არ აღიარებს, რომ მისი შესაძლებლობით გვეძლევა შეძლება და სიყვარული იმისა, რომ რაც გავიგეთ, ის შევასრულოთ, შეჩვენებულ იყოს.

მოციქული ამბობს, „ცოდნა აამპარტავნებს, ხოლო სიყვარული აღაშენებს“ (I კურ. 8,1). სრული უღმერთობაა იმის დაჯერება, რომ ქრისტეს მადლს ჩვენი გაამპარტავნებისთვის აქვს ძალა, ხოლო აღშენებისთვის – არა აქვს, ვინაიდან თითოეული

მათგანი ღვთის საჩუქარია: იმის ცოდნაც, რაც უნდა ვქნათ და სიყვარულიც, რომ ჯეროვნად გავაკეთოთ, რათა სიყვარულის აღმშენებლობით ცოდნამ ვერ შეძლოს გაამპარტავნება, რადგანაც, როგორც ცოდნის ღვთისმიერობა დაწერილია: „რომელიც აძლევს კაცს ცოდნას" (ფსალმუნი 93,10), ასევე, სიყვარული შესახებაც დაწერილია, რომ „სიყვარული ღვთისაგან არის" (I იოანე 4,7).

კართაგენის კრების 112-ე კანონი.

* * *

ვინც ამბობს, რომ სიმართლის მადლი ჩვენ მოგვეცა იმისთვის, რომ რისი გაკეთებაც შეგვიძლია თავისუფლებით, ის ადვილად გავაკეთოთ მადლის მიერ და თუ მადლი არ მოგვეცემოდა, მაინც შეგვეძლო, მადლის გარეშეც, ღვთის ცნებათა შესრულება, მაგრამ არა ადვილად, შეჩვენებულ იყოს. როდესაც უფალი ლაპარაკობდა ღვთის ცნებათა ნაყოფის შესახებ, არა უთქვამს ჩემს გარეშე შეგიძლიათო ძნელად გაკეთება, არამედ თქვა: „ჩემს გარეშე არაფრის გაკეთება არ შეგიძლიათო" (იოანე, 15,5).

კართაგენის კრების 113-ე კანონი.

## სინანულის, შენდობის და სასჯელის შესახებ

თუ ვინმე, ზემოთქმულ ცოდვებში ჩავარდნილი, სინან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულისა და აღსარებისადმი დიდ მისწრაფებას გამოაჩენს და თუ ის, ვისაც რწმუნებული აქვს კაცთმოყვარე ღვთისაგან სასჯელის დადებისა და მოხსნის უფლება, ნახავს მის გადაჭარბებულ აღსარებას და სინანულს, კაცთმოყვარე აღმოჩნდება მის მიმართ და შეუმოკლებს განკანონების ვადას, იგი არ უნდა გახდეს განკითხვის ღირსი, ვინაიდან, წმიდა წერილის თხრობაში ჩვენ ვხედავთ, თუ რა სწრაფად ხდებიან ღვთის კაცთმოყვარეობის (წყალობის) ღირსნი დიდი ცოდვების მაღიარებელნი.

ბასილი დიდის 74-ე კანონი.

* * *

ამას ყველაფერს ვწერთ, რათა სინანულის ნაყოფი გამოვცადოთ, რადგან ჩვენ დროის მიხედვით კი არ განვიკითხავთ მონანულთ, არამედ ვუყურებთ სინანულის სახეს, თუ რამდენად გულმოდგინეა მონანული. თუ ძალიან უჭირთ თავისი ჩვეულების მოშლა, მსურველნი არიან ემსახურონ უფრო ხორციელ სიამოვნებას, ვიდრე უფალს და სახარებისამებრ ცხოვრებას არ მიიღებენ, ერთ სიტყვასაც არ ვეტყვით მათ, ვინაიდან ურწმუნო და მოდავე ერში გვსმენია: „თვითონ იხსენი სული შენი" (შესაქ. 19,17): ამის გამო, ნუ დავუშვებთ, მათთან ერთად, ჩვენს წარწყმედას. უნდა გვეშინოდეს საშინელი სასჯელისა, თვალწინ უნდა გვქონდეს უფლის მიერ მიზღვის საშინელი დღე და ნუ

მოვინდომებთ სხვათა მიერ ჩადენილი ცოდვებისაგან დაღუპვას. თუ ვერ გვასწავლა ჩვენ უფლის საშინელმა ხელმა, ვერც ამგვარმა დარტყმებმა ვერ მოგვიყვანა გონს, რომ ჩვენი უსჯულოებების გამო მიგვატოვა უფალმა, მიგვცა ბარბაროსთა ხელთ, მოწინააღმდეგემ ტყვედ წაიყვანა ერი და გაფანტულ იქნა იგი, რადგან ამას ბედავდნენ ქრისტეს სახელის მატარებელნი, თუ ვერც შეიცნო ადამიანმა და ვერც მიხვდა, რომ ამის გამო გადმოვიდა ჩვენზე ღვთის რისხვა, მაშინ რაღა გვეთქმის და რაღა გვაქვს მათთან საერთო! ჩვენ, დღე და ღამე, საჯაროდ და ცალკე უნდა ვუდასტურებდეთ მათ ჭეშმარიტებას. მაგრამ, ნუ დავუშვებთ, რომ მივყვეთ მათ სიბოროტეში. უკეთესია ვილოცოთ, რათა შევიძინოთ ისინი და გამოვიხსნათ ბოროტის მახიდან. თუ ამის გაკეთებას ვერ შევძლებთ, ვისწრაფოთ, რომ ჩვენი სულები ვიხსნათ საუკუნო სასჯელისაგან.

ბასილი დიდის 84-ე კანონი.

* * *

ვისაც ღვთის მიერ მოცემული აქვს შეკვრისა (დასჯის) და გახსნის (სასჯელისაგან განთავისუფლების) უფლება, მას მართებს, რომ განიხილოს ცოდვის ხარისხი, ცოდვილი კაცის შემობრუნებისაკენ ლტოლვა შეიგრძნოს და ამგვარად სენის შესაბამისი წამალი

მოუმზადოს, რომ არ შეხედოს მარტივად ცოდვას და ამით ვერაფერი არგოს ცოდვით დაუძლურებულს. ცოდვის სენი კი, მარტივი არ არის, არამედ, ნაირ-ნაირია და მრავალსახე. იგი სიბრროტის ნერგს მრავლად აღმოაცენებს. მისი შემწეობით უკეთურება აღემატება და აღორძინდება იმ ზომამდეც კი, რომ წინააღმდეგობას უწევს მკურნალის ძალას. ამიტომ, ვისაც უნდა მკურნალის ხელოვნება აჩვენოს, მას პირველად მართებს, რომ ცოდვის მოქმედის ნება შეიცნოს: სიმართლე სურს მას, თუ პირიქით, თუ საკუთარი ნებით მოუხმობს სენს. უნდა შეიცნოს თავის ქცევას როგორ წარმართავს: თუ არ ეწინააღმდეგება მკურნალს და სულიერ ტკივილს მასზე დადებული წამლით კეთილად კურნავს, ასეთ შემთხვევაში, ღირსებისამებრ უნდა მიეცეს მოწყალება.

ღვთის ყველა სიტყვა და ღვთის მიერ ხელდასხმული მწყემსის უფლება მოაქცევს გზასაცდენილ ცხვარს და გველის ნაკბენ წყლულს განუკურნავს, არც ორმოში ჩავარდნილს ტოვებს სასოწარკვეთილს, არც აღვირს მიუშვებს თავაშვებულად და თავზეხელაღებული ცხოვრებისათვის. კარგად უნდა იცოდეს მკურნალმა ყოველნაირი – ფიცხელი და ბლანტე (გამშრობი) საშუალებით, რბილი და ტკბილი წამლით ვნების შეჩერება და ჩირქმდინარე წყლულის შეხორცება, მოღვაწეობის შედეგად გამოტანილი სინანულის ნაყოფის შემჩნევა-შემოწმება და ზეციური სინათლისკენ მოწოდებული ადამიანის ბრძნული განგება.

ვინაიდან ჩვენ ორივე უნდა ვიცოდეთ – წესთა უცთომე-

ლობაც და სჯულის ჩვეულებაც, – გვმართებს შერცხვენით მხილება მათი, რომლებიც ღვთის მოცემულ წესებს არ შეიწყნარებენ, როგორც ჩვენ დიდი და წმიდა ბასილი გვასწავლის.

VI მსოფლიო კრების 102-ე კანონი.

## ეკლესიიდან განყენებისა და ეკლესიური ცხოვრების შესახებ

ხოლო ამას რომ ვწერთ, ღვთის ეკლესიისაგან განკვეთთ არა იმათ, ვისაც ჭეშმარიტად სურს მოღვაწეობა (ღვაწლის შეღგომა) საღვთო წერილისამებრ, არამედ, იმათ, ვინც მოღვაწეობას ამპარტავნების საბაბად აქცევს და ქედმაღლურად უყურებს იმათ, ვინც მარტივი ცხოვრებით ცხოვრობს. ამით ისინი შემოიღებენ სიახლეებს (საღვთო) წერილისა და საეკლესიო კანონების წინააღმდეგ.

ჩვენ გვაკვირვებს ქალწულობა თავმდაბლობით შემკული. ვიღებთ მარხვას პატიოსნებით და ღვთის შიშით შესრულებულს და შევიწყნარებთ ამ ქვეყნისაგან განშორებას, თავმდაბლობით აღსრულებულს, პატივს ვცემთ ქორწინებით თანამკვიდრობას შეუგინებელს და შეურაცხყოფას არ ვაყენებთ სიმდიდრეს, რომელიც

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✠ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

სიმართლით არის შეძენილი და სიკეთისთვის იხარჯება. ვაქებთ არაძვირფასი სამოსელის უბრალოებას და სისადავეს, მხოლოდ ხორცის დასაფარავად განკუთვნილს. ხოლო, გახსნილი და სათრევი სამოსლით მოსიარულეებს, არ შევიწყნარებთ. პატივს ვცემთ ღვთის სახლებსა და მათში მოწყობილ კრებებს ვთვლით წმიდად და სასარგებლოდ. ღვთისმსახურებას სახლებში კი არ შევამწყვდევთ, არამედ პატივს ვცემთ ყოველ ადგილს, ღვთის სახელზე აშენებულს და შევიწყნარებთ ეკლესიაში საერთო სარგებლობისათვის შეკრებილ კრებას, შევნატრით გლახაკთა მიმართ ძმათა მიერ ეკლესიის ძველი გადმოცემისამებრ ქმნილ ქველმოქმედებას და, მოკლედ რომ ვთქვათ, ვლოცულობთ, რათა ეკლესიაში ხდებოდეს ყველაფერი, რაც მოცემულია საღვთო წერილში და განწესებულია მოციქულთა გადმოცემის მიერ.

ღანგრაში შეკრებილ წმიდა მამათა 21-ე კანონი

✠ ✠ ✠

⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘ ✝ ⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘⌘

⌘⌘⌘⌘

# სიტყვათა განმარტება

**ამბიონი**–(ბერძნულად–ასვლა, ამაღლება): საქადაგებლო, საფსალმუნე, ამაღლებული ადგილი აღსავლის კარის წინ, სადაც იკითხება სახარება და სრულდება ქადაგება.

**ანათემა**–(ბერძნულად – „ანას" – შორს, „ტითეონ" დაყენება): საეკლესიო დაწყევლა, შეჩვენება, განკვეთა, უდიდესი ქრისტიანული სასჯელი.

**აპოკრიფული წიგნები**–(ბერძნულად–„აპოკრიფოს" –საიდუმლო, დაფარული): ის წიგნებია, რომელთაც ეკლესია ცრუდ და მავნე წიგნებად აცხადებს და კრძალავს მათ გამოყენებას.

**აღაპი** – (ბერძნულად – „აგაპაძო" – დიდი პატივით მიღება ან გაცილება): სერი, მოსახსენიებელი ლოცვა და პურის ჭამა მიცვალებულის მოსახსენიებლად – ქელეხი.

**აღდგომა** – ეს არის იმედის, განახლების, მარადიული სულის სისპეტაკის, ზნეობრივი სიწმიდის დღესასწაული „ოდეს ყოველი არსი ხარობს, რამეთუ აღსდგა ქრისტე". პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა, აღდგომის დღესასწაულის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობიდან (დღისა და ღამის თანასწორობის, სავსე მთვარის) მომდევნო კვირას, რომელიც ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მარტს შორის, ხოლო ძველი სტილით 22 მარტიდან 25 აპრილამდე მერყეობს.

**აღება** – მარხვის დაწყების წინა დღეს სახსნილო საჭმლის აღება.

**აღთქმა** – დაპირება, თავისებური სიტყვიერი სახე ურთიერთობისა ღმერთსა და ადამიანს შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ალსავლის კარი** – ტაძრის კანკელის შუა კარი.

**აღსარება** – მონანიება, ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი, ცოდვების განდობა მღვდლის წინაშე, რაც ითვლება ქრისტეს მადლად, რომლის წყალობითაც ადამიანი თავისუფლდება ცოდვებისაგან, თუ გულწრფელად აღიარებს და ინანიებს ცოდვებს.

**განდეგილება** – ქვეყნიურ საქმეთაგან განშორება, განმარტოება.

**განკვეთა** – ეკლესიიდან განკიცხვა, გაგდება. საეკლესიო მკაცრი სასჯელი იმათთვის, რომლებიც ქრისტიანულ რწმენასა და წესს შეურაცხყოფენ.

**გუჯარი** – (სპარსული სიტყვა): ქარტა, გრაგნილი, ხელნაწერი.

**დემონი** – ბოროტი სული, ეშმაკეული.

**დოგმატი** – (ბერძნული სიტყვა): ძირითადი დებულებანი სარწმუნოებისა, რომელნიც უდაოდ და სამუდამოდ უნდა იწამოს ყველა მორწმუნემ, რადგან ღვთისაგან ნაკარნახევადაა მიჩნეული.

**ევლოგია** – საჭმელ-სასმელი, რაც ეკლესიაში იკურთხება.

**ევქარისტია** – (ზიარება): ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი შვიდ საიდუმლოთაგანი. მორწმუნეთა მიერ, პურისა და ღვინის სახით, ქრისტეს ხორცისა და სისხლის მიღება.

**ეკვდერი** – (ბერძნული სიტყვა): 1). საყამნო, სამლოცველო, ეკლესიის მახლობლად აგებული, ან ეკლესიაზე სალოცავად მიშენებული მცირე ნაგებობა; 2). მცირე სამწირველო; 3). ეკლესიაზე მიდგმული საგვარეულო აკლდამა.

**ეკონომოსი** – საეკლესიო სამეურნეო საქმეების ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ემბაზი** – სანათლავი ჭურჭელი, ქვის, ხის, ან ლითონის, პირველჩენილი ცოდვების განსაწმენდელი.

**ეპარქია** – საეკლესიო ადმინისტრაციული ერთეული, ოლქი, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს, საეპისკოპოსო.

**ეპისტოლე** – მიმართვითი ხასიათის წერილი, ბარათი, უსტარი.

**ეპიტიმია** – (ბერძნული სიტყვა): სასჯელი, სულიერი მამის მიერ დადებული მორწმუნე ერის კაცის მიმართ, რაც გამოიხატება: მარხვით, ლოცვით და დაჩოქებით, ეკლესიიდან განყენებით.

**ერესი** – (ბერძნული სიტყვა): განდგომა, ეკლესიის ძირითადი დოგმების წინააღმდეგ მიმართული მოძღვრება.

**ექსორია** – (ბერძნული სიტყვა): გაძევება, გადასახლება.

**ვახში** – სარგებლის სარგებელი, პროცენტზე აღებული პროცენტი, აღნადგინები.

**თილისმა** – რაიმე პატარა ნივთი, რომელსაც, ცრუ რწმენით, თითქოს ადამიანისათვის, ბედნიერების, წარმატების, გამარჯვების მოტანა შეუძლია. იგივეა, რაც ჯადო.

**თეატრონი** – საცქერელი, პარტერი.

**იპოდრომი** – საგანგებოდ მოწყობილი მოედანი, ცხენების საჭენებლად, შესაჯიბრებლად.

**კათაკმეველი** – ადამიანი, რომელიც ემზადება ქრისტიანული სარწმუნოების მისაღებად, მოსანათლავად.

**კიდეშესაკრებლობა** – თვითნებური კავშირი, როცა დაუმორჩილებელ ეპისკოპოსს ან მღვდელს აყოლილი ერი, კრებას იწვევს.

**კლირიკოსი** – (ბერძნული „კლეროს" – წილი; ქრისტიანულ

სამღვდელოებას წილისყრით, კენჭით ირჩევდნენ): მღვდელმსახურთა, ეკლესიის მსახურთა, სასულიეროთა, მრევლის საერთო სახელი.

**კრეტსაბმელი** – ფარდა, აღსავლის კარების უკან, შუაზე ჩაკერილი.

**ლიტურღია** – (ბერძნული „საერთო მსახურება"): პურის ტეხვა, ევქარისტია, ზიარების ცინ წმიდა საიდუმლო, რომელიც შეიწირება მთელი ერისთვის, ცოცხალთა და მიცვალებულთა სახელზე. სამნაწილიანია: კვეთა, კათაკმეველთა და მართალთა.

**ლოცვა** – „უბნობა კაცისა ღმერთთან". მორწმუნეთა ვედრება უფლისადმი.

**მარხვა** – დაცვა, შენახვა (თავისა რაიმესაგან), ქრისტიანული წესი, რომელიც კრძალავს ხორციელის, თევზეულის და რძის პროდუქტების ჭამას (გარდა ამისა, მარხვა, გულისხმობს: სმენით, მხედველობით და გონებით მარხულობასაც).

**მეუდაბნოე** – უდაბნოში (ქვაბში, სენაკში, უდაბურ მხარეს) დაყუდებული ბერი, მლოცველი, განდეგილი. უწინ ხალხმრავალ მონასტრებსაც უდაბნოს ეძახდნენ, სოფლის საქმეთა საპირისპიროდ.

**მსახხვრალი** – მისანი, გრძნეული, სიზმრის ამხსნელი (ჯალათი).

**ჟამი** – დრო, ხანი, საათი, ლოცვის ერთი მონაკვეთი წირვის დაწყებისას.

**საკმეველი** – ხის ფისი, რომელიც, წვის დროს, გამოყოფს სასიამოვნო სურნელებას. საკმეველს იყენებენ ღვთისმსახურების დროს.

**საკურთხეველი** – კანკელით გამოყოფილი ოდნავ ამაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი: მღვდელი მათე გორდელაძე
კორექტორი: ეთერი ქადეიშვილი

კომპიუტერზე დაკაბადონდა
ოზურგეთის *"ინფორმატიკის ცენტრში"*

ტირაჟი 2000
დაიბეჭდა ფირმა "ბახმაროს" პოლიგრაფიულ
საამქროში. ქ. ოზურგეთი.

F101.044
3

თუ ვინმე შეცოდავს, გვყავს შვამდგომელი მამის წინაშე – მართალი იესო ქრისტე და ის არის შესარიგებელი მსხვერპლი ჩვენი ცოდვებისათვის. *(იოანე 2,1-2).*